# საღამოს ლელო

სპორტული გაზეთი — პარასკევი 27 აპრილი 2001 №75 (1348) — ფასი 50 თეთრი


## დიუსელდორფი თბილისში

1981, 13 მაისი

2001, 13 მაისი

20 წლის შემდეგ: ჰოპე გოლს ველარ გაგვიტანს, მაგრამ ბანკეტზე მოილხენს

## დიდებულიძე დიდებულ ქალაქში

ვიქტორ დიდებულიძე



საბურთალოელი დარტანიანის ადგილ-მამულში

## ქართველებმა სამარანჩი დააჯილდოვეს

ქართულმა დელეგაციამ ლოზანაში სოკ-ის პრეზიდენტს უცხოელთათვის უმაღლესი ქართული ჯილდო გადასცა

## მიქელე ალბორეტოს აღსასრული



განთქმული მრბოლი გამოცდისას დაიღუპა

# ისტორია და ისტერია



1999 წლის 8 სექტემბერი. საქართველო — ლატვია 2:2. გარი ჯონსონმა ქართველებთან ფრით დაიწყო და სანმარინოელებთან ფრით დაამთავრა

სან მარინომ პირველი ქულა მოიპოვა სტუმრად, პროფესიონალი ლატვიელი ფეხბურთელები ვერას გახდნენ ბარმენებთან და დალაქებთან...

**ეს ისტორიაა**

ლატვიელთა ინგლისელმა მწვრთნელმა გარი ჯონსონმა ჯავრი ჟურნალისტზე იყარა...

**ეს ისტერია**

იხილეთ მეორე და მეხუთე გვერდები

# დღეს ნაღდი ჩემპიონატი იწყება

## ჩვენი პლეი ოფი პლეი ოთხია: ბასკო, აზოტი, სტუ, მაკაბი

საქართველოს ჩემპიონატი

ექვსეულის არაფრის მომცემი მესამე წრეც ჩამთავრდა და სანამ მეათე საკალათბურთო ჩემპიონატს გვირგვინი დაედგმება, ნახევარფინალური ჯახაჯუხიც ვნახოთ. ვისთვის როგორ და ქომაგისთვის, ალბათ, დღეს იწყება ნაღდი ჩემპიონატი. თითოეულ მოგებასაც ხომ გამორჩეული ფასი აქვს იმ გუნდებისთვის, რომლებიც ოთხეულში დამკვიდრებულან და საჩემპიონო ოქროზე გასალაშქრებლად გამზადებულან...

თუ ოთხეულში შეღწევით თვითკმაყოფილი „მაკაბისა" და ჩემპიონობის უმთავრეს ფავორიტ ბათუმის „ბასკოს" ნახევარფინალური სერიის შედეგი ახლავე ადვილი გამოსაცნობია, „აზოტი" — სტუ-ს წყვილში გამარჯვებულს წინასწარ ვერავინ დაასახელებს. ვიცე-ჩემპიონი რუსთავის „აზოტი" და ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი ზედიზედ მეორედ უპირისპირდებიან ერთმანეთს ნახევარფინალში და დაზუსტებით მხოლოდ ის ვიცით, რომ მათი ჯახი უწინდელივით მძაფრი იქნება. ოთარ ხმელიძის „აზოტი" ზედიზედ მეოთხედ შეეცდება ფინალში გაღწევას და იქ სავარაუდოდ „ბასკოს" დამარცხებას. იგივე მიზანი ამოძრავებს ნუგზარ ჭეიშვილის სტუ-საც, რომელსაც მიყოლებით ორჯერ სწორედ ნახევარფინალში მოეცარა ხელი.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, დღეს ვერის ბაღში, 16 საათზე, სტუ — „აზოტის" პირველი ნახევარფინალური მატჩია...



„აზოტისა" და სტუ-ს დაპირისპირებაში ბევრი იქნება დამოკიდებული ცენტრების, ვეტერანი აზოტელის კახა შენგელიას (მარცხნივ) და ყმაწვილ გიორგი მდივნის დუელზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ისტორია და ისტერია

**საქართველოში** ჯერჯერობით საქმე აქამდე არ მისულა...

ასკოლდ ულდრიკისი ლატვიელი ჟურნალისტია. ჩვენს გაზეთში რამდენჯერმე დაბეჭდილა ლატვიური რეპორტაჟები, რომელთაც მიწერილი ჰქონდა: ასკოლდ ულდრიკისი, რიგიდან, საგანგებოდ „სარბიელისთვის“. გუშინწინ ის ცემეს.

ქუჩაში ვიღაც ხულიგანი რომ დახვედროდა, ცხადია, მეგობრის ამბავი შეგვაწუხებდა, მაგრამ საგაზეთოდ ამას არ დავწერდით — ჩვენი გაზეთის თემატიკა სხვაა. მაგრამ ჟურნალისტ ასკოლდ ულდრიკისს ლატვიის ნაკრების მწვრთნელმა გარი ჯონსონმა დაარტყა, რის გამოც ეს ინციდენტი სულ სხვა ელფერს იღებს.

გარი ჯონსონს ლატვიელებმა ეროვნული გუნდი რევაზ ძოძუაშვილის წასვლის მერე ჩააბარეს. მაშინ ლატვიელი ჟურნალისტები ლამის დითირამბებს უმღეროდნენ ახალ მწვრთნელს, ეგებ მსოფლიოსა თუ ევროპის ჩემპიონატებზე ნაკრების გაყვანას არა, მაგრამ პროგრესს ნამდვილად ელოდნენ.

ჯონსონის დანიშვნით გამოწვეული ეიფორია ნელ-ნელა გაქრა — დრო გადიოდა, ნაკრებს კი წინსვლისა არაფერი ეტყობოდა. გაჩნდა კრიტიკული შენიშვნებიც. ითქვა, რომ ჯონსონს მონდომება არ აკლია, მაგრამ მისი კვალიფიკაცია აშკარად არ შეესაბამება ლატვიელთა სანაკრებო მიზნებსო.

გულშემატკივარი კი მაინც რაღაცას ელოდა. ელოდა თუნდაც იმას, რომ პრემიერლიგელი მარიან პახარსი მატჩის მანძილზე რამდენიმე დასამახსოვრებელ მომენტს შექმნიდა. მსგავსი არაფერი — სამარცხვინო წაგებები ბელგიასთან და ხორვატიასთან. კი, ორივე ეს გუნდი ლატვიაზე ძლიერია, მაგრამ არსებობს თავმოყვარეობაც, რომელიც ადამიანს და გუნდს აიძულებს, თუ დამარცხებაა, ღირსეულად დამარცხდეს. თავმოყვარეობისა კი ნაკრებს არაფერი ეტყობოდა. შუალედში ლატვიამ გასვლაზე დაამარცხა სან მარინო, მაგრამ ვაი ასეთ გამარჯვებას — ძლივს, დიდი წვალებით.

მწვრთნელის მისამართით კრიტიკა დღითიდღე ძლიერდებოდა. რაღაც მომენტში ნათელი გახდა, რომ მწვრთნელისგან სიტყვებს — მე გადავდგები, ვერ მოისმენდნენ. ან როგორ მოისმენდნენ, როცა გარი ჯონსონს თავისი არგუმენტი ჰქონდა — ფედერაციამ დამნიშნა და ფედერაციამვე მომხსნასო. ფედერაცია კი არაფერს ამბობდა, ალბათ, მწვრთნელის მუშაობას იწონებდა.

გუშინწინდელმა მატჩმა მოთმინების ფიალა აავსო — ლატვია სან მარინოს ფრედ ეთამაშა. მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე გარი ჯონსონი ნირწამხდარი წარდგა: „სათქმელი არაფერი მაქვს. თქვენ ილაპარაკეთ, მე კი კითხვებზე გიპასუხებთ“, მაგრამ... როგორც გაირკვა, მწვრთნელი პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებას არ აპირებდა. „აი, შტოლცერსს ის ბურთი რომ გაეტანა“... „აი, რიმკუსს ძელისთვის რომ არ გაერტყა“... და ასე გაუთავებლად.

მწვრთნელის ამგვარი კომენტარის შეფასება ჩვენს ლატვიელ კოლეგას, მიხაილ კოროლიოვს მივანდოთ: „სისულელეა იმაზე ლაპარაკი, რა შეიძლება მომხდარიყო. მთავარია, რა მოხდა. დამეთანხმებით, სასაცილოა იმის მოსმენა, რომ ბურთი მრგვალია და მატჩში ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ეს თავის მართლების უსუსური მცდელობაა და მეტი არაფერი.

შერცხვენა სან მარინოსთან უაღრესად მტკივნეული ჩავარდნაა, მაგრამ რაც მოხდა აბსოლუტურად კანონზომიერია. ფეხბურთი ვერ იტანს არასერიოზულ, მეტიც, ჯამბაზურ მიდგომას. გარი ჯონსონის მოწვევას და მის მუშაობას კი სხვაგვარად ვერ შევაფასებ. ახლა ჩვენ ფეხბურთისადმი ამგვარი დამოკიდებულებისთვის საზღაურს ვიხდით“.

და ისევ თავმოყვარეობა. ყოვლად წარმოუდგენელია, როგორ ვერ უნდა აჯობოს თავმოყვარე გუნდმა სანმარინოელ ფეხბურთელებს, რომლებიც სინამდვილეში ფეხბურთელები არც არიან.

მუშები, ჩინოვნიკები, ვინც გინდათ, ოღონდ, ფეხბურთელები არა. წარმოიდგინეთ, პრემიერლიგელი პახარსი ბარმენ ძონძინის და პარიკმახერ მუკიოლის წინააღმდეგ. როგორია?

რაც შეეხება ჟურნალისტის ცემას.

თავად ასკოლდ ულდრიკისს გუშინ რიგაში შევეხმიანეთ და ეს გვითხრა:

„ერთი გაწევ-გამოწევა იყო ჩემსა და გარი ჯონსონს შორის. საქმე ის არის, რომ ლატვიის ნაკრების წარუმატებლობას მეც და ჩემი გაზეთიც შესაბამისად ვეხმაურებით ხოლმე და მწვრთნელი ჩვენს კრიტიკას ვერ იტანდა. კულმინაციამ სან მარინოს უსუსურ ნაკრებთან ფრედ დამთავრებული მატჩის შემდეგ მიაღწია. გასახდელიდან საპრესკონფერენციო დარბაზისკენ მიმავალ მწვრთნელს სტუმარი ჟურნალისტები და მე უკან უჩუმრად მივყვებოდით, როცა ჩემთვის მოულოდნელად ჯონსონი მოტრიალდა, უხამსი სიტყვა მითხრა და ხელი მკრა. მე არაფერი მითქვამს და მწვრთნელი უარეს შეურაცხყოფაზე გადავიდა. ხელი მხარზე დამარტყა, სათვალეც გამიტყდა. მერე, რა თქმა უნდა, ხურდა მეც დავუბრუნე და შუაში ხალხი ჩაგვიდგა, გაგვაშველეს.

დღეს დილით გარი ჯონსონმა რედაქციაში ორჯერ დარეკა, მომიბოდიშა. ახლაც რამდენიმე წუთია მწვრთნელი რედაქციიდან გავისტუმრეთ. ბოდიში მოიხადა. ანერვიულებული ვიყავიო. „სარბიელს“ კი დიდი მადლობა მხარდაჭერისთვის“.

აი, ასე. ნაკრები სან მარინოს ვერ უგებს, მწვრთნელი ჟურნალისტს სცემს, მერე კი პრესკონფერენციაზე მიდის და... აი, შტოლცერსს ის ბურთი რომ გაეტანა, აი, რიმკუსს ძელისთვის რომ არ გაერტყა...

თუმცა, გარი ჯონსონმა, როგორც ასკოლდ ულდრიკისის მონაყოლიდან ვიცით, ბოდიში მაინც მოიხადა, ჩანს, ბოლომდე არ წამხდარა, ეს იქიდანაც ჩანს, რომ გუშინ ლატვიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან გადადგა.

**გიორგი დარჯანია**
**ძოგა ინასარიძე**



ლატვიელმა პრემიერლიგელმა მარიან პახარსმა ქულა პარიკმახერს გაატანა

## შვედეთი

**გადადებული მატჩი**
**იორგრო 1:1 იორგრიტე**

## ინგლისი

**II დივიზიონი**
**გადადებული მატჩი**
**ნორთჰემპტონი 0:2 პორტველი**
**ნოტსი 0:2 უიკომბი**

**III დივიზიონი**
**გადადებული მატჩი**
**ბლექპული 3:1 როჩდეილი**

*ბევრ ფორვარდს დაუჩივლია — უკან ანჩაბაძე რომ მყავდეს, ერთიორად მეტ გოლს გავიტანდიო. და მართლაც, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ გიორგი ანჩაბაძე საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში ყველაზე ტექნიკური გამთამაშებელია. მას შეუძლია, თავი არც კი აწიოს, ისე გაუქროს საგოლე პასი თანაგუნდელს, ბურთს მშვენივრად ათვინიერებს, ჟანგლიორობაც ხელეწიფება და ნაყოფიერად გარჯაც.*

*ათი წლის წინ, „შევარდენში“ თამაშით გაიცნო გულშემატკივარმა. ეს ბიჭი დიდ ფეხბურთს ითამაშებსო, ამბობდნენ მაშინ, მაგრამ...*

*„შევარდენის“ შემდეგ ექვსი სეზონი ჩაატარა თბილისის „დინამოში“, ისრაელში, აშქელონის „ჰაპოელშიც“ მოსინჯა ძალა, მერე კვლავ „დინამო“...*

*მეთორმეტე ეროვნულის საგაზაფხულო ეტაპზე კი ანჩაბაძემ „ლოკომოტივის“ მაისურა მოირგო, იმ „ლოკომოტივისა“, რომელიც კარგა ხანს ლიდერობდა ჩემპიონატს და ბოლო ტურში „ტორპედოსთან“ წაფორხილება მეორე ადგილზე ჩამოქვეითებად დაუჯდა.*



გიორგი ანჩაბაძე ბურთისთვის შინაური კაცია

# რკინიგზელი თავადი

## ანჩაბაძე მაგარ ბრძოლას გვპირდება

**— სეზონი „დინამოში“ დაიწყე, მაგრამ მალე ჩამოსცილდი გუნდს და „ლოკომოტივში“ გადასვლამდე საკმაოდ დიდი დროც გაგიცდა.**

— უცხოეთში მსურდა თამაში, კერძოდ, შვეიცარიის „არაუში“. იქიდან რომ დავბრუნდი, გადავწყვიტე, წამოვსულიყავი „დინამოდან“ და არა მხოლოდ იმიტომ, რომ მაშინ კლუბში არეული სიტუაცია იყო...

**— „დინამოდან“ უფრო ადრეც, წინა ჩემპიონატის საშუასეზონო პერიოდშიც აპირებდი წასვლას და ვლადიკავკაზის „ალანიაში“ გსურდა კარიერის გაგრძელება, მაგრამ ტრანსფერი არ შედგა. ბევრი მითქმა-მოთქმა მოჰყვა ამ ამბავს, „დინამო“ და სფფ ერთმანეთს სდებდნენ ბრალს. მაინც, რაში იყო საქმე?**

— ვლადიკავკაზში ჩავედი და შეკრება „ალანიასთან“ ერთად გავიარე. მერე სამდღიანი შესვენება გამოცხადდა და მეც თბილისში ჩამოვედი — სწორედ მაშინ შეექმნა ჩემს ტრანსფერს დაბრკოლებები. სიმართლე გითხრათ, არც დამიწყია იმის ბოლომდე გარკვევა, თუ რატომ ჩაიშალა ყველაფერი. ვიცი, რომ „დინამოს“ სატრანსფერო თანხის ნაწილი უკვე მიღებული ჰქონდა. ალბათ, ჩემს ვერშემდგარ ტრანსფერში წმინდა სპორტული მხარე ნაკლებად იყო. თუმც ზუსტი მიზეზი ნამდვილად არ ვიცი.

**— ამჯერად კი „ლოკომოტივში“ თამაში არჩიე. რატომ მაინცდამაინც „ლოკომტივი“?**

— გივი ნოდია ახალი ჩამოსული იყო, როცა „ლოკომოტივში“ გადასვლის ვარიანტი გამოჩნდა. ისე მოხდა, რომ ჩემი, ნოდიასა და „ლოკომოტივის“ ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა. თანაც სათამაშო პრაქტიკა არ მქონდა და არ მინდოდა, ფეხბურთს ჩამოვშორებოდი. მანამდე კი ორი თვე ინდივიდუალურად ვვარჯიშობდი.

**— ისე, მაგ დროისთვის „დინამოშიც“ გვარდებოდა ფინანსურ-ორგანიზაციული საკითხები, კლუბს პატრონი გამოუჩნდა. არავის შემოუთავაზებია „დინამოში“ დაბრუნება?**

— არა, „დინამო“ არ შემხმიანებია.

**— „ლოკომოტივი“ ურიგო გუნდი არ არის, მაგრამ 8-10 წლის წინათ ბევრს ეგონა, რომ 28 წლის ანჩაბაძე გაცილებით ძლიერ კლუბში ითამაშებდა...**

— ყველა ამას მეუბნება, რამ შეგიშალა ხელი, შენი კარიერა გაცილებით შთამბეჭდავი უნდა ყოფილიყოო. მართლაც, ასე ვთქვათ, ახალგაზრდულ წლებში გაცილებით უკეთეს მომავალს მიწინასწარმეტყველებდნენ. ძირითადად ჩემი ბრალია, ასე რომ არ მოხდა, მაგრამ უიღბლობამაც დიდი როლი ითამაშა.

თავის დროზე მქონდა შანსი, მაგრამ ხან საოპერაციო გავხდი, ხან რაღაც სხვა პრობლემა გამომიჩნდა. თუნდაც იმას ვერ წარმოვიდგენდი, რაც „არაუში“ შემემთხვა. მწვრთნელს მოვეწონე, გამზადებული კონტრაქტიც დამიდეს, მაგრამ ისეთი პირობები შემომთავაზეს, ჩვენს მოწინავე კლუბებს მათზე უკეთესი აქვთ. 17-18 წლის რომ ვყოფილიყავი, ეგებ დავრჩენილიყავი კიდეც „არაუში“.

**— „ლოკომოტივს“ დავუბრუნდეთ. გუნდი დამაჯერებლად ლიდერობდა ჩემპიონატს, ახლა კი დაღმასვლას განიცდის. რაშია საქმე?**

— ნამდვილად არ ვიცი, რას დავაბრალო. სავარჯიშო პროცესი კვლავაც კარგად მიდის, პირობებიც ნორმალურია. ერთი სიტყვით, რაღაც განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, მაგრამ...

**— მაშინ კონკრეტულად „ლოკომოტივის“ ბოლო ორ თამაშზე ვთქვათ, ჯერ „დინამოსთან“ მატჩზე.**

— „დინამოსთან“ ფრე, ალბათ, უფრო ჩვენივე ბრალია. პირველი ტაიმის შემდეგ 2:0-ს ვიგებდით და შესვენების შემდეგ თავდაჯერებულები გავედით მინდორზე, გვეგონა უკვე მოგებული გვქონდა მატჩი. თანაც მანამდე ისე იყო, რომ „დინამო“ თავიდან კარგად იწყებდა შეხვედრას, ბოლოს კი უჭირდა. ჰოდა, ერთობ მოულოდნელი იყო „დინამომ“ ასეთი თამაში რომ შემოაბრუნა.

**— „ტორპედოსთან“ კი წააგეთ...**

— რომ ვთქვა, „ტორპედომ“ გვაჯობა-მეთქი, ასე არ ყოფილა. თანაბარ ბრძოლაში წავაგეთ. გამოუყენებელმა თერთმეტმეტრიანმაც უარყოფითად იმოქმედა ჩვენზე. თუმც არც ის იქნება სწორი, ქუთაისელებს თავისი დავუკარგოთ.

**— „ლოკომოტივის“ ბოლოდროინდელი წარუმატებლობის მიზეზი, ალბათ, ისიცაა, რომ გუნდს გამოკვეთილი ბომბარდირი არ ჰყავს. ტრავმირებულია მამუკა რუსია — ამ სწრაფი ფორვარდის ალბათ, ერთობ ეიმედებოდა გივი ნოდიას.**

— რა თქმა უნდა, ერთ-ერთი მიზეზი ესეც არის. თუმც ჩვენ გვყავს ასეთი ტიპის ფეხბურთელი — ალეკო კაიდარაშვილი. მაგრამ მას უიღბლობა დასჩემდა. ჯერ კიდევ კვიპროსის შეკრებაზე შეაწუხა ტრავმამ, რამაც აქ ჩამოსვლის შემდეგაც შეახსენა თავი. ახლა ის ნელ-ნელა შედის ფორმაში. მეგოლის მისია მას უნდა შეესრულებინა.

**— შენი თამაშით კმაყოფილი ხარ?**

— არა. ჩემს პოზიციაზე არ მიწევს თამაში. საყრდენ ნახევარმცველად გამამწესეს, გუნდს ასე სჭირდება და მეც ამას შეგუებული ვარ.

**— როგორ ფიქრობ, რაშია „ლოკომოტივის“ უპირატესობა — რითი სჯობს ის ჩემპიონობისთვის მებრძოლ დანარჩენ გუნდებს?**

— ალბათ, მოთამაშეთა კონტინგენტით. ჩვენს გუნდში ხომ რამდენიმე გამოცდილი, ნაკრებში ნათამაშევი ფეხბურთელია. დაცვაში შელია, ცხადაძე, ბალაშვილი, წინ გოგიჩაიშვილი, ახლახან გიორგი ლომაიამაც ითამაშა ეროვნულ ნაკრებში.

**— თუმც გაჩემპიონების შანსები შეგიმცირდათ...**

— მართალია, მაგრამ დაკარგული ჯერ არაფერია. იმაზე მეტად გაგვიჭირდება, ვიდრე გვეგონა. ჩემპიონობისთვის მაგარი ბრძოლა მოგვიწევს.

**— უმთავრეს კონკურენტად რომელ გუნდს მიიჩნევ? ვის აქვს ჩემპიონობისთვის უკეთესი შანსი?**

— ალბათ, მაინც, „ლოკომოტივს“ და, რა თქმა უნდა, „ტორპედოს“. ამას უბრალოდ გათამაშების ცხრილიდან გამომდინარე ვამბობ. ისიცაა, რომ „ტორპედომ“, ჩვენი არ იყოს, გაუთვალისწინებელი ქულები დაკარგა. ჩვენთან თამაშში ქუთაისელებმა სოლიდური გუნდის შთაბეჭდილება დატოვეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პირწმინდად გვაჯობეს.

**დავით თავართქილაძე**


# სარბიელი
## სამუშაოდ იწვევს

ჟურნალისტებს, გამოცდილთაც და ახალბედებსაც, გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებლებს და მბეჭდავ-ოპერატორებს.

**მიღება მოხდება შერჩევით**

მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის“ რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.

ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

საქართველოს უმაღლესი ლიგის 12 ჩემპიონატი
მეორე ეტაპი
6 ტური
ანონსი

# ექვმიტანილები და დანარჩენები

## შეურაცხყოფილნი და მიტოვებულნი

## I–VI ადგილები

მცხეთა. „არმაზი". 28 აპრილი. 16 საათი

### ვიტ ჯორჯია — კოლხეთი

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი; მ. ელიკაშვილი, ვ. ჩოჩიშვილი (სამივე თბილისი); კ. მესხი (ზუგდიდი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. კაკულია

**სავარაუდო შემადგენლობები**
**ვიტ ჯორჯია:** მერლანი, საჯაია, ქანკოტაძე, კობიაშვილი, ჯ. მუჯირი, ლ. ნოზაძე, დილმელაშვილი, გოგობერიშვილი, ყიფიანი, ლ. მელქაძე, წუწუნავა
**კოლხეთი:** ქვაჩახია, გოროზია, ქუნთელია, კვირკველია, ქობულაძე, შალამბერიძე, ღლანიძე, ხუჭუა, ე. გვასალია, მუმლაძე, ფანჩულიძე

უხერხული მეტოქე ჰყავს ვიცე-ჩემპიონს. ისეთი, ბოლო ხანს ვერაფრით რომ ვერ დაუმარცხებია. სულ ახლახან ფოთქოს ახლოს იყვნენ ვიტელები მიზანთან, მაგრამ ორი გასვლითი მატჩიდან მხოლოდ ქულით დაბრუნდნენ შინ.

„ვიტ ჯორჯიას" უპირველესი საზრუნავი არასასურველი ფიზიკური მომზადებაა. სხვა მხრივ, არც დისკვალიფიკაციები აწუხებთ ვეტერინარებს და არც ტრავმები. ვარჯიშს შეუდგნენ საჯაიაც და კობიაშვილიც. ასე რომ, შაბათს მასპინძლები ძირითადი შემადგენლობით გავლენ სათამაშოდ.

„კოლხეთს", რა თქმა უნდა, აქვს პრობლემები. სოსო ფილიას ჰყავს ტრავმირებულები, მაგრამ ამას კიდევ მოევლება. საფიქრალი ის ფსიქოლოგიური ტვირთია, ზღვისპირელებს რომ აწევთ. „კოლხეთი" ეჭვმიტანილია. მის საქმეს ფედერაციის საგანგებო კომიტეტის საგანგებო კომისია იძიებს. გამოძიების საბოლოო პასუხი 3 მაისს იქნება ცნობილი. მანამდე კი „კოლხეთს" თამაშთან ერთად თავის მართლება უწევს. ეს არცთუ იოლი საქმეა. ასეა თუ სხვაგვარად, „ვიტ ჯორჯიას" აქვს შანსი, ნავსი გატეხოს და საპრიზო სამეულში მოხვედრაზე იფიქროს.

თბილისი. „კინათლე". 28 აპრილი. 16 საათი

### მერანი — ლოკომოტივი

**მსაჯები:** ა. კრიჭაშვილი (თბილისი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ო. გუნთაძე
**დისკვალიფიცირებულნი:** ნაჭყებია, ჩხაიძე (მერანი)

**სავარაუდო შემადგენლობები**
**მერანი:** კოროშინაძე, ცქიფურიშვილი, გუჯაბიძე, დავითაძე, გოგიტაძე, დვალი, ზ. კვეკვესკირი, ქინქლაძე, მუხინი, გოდერძიშვილი, მინაშვილი
**ლოკომოტივი:** ლომაია, ბალაშვილი, შელია, ცხადაძე, სალუქვაძე, ზ. ლაცაბიძე, ქიქავეიშვილი, დათუაძე, ანჩაბაძე, გოგიჩაიშვილი, გ. შენგელია

ცუდ დღეშია „მერანი". ოთარ გაბელიამ ჯერ დისკვალიფიცირებულთა და ტრავმირებულთა შემცვლელი უნდა იპოვოს, მერე გუნდს ის ფსიქოლოგიური ტვირთი მოუხსნას „მერანს" პირველი წრის ბოლო მატჩის შემდეგ რომ დასწოლია. ავჭალელებიც ეჭვმიტანილები არიან. საგანგებო კომიტეტი ფიქრობს, რომ 21 აპრილს „მერანმა" „კოლხეთს" სამი ქულა შეგნებულად დაუთმო. ვერაფერს იტყვი, ძალიან მძიმე ბრალდებაა.

მაინცდამაინც არც „ლოკომოტივს" ულხინს. უფროსობა ჩემპიონობას მოითხოვს, მაგრამ საპირველადგილო შანსი რომ შემცირდა? ისე რკინიგზელებს ავჭალის ვიწრო მოედანზე გამარჯვების გამოცდილება აქვთ. სულ ახლახან არ იყო, შელიას თავურით რომ იმარჯვეს? თუმც „მერანი" ახლა ისეა გამწარებული, რომ უბრძოლველად გოჯსაც არ დაუთმობს სტუმარს.

ქუთაისი. „ტორპედო". 28 აპრილი. 16 საათი

### ტორპედო — დინამო

**მსაჯები:** ა. შილაკაძე, ზ. დოლიძე, ი. შალამბერიძე (სამივე თბილისი); დ. სანაია (სოხუმი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო
**დისკვალიფიცირებულნი:** მანჯავა (დინამო)

**სავარაუდო შემადგენლობები**
**ტორპედო:** ზოიძე, ქემოკლიძე, აბრამიძე, ლევან სილაგაძე, თოდუა, გუჩუა, დიდავა, ასათიანი, იონანიძე, ჯანაშია, აშვეთია
**დინამო:** გრიშიკაშვილი, სვანაძე, შაშიაშვილი, კანდელაკი, ა. სახვაძე, გაბიდაური, მაზიაშვილი, ბურდული, იაგორაშვილი, მიკუჩაძე, ზირაქიშვილი

ქუთაისში ტურის ცენტრალური მატჩია. დაძაბული, ნერვიული, პრინციპული პაექრობა. უკან დამხევი არც ერთია, ორივეს გამარჯვება სწყურია, მაგრამ...

მეთორმეტე ჩემპიონატში ხვალინდელი ბრძოლა ურთიერთშეხვედრებში ბოლო იქნება „ტორპედოსთვის" და „დინამოსთვის": აქამდელ სამ მატჩში ერთი, თბილისში, რიონისპირელებმა მოიგეს, მეორე, ქუთაისში, „დინამოს" გამარჯვებით დასრულდა, ხოლო 4 აპრილს, დედაქალაქში, მშვიდობით გაეყარნენ ერთმანეთს. უპირეტესობა ვერ დაამტკიცეს და გადამწყვეტი თამაში ხვალაა.

„ტორპედოს" საბრძოლო ბირთვი მზადყოფნაშია. „დინამოს" საყრდენი მანწკავა გამოაკლდა დისკვალიფიკაციის გამო. სამაგიეროდ, დაბრუნდნენ ტრავმირებულ-დისკვალიფიცირებულნი — სახვაძე, კანდელაკი, გრიშიკაშვილი.

ხვალ ქუთაისში არ იქნება ფრთხილი, დანდობილი თამაში. სასწორზე ჩემპიონის კუთვნილი ტახტი დაუდგამთ, ასე რომ, ღმერთმა უწყის, ვინ მოიგებს. „ტორპედო" ძლიერია, გზაგაკვალული. „დინამო" გულმოსულია და გზას დაეძებს. ვნახოთ, ვისი აჯობებს.

გავბედავთ და ვიტყვით, ემანდ ქუთაისში თამაში ფრედ არ დამთავრდეს.

| უმაღლესი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ტორპედო | 5 | 3 | 1 | 1 | 7:4 | 3 | 34 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 5 | 6 | 3 | 1 | 1 | 1 | 2:4 | -2 | 4 |
| 2 ლოკომოტივი | 5 | 1 | 2 | 2 | 4:6 | -2 | 33 | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 2 | 5 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | -4 | 0 |
| 3 დინამო | 5 | 1 | 4 | 0 | 7:6 | 1 | 31 | 3 | 1 | 2 | 0 | 5:4 | 1 | 5 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 |
| 4 ვიტ ჯორჯია | 5 | 2 | 1 | 2 | 7:6 | 1 | 26 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 6 | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | -3 | 1 |
| 5 კოლხეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:4 | 1 | 22 | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 2 | 6 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 6 მერანი | 4 | 0 | 2 | 2 | 0:4 | -4 | 18 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 3 | 0 | 1 | 2 | 0:4 | -4 | 1 |

| უმაღლესი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ბათუმი | 5 | 2 | 2 | 1 | 6:2 | 4 | 22 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 1 | 3 | 3 | 1 | 2 | 0 | 4:1 | 3 | 5 |
| 2 გორდა | 5 | 3 | 0 | 2 | 8:6 | 2 | 18 | 3 | 3 | 0 | 0 | 9:3 | 6 | 9 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 0 | 3 |
| 3 სიონი | 5 | 2 | 2 | 1 | 7:7 | 0 | 18 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 | 3 | 1 | 1 | 1 | 7:6 | 1 | 4 |
| 4 დილა | 5 | 2 | 1 | 2 | 9:5 | 4 | 16 | 3 | 2 | 1 | 0 | 9:2 | 7 | 7 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | -3 | 0 |
| 5 თსუ | 5 | 2 | 0 | 3 | 5:9 | -4 | 16 | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 2 | 6 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:6 | -6 | 0 |
| 6 იბერია | 5 | 0 | 1 | 4 | 4:16 | -12 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:5 | -3 | 1 | 3 | 0 | 0 | 3 | 2:11 | -9 | 0 |



დინამოელი გიორგი შაშიაშვილი (მარცხნივ) და ტორპედოელი დავით ჯანაშია ერთმანეთს ხვალაც დაუპირისპირდებიან



„ვიტ ჯორჯია" — „კოლხეთი" მუდამ დაძაბულია

## VII–XII ადგილები

ბოლნისი. თემურ სტეფანია. 27 აპრილი. 16 საათი

### სიონი — გორდა

**მსაჯები:** მ. მაღალურაძე, ლ. სილაგავა (ორივე თბილისი), ბ. ბრეგვაძე (ჭიათურა), ა. კრიჭაშვილი (თბილისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ზ. პეტრიაშვილი
**დისკვალიფიცირებულნი:** სოლოღაშვილი (სიონი); ალადაშვილი (გორდა)

ჯერ თვეც არ გასრულებულა იმ ამბიდან — 3 აპრილს რუსთავში ნასტუმრევმა ბოლნისის „სიონმა" მასპინძელს პირველი ტაიმი მოუგო, გოლი მეორე ნახევრის დასაწყისშიც გაუტანა და მერე... თამაშის ჩაწყობაში ამხილეს სტუმარ-მასპინძელი. ფედერაციამ თავისებურად დასაჯა ორივე.

დღესაც ბოლნისელები და რუსთაველები თამაშობენ, ოღონდ, ამჯერად „თემურ სტეფანიაზე".

სტუმრებს კაპიტანი ალადაშვილი დააკლდებათ, მასპინძლებს — სოლოღაშვილი და ორი მწვრთნელი. ერთი თვეა, სპარტაკ არჩვაძე საჩხერეში მკურნალობს, თენგიზ კუბლაშვილი კი თბილისში. სავარაუდოდ, არც ერთია ბოლნისში ჩამსვლელი და არც მეორე. სადაც სამართალია, უნდა ითქვას კიდეც, არც ერთი მოუკითხავთ დღევანდელ მასპინძლებს და არც მეორე.

თბილისი. შევარდენი. 27 აპრილი. 16 საათი

### იბერია — თსუ

**მსაჯები:** მ. მაისურაძე, ზ. ჯვარაძე, მ. ურუშაძე (სამივე თბილისი); ა. ორდინიძე (ონი); **სფფ-ის ინსპექტორი:** რ. ჩილაჩავა
**დისკვალიფიცირებული:** მიქელთაძე (იბერია)

ბათუმი. დინამო. 27 აპრილი. 16 საათი

### ბათუმი — დილა

**მსაჯები:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); დ. სანაია (სოხუმი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ლ. ყიფიანი
**დისკვალიფიცირებულნი:** ღლონტი, მეგვინაძე (ბათუმი); რევაზიშვილი (დილა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 20 წლის შემდეგ

## ჰოპე გოლს ვეღარ გაგვიტანს, მაგრამ ბანკეტზე მოილხენს

**13 მაისს** ოცი წელი სრულდება იმ დაუვიწყარი დღიდან, თბილისის „დინამომ" ევროპის თასების მფლობელთა თასი რომ მოიპოვა. ოცი წელი გავიდა ქართული ფეხბურთის ბოლო ბრწყინვალე ტრიუმფიდან.

სფფ-ის მესვეურებმა ჯერ კიდევ ექვსი თვის წინ განაცხადეს საიუბილეო თარიღის ჯეროვნად აღნიშვნის შესახებ. ფედერაციის ჩინოსნები სხვადასხვა ღონისძიებებთან ერთად თბილისში „კარლ ცაისის" მაშინდელი შემადგენლობის ჩამოყვანასაც გეგმავდნენ, თუმც ჯერ კიდევ ოთხი დღის წინ იუბილეს ჩაშლა თითქმის გარდაუვალი იყო. ფედერაციის წარმომადგენელთა თქმით, საორგანიზაციო ხარჯები სოლიდურ თანხებს მოითხოვდა, სპონსორობის სურვილი კი არავის ჰქონდა.

გუშინ კი გაირკვა, რომ ყველაფერი სასიკეთოდ გადაწყდა. თბილისის „დინამოს" მენეჯერის, გია ისიანის განცხადებით, გერმანელთა თბილისში სტუმრობას წინ აღარაფერი უდგას.

„ცოტა ხნის წინ კურბიუვაიტს ტელეფონით ვესაუბრე, მითხრა, რომ ისიც და მისი ყოფილი თანაგუნდელებიც მზად არიან თბილისში გამოსამგზავრებლად. ბილეთებს სტუმრებისთვის ჩვენ დავჯავშნით. „აირზენაც" გვერდში დაგვიდგება. ძველი კარლცაისელები 12 მაისს გვეწვევიან, მატჩი კი, ცხადია, 13 მაისს გაიმართება. თამაშის ზუსტ დროზე ჯერ არ შევთანხმებულვართ.

თბილისში „კარლ-ცაისს", რაღა თქმა უნდა, ჰანს მაიერი უთავკაცებს. დაგეგმილი გვაქვს, ჩვენთვის ისტორიული ფინალის მონაწილე მსაჯის ჩამოყვანაც. რიკარდო ლატანცის დავუკავშირდებით და ალბათ, ისიც გაალამაზებს იუბილეს" — გვითხრა გია ისიანმა.

დიუსელდორფული ფინალის მონაწილე უკლებლივ ყველა იენელი თბილისში იქნება, ერთი რამ გარკვეულია — ვერ ითამაშებს ჰოპე. სწორედ ის ჰოპე, ჩვენს გუნდს ოცი წლის წინ გოლი რომ გაუტანა. ისიანის თქმით, იგი რამდენიმე დღის წინ ავარიაში მოხვდა და ჯერაც შეუძლოდაა, თუმც თბილისში გამომგზავრების სურვილი იმდენად დიდი ჰქონია, რომ გადაწყვეტილება უყოყმანოდ მიუღია, მატჩის შემდგომ ბანკეტზე მაინც ვივარგებო. მოკლედ, ჰოპე გოლს ვეღარ გაგვიტანს.

13 მაისს თამაშის წინ ერთგვარი შოუ-კონცერტი გაიმართება. მატჩის შემდეგ კი დიდი ბანკეტი. მატჩზე დასასწრები ბილეთი 2 ლარი ეღირება.

**ბაათა კვანტალიანი**




წამიც და... იქნებ პარადოქსი, იქნებ არც: რა აღარ მოხდა მას მერე, მაგრამ სრულიად საქართველოს ისე აღარაფერი გახარებია... ვიტალი დარასელიას გოლმა ქართულ ფეხბურთს სხვა ღირსება და სხვა ხარისხი შესძინა


რესტორანი მზიანი ღამე






განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით
დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კუტუზოვის ქუჩა №3
(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)

მობრძანდით, გვენდეთ: კმაყოფილი დარჩებით

# მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
# ევროპა

# ჯორიჩი ჯორზე შეჯდა
## ყველას თავის ადგილს მივუჩენო...

### I ჯგუფი

**იუგოსლავია 0:1 რუსეთი**

0:1 ბესჩასტნიხი (72)
**იუგოსლავია:** ილიჩი, დუდიჩი, კრსტაიჩი (სტეფანოვიჩი 85), იოკანოვიჩი, ჯუკიჩი, ბუნიევჩევიჩი, ლაზეტიჩი, ტომიჩი, დრულიჩი (სტანკოვიჩი 73), კეჟმანი ([illegible] 63), მიხაილოვიჩი
**რუსეთი:** ნიგმატულინი, კოვტუნი, დრონზდოვი (თეთრაძე 46), ალენიჩევი, გუსევი (სემაკი 87), ჩუგაინოვი, ონოპკო, ხოხლოვი, ტიტოვი, მოსტოვოი, ფედკოვი (ბესჩასტნიხი 46)
მსაჯი: კონრად პლაუცი (ავსტრია)
48 000 მაყურებელი

**რუსებმა** უაღრესად მნიშვნელოვან მატჩში სტუმრად მოუგეს იუგოსლავიას და ჯგუფში პირველობისთვის კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგეს. გოლი, ისევე როგორც შვიდი თვის წინ, შვეიცარიასთან, შესარჩევ, გამხსნელ შეხვედრაში, ვლადიმერ ბესჩასტნიხმა გაიტანა.

რუსებს შემადგენლობის არჩევისას პრობლემები შეექმნათ. ვერ ითამაშეს დაშავებულმა კარპინმა, სმერტინმა, ბუზნიკინმა და ნიკიფოროვმა. შედეგად, მინდორზე გასვლა მოუხდათ ტრავმირებულ კოვტუნსა და დროზდოვს. ეს უკანასკნელი სულაც თავშეხვეული დარბოდა.

იუგოსლავიელებს კი, ეტყობა, დიდი შინაამლილობა დამართნიათ. მათი შემადგენლობაც ხომ უჩვეულო იყო. ჩანს, მწვრთნელ მილოვან ჯორიჩს თავის ვარსკვლავებთან დიდი ომი გაუჩაღებია. ასე მაგალითად, ძირითადში ვერმოხვედრილი პრედრაგ მიატოვიჩი მწვრთნელს ეჩხუბა და იტალიაში მაშინვე გაბრუნდა, იქიდან კი შემოთვალა, ნაკრებში საერთოდ აღარ ვითამაშებო. ხოლო სავო მილოშევიჩმა მატჩის დაწყებამდე 15 წუთით ადრე თქვა თამაშზე უარი. ამბობენ, მიატოვიჩის სოლიდარობა გამოუცხადაო. ამისდაკვალად, მასპინძლებმა შეტევაში კეჟმანი და დრულიჩი გაამწესეს. მათ აქტიურობას შედეგი არ მოჰყოლია და მეორე ტაიმის ბოლოს, როცა ორივე შეცვალეს, იუგოსლავიელები, ფაქტობრივად, უთავდამსხმელოდ დარჩნენ.

რომანცევის მთავარი თავსატეხი მასპინძელთა შუა ხაზი გახლდათ. ვის აირჩევდა ჯორიჩი? ბოლო ორ მატჩში ხომ მან სულ სხვადასხვა ფეხბურთელები ათამაშა, რაც მისსავე პრობლემებზე მიუთითებს. ამჯერად კი მოულოდნელი ლაზეტიჩის თავდამსხმელების უკან გამოჩენა იყო. ჩვეულებრივ ის ნახევარდაცვის მარჯვენა ფრთაზე თამაშობს ხოლმე. ეს ბიჭი მართლაც გამოირჩეოდა, ჯერ თვითონ შეიქმნა საგოლე მომენტი, რამდენიმე წუთში კი კეჟმანს მისცა დიდებული პასი, თუმცა რუსთა მეკარე რუსლან ნიგმატულინი იმ საღამოს ძალიან კარგად თამაშობდა. ჯამში კი მასპინძლებს ცეცხლი და სიმწყობრე აკლდათ.

რუსები სწრაფი კონტრშეტევებით პასუხობდნენ და ერთ-ერთი გოლითაც დაამთავრეს. მოსკოვის დინამოელ როლან გუსევის მარჯვნიდან ჩაწოდებული შეტევაზე შესულმა უგუნდო ვლადიმირ ბესჩასტნიხმა ეფექტური თავურით დააგვირგვინა. სხვათა შორის, ბესჩასტნიხმა სარატოვის „სოკოლის" 29 წლის დებიუტანტი, ფორვარდი ანდრეი ფედკოვი შეცვალა. ამ ფეხბურთელის მინდორზე გამოჩენაც მოულოდნელი იყო. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობს რუსული მედია.

დამთავრებამდე ორივე გუნდს შეეძლო გატანა. იმავე ბესჩასტნიხმა ლამის ცარიელ კარში ვერ შეაგდო, სულ ბოლოს კი რუსთა კაპიტანმა ონოპკომ საკუთარ საჯარიმოში თავით პირდაპირ.. სტანკოვიჩს დაუგდო ბურთი, მაგრამ კვლავ ნიგმატულინმა იყოჩაღა.

„ორივე გუნდს შეეძლო მოგება. ჩვენ გავიტანეთ, იუგოსლავიელებმა — ვერა. თუმცა ეიფორიაში არ უნდა ჩავვარდეთ. მოსკოვში მათთან არანაკლებ დაძაბული მატჩი გველის. მასპინძელთათვის ამ თამაშის წაგება კატასტროფის ტოლფასი იყო, ჩვენ კი მარცხის შემთხვევაშიც მოსკოვური საპასუხო შეხვედრის იმედი გვექნებოდა. შესაძლოა, ამიტომაც გავიმარჯვეთ" — თქვა რუსთა დამრიგებელმა ოლეგ რომანცევმა.

„მინდვრის ცენტრი დავთმეთ და ამიტომაც წავაგეთ — განაცხადა მილოვან ჯორიჩმა — ზოგიერთ ჩვენს ფეხბურთელს ჯერ კიდევ არ ჰყოფნის გამოცდილება და სწრაფ ტემპს ვერ გაუძლეს. თანაც რამდენიმე მომენტი ვერ გამოვიყენეთ. თუნდაც ის, გოლამდე 15 წამით ადრე რომ შევქმენით". მერე ჯორიჩმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ ნაკრების გაახალგაზრდავებას კვლავაც გააგრძელებს და ზოგიერთ ცნობილ ფეხბურთელს თავის საქმეებში ჩარევის უფლებას არ მისცემს.

თამაშს ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერიც უნდა დასწრებოდა, მაგრამ ვერ მოახერხა და ბოდიში მოიხადა. აი, მეორე საპატიო სტუმარი კი იუგოსლაველებმა მაინც იწვიეს. ბელგრადის „პარტიზანის" პრეზიდენტ ივან ჩურკოვიჩის თქმით, მან 130 კილომეტრიანი ავტოგარბენი გააკეთა ბუქარესტამდე, სადაც ფიფას პრეზიდენტის მრჩეველი მიშელ პლატინი გეორგე ჰაჯის გამოსათხოვარ მატჩს ესწრებოდა და ბელგრადში წაიყვანა. საინტერესოა, რომ ჩურკოვიჩი 70-იან წლებში ფრანგული „სენტ ეტიენის" მეკარე და კაპიტანი იყო. ამ გუნდში თამაშობდა ახალგაზრდა პლატინიც...

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 5 | 4 | 1 | 0 | 7:1 | 13 |
| შვეიცარია | 5 | 2 | 2 | 1 | 13:5 | 8 |
| სლოვენია | 5 | 1 | 4 | 0 | 8:7 | 7 |
| იუგოსლავია | 4 | 1 | 2 | 1 | 4:3 | 5 |
| ფარერები | 4 | 1 | 1 | 2 | 5:8 | 4 |
| ლუქსემბურგი | 5 | 0 | 0 | 5 | 1:14 | 0 |

2 ივნისი: რუსეთი — იუგოსლავია; ფარერები — შვეიცარია; სლოვენია — ლუქსემბურგი
6 ივნისი: შვეიცარია — სლოვენია; ლუქსემბურგი — რუსეთი; ფარერები — იუგოსლავია


იუგოსლავიელებმა ვერც დმიტრი ხოხლოვი გააჩერეს და ვერც სხვა რუსები


რუუდ ვან ნისტელროი

### II ჯგუფი

**ირლანდია 3:1 ანდორა**

0:1 ი. ლიმა (33), 1:1 კილბეინი (34), 2:1 კინსელა (36), 3:1 ბრინი (76)
**ირლანდია:** გივენი, გ. კელი, ჰარტი, დანი, ბრინი (სტონტონი 85), ჰოლანდი, კენედი (კარი 68), კინსელა (ფინანი 79), დოჰერტი, კონოლი, კილბეინი
**ანდორა:** ა. სანჩესი, ესკურა, ლუჩენა, ხონასი, ტ. ლიმა, ი. ლიმა, გონსალესი (ხავიერ სორია 97), ხიმენესი (მ. პუიოლი 81), სონეიე, ჟ. სანჩესი (ფერნანდესი 46), რუისი
მსაჯი: კრისტინ იაკობსონი (ისლანდია)
35 000 მაყურებელი

**საინტერესო** ის გახლავთ, რომ თამაშის შემდეგ გამარჯვებული გუნდის მწვრთნელიც კმაყოფილი იყო და დამარცხებულისაც. მიკ მაკარტიმ განაცხადა, ბედნიერი ვარო. ბუნებრივია, ირლანდიელები ხომ ამ გამარჯვების შემდეგ ლიდერობენ. ბედნიერი იყო ანდორელი დავიდ როდრიგოც და ესეც ბუნებრივია — მისი ფეხბურთელები ამ შეხვედრაში დაწინაურდნენ.

„ასეთი თამაშები მეზიზღება" — დასძინა შემდეგ მაკარტიმ — „ეს იყო მოსაგები მატჩი, რომლისთვისაც არც ვინმე შეგაქებს და არც ვინმე დაგიმეგობრდება. არადა, პირველ ადგილზე ვართ, იქ, სადაც ვერავინ წარმოგვიდგენდა".

როდრიგომ სტუმრული თავაზიანობით განაცხადა, მწამს ჯგუფში პირველ ადგილზე ირლანდია გავაო, შემდეგ კი ჩაურთო — შეხვედრას ჩვენ ვაკონტროლებდითო.

„თუმცა, ბოლოს ირლანდიელებმა შეგვიტიეს. მაგრამ, ეგ არაფერი. ჩემი ბიჭების დღევანდელი თამაშით ძალიან კმაყოფილი ვარ" — დააგვირგვინა ანდორელმა. ზუსტად ისე, როგორც ამ გუნდების პირველი შეხვედრის დროს, ანდორელებმა დაცვა გაამაგრეს, უკანა ხაზში ხუთი ფეხბურთელი გაამწკრივეს და წინ მხოლოდ ხული სანჩესი დატოვეს.

ამ ტაქტიკის ფონზე ირლანდიელებს თავიდან თითქოს შეტევაში ფანტაზიის ნაკლებობა შეენიშნებოდათ, მათი ძირითადი ხერხი ის იყო, რომ ბურთს სიღრმიდან თავიანთი ცენტრფორვარდისკენ, გერი დოჰერტისკენ აწვდიდნენ, დოჰერტი კი ერთი მხრივ მჭიდროდ იყო „ჩაკეტილი" და მეორე მხრივ, იგი ჩვეულებრივ ცენტრალური მცველია.

მეტიც, 35 ათასი დუბლინელის თვალწინ ირლანდიელებმა პირველი გოლი გაუშვეს. ეს 33-ე წუთზე მოხდა, როდესაც ხუსტო რუისმა მარჯვნიდან ჩააწოდა ბურთი, სადაც ყველაზე მაღლა მცველი ილდერფონს ლიმა ახტა და თავურით შეი გივენს გაუტანა.

შემდეგ, პრესკონფერენციაზე, მაკარტიმ ამ გოლს „გონზე მომყვანი" უწოდა, რადგან ერთ წუთში იგივე განმეორდა საპირისპირო საჯარიმოსთან: მეტ ჰოლანდის პასით, დოჰერტიმ თავურით შეუგდო ალფონსო სანჩესს.

36-ე წუთზე ირლანდიამ მეორეც გაიტანა: დოჰერტიმ ახლა მარკ კენედის ჩაწოდებულს დაჰკრა თავი, ბურთი ხარიხას მოხვდა, უკან გადმოვარდა და მარკ კინსელის დამატებით ბადეში შევარდა.

ამის შემდეგ კი სურათი შეიცვალა. ანდორელებს შეტევაზე გადასვლის ნიშან-წყალი აღარ დატყობიათ, ხოლო მასპინძლებს მადა გაეხსნათ — 76-ე წუთზე კაპიტანმა გერი ბრინმა ახლოდან მესამე შეაგდო.

მატჩის მერე, ირლანდიელთა მეორე გოლის ავტორი, მარკ კინსელი გაოცებული ამბობდა:

„საოცარია, ანდორელებთან თამაშს რიტმი არ აქვს. როგორც კი რომელიმე მათგანს შეეხები, ვარდება. მაგრამ ჩვენ მოგება გვინდოდა და მოვიგეთ, ახლა კი 2 ივნისს პორტუგალიასთან დიდ თამაშს ლიდერის რანგში დაველოდებით".

**ჰოლანდია 4:0 კვიპროსი**

1:0 ჰასელბაინკი (29), 2:0 ოვერმარსი (35), 3:0 კლუივერტი (44), 4:0 ვან ნისტელროი (82)
**ჰოლანდია:** ვან დერ სარი, ზეედორფი (ვან ნისტელროი 71), მელხიოტი, ჰოფლანდი, ფ. დე ბური, ვან ბომელი, ზენდენი, კოკუ, კლუივერტი, ჰასელბაინკი (ვან ჰოიდონკი 71), ოვერმარსი (ვ. სიკორა 83)
**კვიპროსი:** მორფისი, კონსტასი, გერმანუ, ფილიპუ, ხარალამბუსი, მელანარკიტისი, ენგომიტისი (კაიაფასი 89), საეისი, ოკასი (აგათოკლეუსი 84), ხრისტოდულუ (იასუმი 76), კონსტანტინუ
მსაჯი: იური ბასკაკოვი (რუსეთი)
30 000 მაყურებელი

**ჰოლანდიამ** მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპისკენ პატარა ნაბიჯი გადადგა: საკმაოდ მოსაწყენ შეხვედრაში 4:0 სძლია კვიპროსს.

„ჩვენ ძალიან ცუდად ვითამაშეთ" — თქვა შემდეგ ლუის ვან გაალმა — „პირველი ტაიმი უსუსტესი იყო, მეორე კი უარესი. ერთადერთი, შედეგი მომეწონა. არადა, აქაც, უამრავი მომენტიდან მხოლოდ ოთხი გამოვიყენეთ. ბურთსაც ძალიან ხშირად ვკარგავდით..."

პირველი გოლი 29-ე წუთზე გავიდა, როდესაც „ჩელსის" ფორვარდმა ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკმა საჯარიმოდან შეაგდო მოწინააღმდეგის კარში. გავიდა ექვსი წუთი და მარკ ოვერმარსმა დაკარგულ ბურთს მიუჩინა ადგილი ბადეში.

მესამე გოლი პატრიკ კლუივერტმა შეაგდო და ვან გაალის ქებაც დაიმსახურა. ბუდევინ ზენდენის პასით მან აკრობატულად მიაღწია შედეგს.

შემდეგ, მოედანზე რუუდ ვან ნისტელროი გამოჩნდა და ეინდჰოვენის სტადიონზე შეკრებილი 30 ათასი მაყურებელი ყველაზე ენერგიულად ამ ამბავს გამოეხმაურა — ვან ნისტელროი ხომ ამ ორიოდ დღის წინ 27,3 მილიონ დოლარად „მანჩესტერ იუნაიტედში" გაიყიდა. შემოსულმა გულშემატკივარს სამი საუცხოო მომენტის ხელიდან გაშვება აჩვენა, თუმცა შემდეგ იმავ ზენდენის პასით შეაგდო.

„ძალიან გამახარა ამ გოლმა. ნაკრებში დიდი ხანი არ მეთამაშა და აი, გოლით დავბრუნდი" — განაცხადა თავდამსხმელმა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ირლანდია | 6 | 4 | 2 | 0 | 15:4 | 14 |
| ჰოლანდია | 6 | 3 | 2 | 1 | 17:6 | 11 |
| პორტუგალია | 5 | 3 | 2 | 0 | 11:4 | 11 |
| კვიპროსი | 6 | 2 | 1 | 3 | 10:16 | 7 |
| ესტონეთი | 5 | 2 | 1 | 2 | 6:8 | 7 |
| ანდორა | 8 | 0 | 0 | 8 | 4:25 | 0 |

2 ივნისი: ირლანდია — პორტუგალია; ესტონეთი — ჰოლანდია
6 ივნისი: ესტონეთი — ირლანდია; პორტუგალია — კვიპროსი

### III ჯგუფი

**მალტა 1:4 ისლანდია**

1:0 მიფსუდი (14), 1:1 გუდმუნდსონი (42), 1:2 სიგურდსონი (45), 1:3 გუდიონსენი (83), 1:4 გუდიონსონი (90)
**მალტა:** მუსკატი, საიდი, კარაბოტი, სპიტერი, დებონო, გიგლიო (ტეუმა 46), ბუზუტილი, ნვოკო, მიფსუდი, ბრინკატი (ტურნერი 46), ზარა (მალია 72)
**ისლანდია:** არასონი, ვიდარსონი, ჰრეიდარსონი, გრეტარსონი, გუნარსონი, კრისტინსონი, გუდმუნდსონი, სვერისონი (მარტეინსონი 46), გუდიონსენი, სიგურდსონი, სიგტორსონი (გუდიონსონი 46)
მსაჯი: კონსტანტინ ზოტა (რუმინეთი)
12 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 5 | 3 | 2 | 0 | 6:0 | 11 |
| ბულგარეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 10:6 | 10 |
| დანია | 5 | 2 | 3 | 0 | 9:3 | 9 |
| ისლანდია | 5 | 2 | 0 | 3 | 7:9 | 6 |
| ჩრდ. ირლანდია | 5 | 1 | 1 | 3 | 5:7 | 4 |
| მალტა | 5 | 0 | 1 | 4 | 1:13 | 1 |

2 ივნისი: ისლანდია — მალტა; ჩრდ. ირლანდია — ბულგარეთი; დანია — ჩეხეთი
6 ივნისი: ისლანდია — ბულგარეთი; დანია — მალტა; ჩეხეთი — ჩრდ. ირლანდია

### VI ჯგუფი

**ლატვია 1:1 სან მარინო**

1:0 პახარსი (1), 1:1 ალბანი (59)
**ლატვია:** კოლინკო, სტეპანოვსი, ასტაფიევსი, ზემლინსკისი, კოლესნიჩენკო (მიხოლაპსი 46), ბლაგონადეჟდინსი, ივანოვსი (ზაკრეშევსკისი 77), რინკუსი (იელისეევსი 66), პახარსი, რუბინსი, შტოლცერსი
**სან მარინო:** გასპერონი, ალბანი, ვანუჩი, დელა ბალდა, მატეონი, ბაჩოკი, ბული (რ. მონტანა 79), მუკიოლი, სელვა (ა. მონტანა 82), ძონძინი, მანძაროლი (ნანი 90)
მსაჯი: კარენ ნალბანდიანი (სომხეთი)
2 000 მაყურებელი

**43-ე წამზე** ინგლისურ „საუთჰემპტონში" მოთამაშე მარიან პახარსმა რინკუსის პასით სანმარინოელებს გოლი გაუტანა და ყველას ეგონა, მორჩა, წასულია სტუმართა საქმეო, მაგრამ...

ლატვიელმა ფეხბურთელებმა დღესასწაული მოუწყვეს სან მარინოს — წერდა ერთ-ერთი ლატვიური გაზეთი. რატომაც არა, სანმარინოელებმა ისტორიაში მეორე ქულა მიითვალეს, სტუმრად — პირველი.

პირველი სიხარული მათ 8 წლის წინათ ეწვიათ, როცა 1993 წელს, აშშ-ის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში თურქეთის ნაკრებთან შინ 0:0 ითამაშეს.

პრესკონფერენციაზე სან მარინოს ნაკრების მწვრთნელმა თქვა, ჩემი გუნდი ევოლუციურ პროგრესს განიცდის, ხუთი წლის მერე უფრო ძლიერები ვიქნებითო. ლატვიელთა ინგლისელმა მწვრთნელმა გარი ჯონსონმა კი თანამდებობა დატოვა. სტუმართა სიხარული მუკიოლიმ და ალბანიმ გამოჭედეს. 59-ე წუთზე პირველმა საჯარიმოში ჩაკიდა ბურთი, ლატვიელმა მცველებმა ალბანი მიატოვეს და მანაც ვარდნაში კოლინკოს თავით გაუტანა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შოტლანდია | 5 | 3 | 2 | 0 | 10:3 | 11 |
| ბელგია | 4 | 2 | 2 | 0 | 16:3 | 8 |
| ხორვატია | 3 | 1 | 2 | 0 | 5:2 | 5 |
| ლატვია | 5 | 1 | 1 | 3 | 3:10 | 4 |
| სან მარინო | 5 | 0 | 1 | 4 | 2:18 | 1 |

2 ივნისი: ხორვატია — სან მარინო; ბელგია — ლატვია
6 ივნისი: ლატვია — ხორვატია; სან მარინო — ბელგია

### VII ჯგუფი

**ავსტრია 2:0 ლიხტენშტაინი**

1:0 გლიდერი (43), 2:0 ფლოგელი (75)
**ავსტრია:** მანინგერი, პრილასნიგი, ბაური, ჰიდენი, კიტცბიხლერი (იბერტსბერგერი 75), ფლოგელი, კირხლერი, ჰორტნაგლი, ვასტიჩი (ვაისენბერგერი 61), ჰერცოგი ([illegible] 89), გლიდერი
**ლიხტენშტაინი:** ჟელე, ოსტერლტი (ბიუხელი 66), ჰეფტი, რაიტერი, ზეხი, ჰასლერი, ბეკი (დელია 62), ფრიკი (მიხაელ შტოკლასა 81), მარტინ შტოკლასა, ტელსერი, გიგონი
მსაჯი: დევიდ მალკოლმი (ჩრდ. ირლანდია)
15 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ავსტრია | 5 | 3 | 2 | 0 | 7:3 | 11 |
| ესპანეთი | 4 | 3 | 1 | 0 | 10:2 | 10 |
| ისრაელი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:5 | 6 |
| ბოსნია | 4 | 1 | 1 | 2 | 6:6 | 4 |
| ლიხტენშტაინი | 5 | 0 | 0 | 5 | 0:13 | 0 |

2 ივნისი: ესპანეთი — ბოსნია; ლიხტენშტაინი — ისრაელი
6 ივნისი: ისრაელი — ესპანეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
## სამხრეთ ამერიკა

# უცნობ ბრაზილიას დროშა თავზე გადაახიეს


ბრაზილია — პერუ. ბრაზილიელთაგან მხოლოდ რომარიოს გააქვს

**XII ტური**
**ბრაზილია 1:1 პერუ**
1:0 რომარიო (66), 1:1 პაუელო (79)
**ბრაზილია:** როჟერიო, ალექსანდრო, ედმილსონი, ლუსიო, სეზარი, ლეომარი, ვამპეტა (ვაშინგტონი 80), რიკარდინიო (მინეირო 77), მარსელინიო კარიოკა (ჟუნინიო პაულისტა 46), ევერტონი, რომარიო
**პერუ:** მირანდა, რებოსიო, პაუელო, იდალგო, სოლანო, ხაიო, სიურლიზა, მუჩოტრიგო (მენდოსა 46), პალასიოსი, ოლივარესი (ტემპონე 75), მაესტრი (პიზარო 46)
50 000 მაყურებელი

**გუნდის** თამაშის შესაფასებლად ყველაზე კარგად მაყურებელთა რეაქცია გამოდგება. უკვე 25-ე წუთისთვის სან პაულუს „მორუმბიზე“ მისულმა ორმოცდაათი ათასმა გულშემატკივარმა სტვენა დაიწყო. მეორე ტაიმიდან მოყოლებული პერუელთა კომბინაციებს ისინი „ოლეს“ ძახილით ხვდებოდნენ, ხოლო 79-ე წუთზე მინდორზე ნაფლეთების წვიმა წამოვიდა — ეს ბრაზილიის დროშების ნაფლეთები იყო.

ემერსონ ლეაო უდიდეს რისკზე წავიდა, როცა ექსპერიმენტული შემადგენლობით თამაში განიზრახა. სასტარტო შემადგენლობაში მას სამი ახალწვეული ჰყავდა — ალესანდრო, ევერტონი და ლეილმარი. მოგვიანებით მათ ვაშინგტონი და მინეირო შეუერთდნენ.

ქომაგები, რომლებიც აქამდე რივალდოს აგინებდნენ, ახლა იმაზე წუხდნენ, რომ რომარიოსთვის პასის მიმცემი არავინ იყო. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ბრაზილიელებმა პერუელი მეკარე მიგელ მირანდას კარში პირველად 31-ე წუთზე დაარტყეს და ისიც საჯარიმოდან — მარსელინიო კარიოკას დარტყმა კარგი იყო, მირანდას ნახტომი უკეთესი. ტაიმის ბოლოსკენ ლეომარს და იმავ მარსელინიომ თითოჯერ კიდევ შეუტიეს მეტოქეს, მაგრამ კვლავ მირანდამ იყოჩაღა.

და რას აკეთებდა ამ დროს რომარიო? რამდენჯერაც ვეტერანმა ვარსკვლავმა ბურთი მიიღო, თანამსაჯმა იმდენჯერ ალამი ალმართა, ოფსაიდიო. ეს უპირველესად პერუელთა დაცვის ჩინებულ თამაშზე მიგვანიშნებს.


ემერსონ ლეაოს საქმე თავშისაცემად აქვს

შესვენების შემდეგ ლეაომ მინდორზე ჟუნინიო პაულისტა გაიყვანა. ჩვენთვის იოლია განსჯა, მაგრამ ალბათ აჯობებდა, ეს ცვლილება ადრე გაეკეთებინა ან პაულისტა სულაც სასტარტო შემადგენლობაში ჰყოლოდა. თუ გავიხსენებთ, რომ „ვასკუ და გამაში“ რომარიოს მეტწილად მისი პასებით გააქვს, ნაკრებშიც მათი ერთად ყოფნა სასარგებლო იქნებოდა.

რომარიომ თავისი გოლი მაინც გაიტანა — მერვე ამ ტურში. ვამპეტამ პერუელ მცველებს ზემოდან გადაუგდო ბურთი, რომელთანაც პირველი რომარიო მიიჭრა და მეკარეც მოატყუა.

ქომაგთა რისხვა რამდენადმე ჩაცხრა და როგორც შემდგომმა მოვლენებმა აჩვენა, მხოლოდ იმიტომ, რომ ცამეტი წუთის შემდეგ ახალი ძალით ეფეთქა. ხუან პაუელო ბრაზილიელთა დაცვას გასცდა და გაიტანა. გგონიათ, გაუჭირდა? არაფერიც. მცველები ისე უძრავად იდგნენ, გეგონებოდათ, მიწაში ფესვები გაუდგამთო და თავმოყვარე ფეხბურთელი ასეთ შანსს ხელიდან როგორ გაუშვებდა.

ამის მერე ორივე გუნდს შეეძლო გამარჯვების გოლის გატანა. მირანდამ ბრწყინვალე ნახტომში მოიგერია ვაშინგტონის საჯარიმო, ხოლო პაულისტას ფეხებში ჩაუვარდა და წაართვა. თავის მხრივ, არც როჟერიო ყოფილა უსაქმოდ და რომ არ ეყოჩაღა, ანდრეს მენდობა მატჩის გმირი გახდებოდა — ეგებ გმირზე მეტიც, რადგან მსოფლიოს ჩემპიონატების შესარჩევ მატჩები ბრაზილიას შინ არასდროს წაუგია. თუმცა ეს მეტისმეტი იქნებოდა — ბრაზილიამ წინა შეხვედრაში უკვე იწვნია ისტორიული მარცხი, პირველად დამარცხდა ეკვადორთან და ზედიზედ მეორედ სირცხვილს ველარ ჭამდა.

„ძალიან გავირთულეთ საქმე, თუმცა ყველაზე ცუდი ისაა, რომ მეტოქეებს ჩვენი ძველებურად აღარ ეშინიათ“ — აღიარა მატჩის შემდეგ რომარიომ და რომც არ ეღიარებინა, აშკარად ჩანს, რომ ასეა.

ისე, ძალიან საინტერესო რამეები ხდება სამხრეთ ამერიკაში. ეკვადორი ბრაზილიას უსწრებს, მეტი რაღა გინდათ.

**ბოლივია 3:3 არგენტინა**
1:0 პასი (41), 1:1 კრესპო (44), 2:1 კოლკე (55), 3:1 ბოტერო (81), 3:2 კრესპო (89), 3:3 სორინი (90)
**ბოლივია:** ფერნანდესი, გატი რიბეირო, პენია, პას გარსია, ანტონიო სანჩი, კოლკე, ხუსტინიანო, ბალდივიესო, ვაკა (რიბასი 59), პასი (კარდენასი 74), ბოტერო
**არგენტინა:** ბურგოსი, ვივასი, აიალა, სამუელი, ძანეტი (ორტეგა 62), სიმეონე, სორინი, ვერონი, აიმარი (გალიარდო 57), კრესპო, გუსტავო ლოპესი (კლაუდიო ლოპესი 46)
35 000 მაყურებელი

**ეს მატჩი** ვენესუელა-კოლუმბიის შეხვედრის მსგავსი გამოდგა. სან კრისტობალში მასპინძლები 82-ე წუთისთვის ორბურთიანი უპირატესობით იგებდნენ, მაგრამ საბოლოოდ ფრეს დასჯერდნენ. ასე იყო ლა პასშიც.

ჯგუფის ლიდერი ვერ უგებს ერთ-ერთ აუტსაიდერს, მეტიც, სამ გოლს უშვებს. მაგრამ ფაქტებს თუ შევაჯამებთ, უფრო უცნაური ისაა, როგორ მოახერხა არგენტინამ ფრის მიღწევა.

თავიდან მივყვეთ: არგენტინელთა კაპიტანი და უპირველესი მეგოლე გაბრიელ ომარ ბატისტუტა თამაშამდე კარგა ხნით ადრე დაშავდა და თუმცა უკვე მომჯობინდა, ნაკრებში არ მიიწვიეს. იგივე დაემართა მის შემცვლელ ხუან ედუარდო ესნაიდერსაც, ოღონდ მატჩამდე ორიოდ დღით ადრე. დიეგო სიმეონე, კლაუდიო ლოპესი, ხუან სებასტიან ვერონი და ერნან კრესპო ამ კვირას იტალიის ჩემპიონატში თამაშობდნენ, ოფლშეუმშრალნი უკვე თვითმფრინავში ისხდნენ და ატლანტიკის თავზე მიფრინავდნენ, ორშაბათს დილით მარსელო ბიელსა მათ ბუენოს აირესში ავარჯიშებდა, სამშაბათს ბოლივიურ სანტა კრუზში იყვნენ და ლა პასში თამაშამდე ორი საათით ადრე ჩავიდნენ. ამასთანავე გავიხსენოთ, რომ ლა პასი ზღვის დონიდან 36 მეტრზეა, სუნთქვა ჭირს და რა გასაკვირია, რომ მეორე ტაიმში ვერონს და სიმეონეს არათუ სირბილი, სიარულიც უჭირდათ.

ახლა ისევ მივუბრუნდეთ ფრის ამბავს და ვიკითხოთ — განა საოცრება არაა, რომ არგენტინელებმა ბოლო წუთებზე ორი გოლის გაქვითვა შეძლეს? და იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ არგენტინა მეხუთეადგილოსან კოლუმბიას მთელი ათი ქულით უსწრებს, მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლა, ფაქტობრივად, განაღდებული აქვს და მშვიდად შეეძლო წაგება, მათი მონდომება გმირობასაც ნიშნავს.

სტუმრები ორმოცი წუთი იგერიებდნენ ბოლივიელთა იერიშებს და მაინც გაუშვეს. ლუის გატი რიბეირომ ზედ მოედნის კიდეზე მიუსწრო ბურთს, შორეული ძელისკენ ჩააწოდა, სადაც ერთბაშად სამი ბოლივიელი იყო უმეთვალყურეოდ. ამ სამიდან გოლის გატანის პატივი ლიდერ პასს ხვდა წილად. ხუთი წუთით ადრე პასს გოლი არ ჩაუთვალეს.

ისე გამოვიდა, თითქოს არგენტინელები გოლის გაშვებას ელოდნენო და სამიოდე წუთში ერნან კრესპომ გაათანაბრა. ეს გოლი კუთხურს მოჰყვა.

თამაში ძველ კალაპოტში ჩადგა, რაც ნიშნავს, რომ სტუმრებმა შეცდომებს უხშირეს. ერთ-ერთ ასეთ შეცდომას შესვენებიდან ათ წუთში ბოლივიელთა მეორე გოლი მოჰყვა. ხოაკინ ბოტერომ გრძელი პასით მოძებნა პერსი კოლკე, რომლის გვერდითაც ვერონი აღმართულიყო. თუმცა ხომ ვთქვით, ვერონი ფეხზე ძლივსღა იდგაო და კოლკეს მისი ჩამოცილება არ გასჭირვებია, შედეგად — 2:1.

ამ ეპიზოდში თუ ვერონი აღმოჩნდა უბრალო სტატისტის როლში, მესამე გოლისას არგენტინელთა მთელი დაცვა უძრავად იდგა — 81-ე წუთზე მესამე გოლის გატანა, ფაქტობრივად, მოგებას ნიშნავდა სტუმართა უკიდურესი გადაღლის ფონზე.

რა მოხდა ბოლო ორ წუთში, ძალიან ძნელი ასახსნელია. გასაგებია, რომ ბოლივიელებმა თავი ქუდში დაიგულეს და დაისაჯნენ, მაგრამ არგენტინელებმა როგორ მოიკრიბეს უკანასკნელი ძალ-ღონე, საკითხავი აი, ეს არის. ჯერ კრესპომ გაისროლა შორიდან და ბოლივიელი მეკარის ხოსე კარლოს ფერნანდესის დოყლაპიობა დაადასტურა, მერე კი ვერონის ჩაწოდებულ საჯარიმოს ხუან პაბლო სორინი დახვდა და ...ალბათ ბოლივიელები ახლაც ბჭობენ, ეს რა დაგვემართაო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 12 | 9 | 2 | 1 | 30:11 | 29 |
| პარაგვაი | 12 | 7 | 2 | 3 | 20:11 | 23 |
| ეკვადორი | 12 | 7 | 1 | 4 | 15:15 | 22 |
| ბრაზილია | 12 | 6 | 3 | 3 | 22:11 | 21 |
| კოლუმბია | 12 | 5 | 4 | 3 | 12:9 | 19 |
| ურუგვაი | 12 | 5 | 3 | 4 | 13:18 | 18 |
| პერუ | 12 | 3 | 3 | 6 | 11:15 | 12 |
| ჩილე | 12 | 3 | 1 | 8 | 12:17 | 10 |
| ბოლივია | 12 | 2 | 4 | 6 | 8:19 | 10 |
| ვენესუელა | 12 | 1 | 1 | 10 | 8:35 | 4 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| რომარიო (ბრაზილია) | 8 |
| კრესპო (არგენტინა) | 7 |
| დელგადო (ეკვადორი) | 7 |
| რივალდო (ბრაზილია) | 5 |

# ივანე მრისხანე მშვიდად წავიდა



**ჩილეს** ეროვნულმა გუნდმა სანტიაგოში ოთხშაბათს გამართული მატჩით სტადიონიდან გულშემატკივარი გულნატკენი გაისტუმრა. დიასის ავტოგოლმა ურუგვაელებს გამარჯვება არგუნა, ჩილე კი, ფაქტობრივად, კორეა-იაპონიის მსოფლიოს ჩემპიონატის მიღმა დატოვა. გუნება-განწყობილება წაუხდათ ჩილელებს. ფეხბურთელებსაც, ალბათ, დანა პირს არ უხსნით. ის კი არა, ბევრის აზრით, უდიდესი ჩილელი ფეხბურთელი ივან სამორანო ისეთ განწყობაზეა, რომ ეროვნულ გუნდში თამაშს აღარ აპირებს.

რაღა თქმა უნდა, ჩილელები ადვილად ვერ შეელევიან თავიანთ კერპს. ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელიც ირწმუნება, სამორანოს აზრს შევაცვლევინებო, მაგრამ დიდი ჩილელი თავდამსხმელის გადაწყვეტილება მტკიცეა: „ალბათ, კიდევ შემეძლო, გუნდისთვის სარგებლობა მომეტანა, თუმცა არის დრო, როდესაც უნდა წახვიდე. ვგრძნობ, ეს დრო უკვე მოვიდა“.

პასუხი სამორანოსთვის ჩვეულებრივ, ხისტი და ალბათ რადგან თქვა, წავალო, წავა კიდეც. იგი ახლა ოცდათოთხმეტი წლისა მოყრილა. თავის დროზე „ივან მრისხანე“ თვით მადრიდის „რეალში“ და მილანის „ინტერში“ ბობოქრობდა, არც ეროვნული გუნდის ღირსებისთვის დაუშურებია ჯიგარი. მაგრამ დრო გავიდა. მრისხანე სამორანოც მხოლოდ და მხოლოდ მექსიკის „ამერიკის“ ამარად დარჩება.

# დაპკარ, დაპკარ!
## სტადიონები კოლიზეუმს ემსგავსება

**ბედი მაქვსო**, ანხელ სანჩესმა უნდა თქვას. მისი ყისმათი ბევრს შეშურდება. ორშაბათს ეს კაცი, რომელიც ხელობით ფეხბურთის მსაჯია, ბეწვზე გადარჩა. სანჩესმა ეკვადორი — ურუგვაის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი თამაშის პირველ ნახევარში მასპინძელთა მცველი აუგუსტო პოროზო მინდვრიდან გააძევა. ეკვადორელები ფიცხი ხალხია და ტრიბუნებიც უმალ აგუგუნდა. მოვლენები ჩვეული სცენარით წარიმართა. მალე მინდორზე არბიტრის საქციელით გონებაარეული, გააფთრებული გულშემატკივარი გადმოხტა და მუშტების ისტერიული ქნევით მსაჯისკენ გაემართა. ანხელ სანჩეს ძალიან გაუმართლა. ეკვადორელმა და პარაგვაელმა ფეხბურთელებმა გაავებული ზორბა კაცი მსაჯამდე არ მიუშვეს, თუმცა ჯანიანი გულშემატკივრის გაუვნებლება მხოლოდ პოლიციელთა დახმარებით მოხერხდა.

ანხელის ბედად, თამაში მაყურებელთათვის სასურველი შედეგით დამთავრდა. კაცნაკლულმა ეკვადორელებმა მოწინააღმდეგეს სძლიეს და მსაჯის არაობიექტურობაც მატჩის შემდეგ გულშემატკივართაგან არავის გახსენებია. სტადიონზე მყოფების რა გითხრათ, მაგრამ თვით ანხელს ეს დღე დიდხანს ემახსოვრება, იგი მეორე დღესაც კი ათრთოლებული ხმით იხსენებდა ამ „მცირე“ პროფესიულ ინციდენტს: „საოცრად გამიმართლა. სასწაულებრივად გადავურჩი ამ „პატარას“. იგი მხეცივით იყო და მისი მუშტი ერთხელ მაინც რომ მომხვედროდა, ალბათ დავმუნჯდებოდი“.

მართლაც რთულია ფეხბურთის მსაჯობა სამხრეთ ამერიკაში. იქ ხომ ჩხუბი, აყალმაყალი, მეტოქის უდიერად მოხსენიება და მასზე გაწევაც ჩვეული მოვლენაა.

**გიორგი გაგარდაშვილი**


ანხელ სანჩესი მძიმე ხელს გადაურჩა

## ამხანაგური მატჩები. ჩვენი ჯგუფი

### იტალია 1:0 სამხრეთ აფრიკა

1:0 მონტელა (54)
იტალია: ტოლდო, კანავარო, მატერაცი, მალდინი, ძამბროტა (პანკარო 70), ტომაზი (დი ლივიო 81), ტაკინარდი, კოკო, ლივერანი (ფიორე 46), ფ. ინძაგი (კიეზა 46), მონტელა
სამხრეთ აფრიკა: ფონჯი, მოკოენა, პირი (მკალელე 59), კარნელი (ლექოეტო 46), ისა, მოკოენა, ზუმა, მოშოეუ, ფორტჩუნი, ბარტლეტი (აუგუსტი 83), მაკკარტი (მასინგა 59)
მსაჯი: მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)
30 000 მაყურებელი

### რუმინეთი 0:0 სლოვაკეთი

რუმინეთი: სტელია (პრუნია 69), კონტრა, იუნია, ფილიპესკუ, კოდრია (გალკა 46), რადოი, როსუ (კ. მუნტეანუ 46), დ. მუნტეანუ (მარა 71), მოლდოვანი (მ. ნიკულაე 46), სტოიკა (სერბანი 61), განია (მიჰალჩია 80)
სლოვაკეთი: კონიგი (მილი 84), კარჰანი, ტიმკო, ჟურიკი, ვრაგა, ბეჩნიკი (ბაბნი 69), ლაბანტი (პოლი 67), ტომაშეკი, გრეშკო (პ. ნემეტი 71), იანოჩკო (მ. ნემეტი 81), პინტე
მსაჯი: გენადი ორილიკი (მოლდოვა)
5 000 მაყურებელი

### უნგრეთი 0:0 ფინეთი

სასტარტო შემადგენლობები
უნგრეთი: კირალი, კორსოში, შებოკი, მატიუში, პეტო, ლენდვაი, ჰამაი, დარდაი, ჰამარი, ილეშ, ჰორვატი
ფინეთი: ნიემი, ჰასანინი, კუივასტო, ტიჰინენი, ნ[illegible]ლანდი, გრონლუნდი, ნურმელა, კარიალაინენი, ფორსელი, იოჰანსონი, კოლკა
4 300 მაყურებელი

**მსოფლიოს** ჩემპიონატის მერვე ევროპულ შესარჩევ ჯგუფს ივნისის დამდეგამდე კალენდარში „ფანჯარა“ აქვს და ამით გუნდებმა ისარგებლეს, ამხანაგური შეხვედრები გამართეს. ეს სწორედ ის ჯგუფი გახლავთ, რომელშიც ოლიმპიური პრინციპით საქართველოს ნაკრებიც მონაწილეობს და ამიტომ მისი სხვა წევრების მატჩებს ცალკე მიმოხილვაში მოვუყარეთ თავი.

ჯგუფის ლიდერმა, იტალიამ პროვინციულ პერუჯაში სამხრეთ აფრიკის ეროვნულ გუნდს უმასპინძლა და 1:0 მოუგო. ამ შეხვედრაში „სკუადრა აძურას“ თავკაცმა, ჯოვანი ტრაპატონიმ ორი ახალი ფეხბურთელი გამოსცადა, მარკო მატერაცი და ფაბიო ლივერანი.

უპირველეს ყოვლისა ფაბიო ლივერანიზე ვთქვათ:

„კაცმა არ იცის, როგორ შეხვდნენ რძალს ლივერანები ამ, ალბათ, ოცი-ოცდახუთი წლის წინ, როდესაც მათი გვარის ერთმა ახალგაზრდა კაცმა ცოლის შერთვა გადაწყვიტა. საქმე კი ის გახლდათ, რომ სარძლო სომალელი იყო, შესაბამისი რასობრივი ნიშნებით, ხოლო იტალიაში, თუ არ ვცდებით, შერეული ქორწინებები პროგრესული ევროპისგან განსხვავებით, მაინც და მაინც დიდი პოპულარობით ვერასდროს დაიკვეხნიდა. მაგრამ, ასე იყო თუ ისე, სიყვარულმა გაიმარჯვა და შედეგად, 2001 წლის 25 აპრილს იტალიის ეროვნულ ნაკრებში პირველი ფერადკანიანი ფეხბურთელი გამოჩნდა.

გამოჩენა იყო და სამხრეთ აფრიკასთან შეხვედრის მე-14 წუთზე ლივერანიმ კინაღამ გოლი შეაგდო. მისი დარტყმული ჯარიმა ძელმა აისხლიტა. შემდეგ კი ამ ერთობ მკვირცხლ ნახევარმცველს არ გაუმართლა, ფეხი იტკინა და ტრაპატონიც იძულებული შეიქნა, შესვენების დროს სტეფანო ფიორეთი შეეცვალა.

„ლივერანიმ კარგად ითამაშა და რამდენიმე კარგი მომენტიც ჰქონდა, მისმა ტრავმამ ძალიან დამწყვიტა გული“ — განაცხადა მატჩის შემდეგ მრავლისმნახველმა მწვრთნელმა.

პირველ ჯერზევე ყველაფერი კარგად რომ გამოდის, ესე იგი რაღაც მთლად ისე არ არისო, უთქვამს ბრძენ ხალხს. ასე რომ, ლივერანიმ მაინც და მაინც არ უნდა განიცადოს ეს ამბავი. წინ არის მატჩი საქართველოსთან, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს, იტალო-აფრიკული გოლის ჩათვლით, რაც ჩვენი მხრივ, ბუნებრივია, არ გვსურს.

ახლა მეორე ახალწვეულზე ვთქვათ, უფრო სწორად, ტრაპატონის დავუთმოთ სიტყვა:

„ძალიან კმაყოფილი დავრჩი იმითაც, რაც მატერაცის შესრულებით ვნახე. ის თამაშს კარგად კითხულობს, მწვრთნელის დავალებებს ზედმიწევნით ზუსტად ასრულებს და საიმედოა“.

ახალწვეულებზე აზრი ჰკითხეს მათი კლუბის, „პერუჯას“ მწვრთნელს სერსე კოზმისაც, რომელმაც უპასუხა:

„ეს ბიჭები ჩვენი ქომაგების თვალწინ ცისფერი მაისურით რომ დავინახე, დიდებული გრძნობა დამეუფლა. ორივემ ჩინებულად ითამაშა და ცნობილ ვარსკვლავებს კარგად აუწყეს ფეხი. მწამს, მათ ნაკრების მუდმივი წევრობაც ხელეწიფებათ“.

შემდეგ, შთაბეჭდილებათა გაზიარება თავად მოთამაშეებს სთხოვეს.

ლივერანი: „მთავარი დღეს მოედანზე კარგ ფეხზე გასვლა იყო და ვგონებ, მე ეს შევძელი“.

სხვათა შორის, ფაბიო ლივერანი „პერუჯაში“ ახალი კაცია, 10 თვის წინ სერია C-ს „ვიტერბეზეში“ გამოდიოდა.

თავისი წილი შთაბეჭდილება გამოთქვა შეხვედრის ერთადერთი გოლის ავტორმა, „რომას“ ფორვარდმა ვინჩენცო მონტელამაც:

„ეროვნული ნაკრების გარდა, გოლი ყველა დონეზე მქონდა გატანილი, ასე რომ, ძლიერ კმაყოფილი ვარ“.

ტრაპატონიმ კი დასძინა: „სამხრეთ აფრიკელები ქების სიტყვებს იმსახურებენ. მათ წინააღმდეგ თამაში ძნელი ყოფილა. იქნებ, კიდევ ერთის გატანაც გვერგებოდა, მაგრამ არა უშავს, მომხდარითაც კმაყოფილი ვარ“.

რუმინეთის ნაკრების თავკაცმა ლადისლაუ ბოლონიმ კი სრული ექსპერიმენტი ჩაატარა, მოედანზე მეტწილად გამოუცდელი ხალხი გაუშვა და ნახა, რომ ისინი უამრავ მომენტს ქმნიან, გოლი კი ვერ გააქვთ. თუმცა, მთლად ისეც ნუ წარმოვიდგენთ, თითქოს იქ, პლოეშტში მხოლოდ ერთი გუნდი თამაშობდა — სლოვაკებმა პირველ ნახევარში აჯობეს მასპინძლებს და მე-11 წუთზე მათმა ნახევარმცველმა ვრატისლავ გრეშკომ საუცხოო შესაძლებლობაც ვერ გამოიყენა. ცნობისთვის: გრეშკო მილანის „ინტერში“ თამაშობს.

მაგრამ, რუმინელებმა მეტოქისთვის ინიციატივის წართმევა მოახერხეს და მომენტი მომენტზე შექმნეს. ამ შეხვედრაში რატომღაც სათადარიგოთა სკამზე იჯდა „ვერონას“ ფორვარდი ადრიან მუტუ, ხოლო „სენტ გალენის“ თავდამსხმელ, იონელ განეას კაპიკის ფასი არაფერი გაუკეთებია.

ითამაშა უნგრეთმაც — ბუდაპეშტში ფინელები ესტუმრნენ და 4 300 კაცის თვალწინ ვერც გაიტანეს და არც გაატანინეს.

**ბაჩუნა ჭედია**



იტალია ფაბიო ლივერანიმ (№10) გაამშვა

REUTERS ფოტოქრონიკა

### მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
### აზია

VII ჯგუფი. II ტური

**იორდანია 2:0 ტაივანი**

1:0 ალ ლაჰამი (16), 2:0 ომარ შილბაიეჰი (57)

**უზბეკეთი 1:0 თურქმენეთი**

1:0 კასიმოვი (63)

სასტარტო შემადგენლობები
უზბეკეთი: ბელიაკოვი, ლუშანი, პაშინინი, ბაკაიევი, ანამატოვი, სეიტკამალოვი, დაგლეტოვი, შარშოვი, დიონისიევი, კასიმოვი, ირისმეტოვი
თურქმენეთი: კორობკო, გოჩკულიევი, იგნატოვი, მერედოვი, დურდიევი, მინგაზოვი, ბერდიევი, მაგდიევი, ხომუხა, გოგოლაძე, ბაირამოვი
49 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უზბეკეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 8:0 | 6 |
| თურქმენეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| იორდანია | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ტაივანი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:9 | 0 |

### ბოსნია

თასის 1/4 ფინალი. II მატჩები

ოლიმპიკი — ჟელეზნიჩარი 0:0 (0:4); კოსელიაკი — სარაევო 0:0 (0:3); პოსუშიე — ტრავნიკი 2:0 (3:0), ომლადინაცი — სიროკი ბრიეგი 0:1 (1:2)

### ევროპის 16-წლამდელთა ჩემპიონატი

ინგლისი 2001

B ჯგუფი

II ტური

ჰოლანდია — პოლონეთი 2:0; თურქეთი — რუსეთი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| ჰოლანდია | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| თურქეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| პოლონეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |

D ჯგუფი

II ტური

საფრანგეთი — ხორვატია 3:0; შოტლანდია — ფინეთი 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:0 | 6 |
| შოტლანდია | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| ხორვატია | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| ფინეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |

### მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
### კონკაკაფი

III ტური

**ტრინიდადი და ტობაგო 1:1 მექსიკა**

1:0 ენდრიუსი (14), 1:1 ბორდო (61)
16 000 მაყურებელი

**აშშ 1:0 კოსტა რიკა**

1:0 ვოლდი (70)
37 319 მაყურებელი

**იამაიკა 1:1 ჰონდურასი**

1:0 გარდნერი (56), 1:1 კაბალიერო (80)
32 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აშშ | 3 | 3 | 0 | 0 | 5:1 | 9 |
| კოსტა რიკა | 3 | 1 | 1 | 1 | 5:3 | 4 |
| მექსიკა | 3 | 1 | 1 | 1 | 5:3 | 4 |
| იამაიკა | 3 | 1 | 1 | 1 | 2:5 | 4 |
| ჰონდურასი | 3 | 0 | 2 | 1 | 4:5 | 2 |
| ტრინიდადი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 |

16 ივნისი: მექსიკა — კოსტა რიკა; იამაიკა — აშშ; ტრინიდადი და ტობაგო — ჰონდურასი




**იყიდება**

ოროთახიანი სუფთა ბინა 38 კვ.მ. მიშენებით,
დიღმის მასივში, მე-4-ე კვარტალი,
მე-10-ე კორპუსი, პირველი სართული.
ფასი შეთანხმებით
ტელ.: 95-90-32, 39-71-98, 877 42-82-83




**ნელ-ნელა** მიდიან ძველი დროის გმირები. გუშინწინ კიბოთი გარდაიცვალა კიევის „დინამოს“, მოსკოვის „ტორპედოსა“ და საბჭოთა კავშირის ნაკრების ყოფილი მეკარე ვიქტორ ბანიკოვი, რომელიც 29 აპრილს 63 წლის შესრულდებოდა...

ქართველი გულშემატკივრების ძველ და საშუალო თაობას კარგად ესსომებათ ბანიკოვის თამაში. მას ხომ არა ერთხელ მოვუხიბლივართ, როცა თბილისის „დინამოს“ თავდამსხმელთა დარტყმები მოუგერიებია.

ბანიკოვმა სსრკ-ის ნაკრებში 14-ჯერ ითამაშა, 1966 წელს კი, ინგლისის მსოფლიოს ჩემპიონატზე ლეგენდარული ლევ იაშინის დუბლიორი გახლდათ. კიეველთა შემადგენლობაში, 1967-68 წლებში, ის ორჯერ გახდა საბჭოეთის ჩემპიონი, ხოლო 1964 და 70 წლებში ქვეყნის საუკეთესო მეკარედ აღიარეს.

1991-96 წლებში ვიქტორ ბანიკოვი გახლდათ უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პირველი პრეზიდენტი. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ის იგონებდა: „1991-ის დეკემბერში სსრკ-ის ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთ სხდომაზე პრეზიდენტმა ვიაჩესლავ კოლოსკოვმა 1992 წლის საკავშირო ჩემპიონატის კალენდრის შესახებ ჩამოაგდო ლაპარაკი. სიტყვა ვითხოვე და ვუთხარი, ეს საკითხი დღის წესრიგიდან მოეხსნათ, რადგან უკვე ეროვნული პირველობის ჩატარებას ვაპირებდით. ამავე დროს გამოვეყავით უკრაინის სპორტკომიტეტს. ჩვენი პირველი ბიუჯეტი სულ 84 მანეთი იყო. მერე ნელ-ნელა ყველაფერი აეწყო“...

ბანიკოვს უკრაინა დღეს დაემშვიდობება ქვეყნის მთავარ სტადიონ „ოლიმპიისკიზე“. შემდეგ კი ბაიკოვის სასაფლაოზე დაკრძალავენ.

### ფეხბურთის რუკასთან



**ინგლისური** „ვესტ ჰემის“ თავდამსხმელ ფრედერიკ კანოს არაერთი წამყვანი ევროპული კლუბი ეპატიჟება. პრემიერლიგელთაგან „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „ლივერპული“ აქტიურობენ, ხოლო ფეხბურთელის იტალიაში გადაბირება ტურინის „იუვენტუსს“ სურს. „ბევრი ისეთი კლუბია, რომლის რიგებში თამაშიც ჩემთვის საოცნებოა. თუმცა ამ სეზონის დასრულებამდე არაფერს გადავწყვეტ“ — განაცხადა ლონდონურ კლუბში ფრანგული „ლიონიდან“ ჩარიცხულმა ფორვარდმა. ისიც გახმაურდა, რომ თუ „ვესტ ჰემი“ კანოს გაშვებას დათანხმდა, მის სანაცვლოდ სულ მცირე 10 მილიონ გირვანქას მოითხოვს.

**თურქეთის** ჩემპიონი „გალათასარაი“ ბრაზილიელ ნახევარმცველ ჟუნინიო პაულისტასთან აწარმოებს მოლაპარაკებებს და შესაძლოა სეზონის დასრულებისთანავე შეიძინოს კიდეც. შეგახსენებთ, რომ ჟუნინიო ახლა „ვასკუ და გამაში“ თამაშობს და ეს კლუბი თანახმაა, ნახევარმცველი კვლავ ევროპაში დაბრუნდეს, სადაც მას „მიდლსბროსა“ და მადრიდის „ატლეტიკოს“ ღირსება დაუცავს. თუმცა მას შემდეგ, რაც მადრიდული კლუბი შარშან პრიმერადივიზიონიდან გავარდა, ჟუნინიომ „ატლეტიკო“ დატოვა და ბრაზილიაში დაბრუნდა.

**საბერძნეთის** ჩემპიონ „ოლიმპიაკოსის“ ხელმძღვანელობას განზრახული აქვს, დაცვა გააძლიეროს და ამ მიზნით მიუნხენის „ბაიერნის“ შვედ ცენტრალურ მცველ პატრიკ ანდერსონთან აწარმოებს მოლაპარაკებებს. ბუნდესლიგურმა კლუბმა ამას წინათ განაცხადა, რომ შვედის გაყიდვას არ აპირებს, თუმცა საბოლოოდ თუ დათანხმდება, ყველაზე მცირე 10 მილიონ დოლარს მოითხოვს. აღსანიშნავია, რომ ბერძნები „ლაციოს“ მცველ ფერნანდუ კოუტუსაც შეეხმიანნენ და თუ ანდერსონი ვერ გადაიბირეს, შესაძლოა, სწორედ პორტუგალიელი ჩაიგდონ ხელში.

**ინგლისური** „ნიუკასლ იუნაიტედის“ ნახევარმცველ რობერტ ლისთვის სეზონი დასრულდა. იგი დაშავებულია, შესაძლოა ოპერაცია დასჭირდეს და თვეზე ადრე მინდორს ვერ დაუბრუნდება. 35 წლის ფეხბურთელს მუხლის ქრონიკული ტრავმა თითქმის მთელი სეზონის განმავლობაში აწუხებდა, რის გამოც ხშირად თამაშებსაც ტოვებდა, ბოლო ხანს კი მუხლის ტრავმა კიდევ უფრო გაურთულდა. ექიმებმა განაცხადეს, თუ ახლა საფუძვლიანად არ იმკურნალებს, მის კარიერას საფრთხე ემუქრებაო.

**არგენტინელმა** მცველმა ხავიერ ძანეტიმ ახალი სეზონი შესაძლოა მადრიდის „რეალში“ დაიწყოს. იტალიური სააგენტოების ცნობით, „სამეფო კლუბს“ სერიოზულად განუზრახავს ამ სეზონის ბოლოს მისი „ინტერიდან“ გადაბირება. ესპანეთის პოტენციური ჩემპიონები ლისაბონის „სპორტინგსაც“ უთვლიან, გვსურს, თქვენი 25 წლის ცენტრალური მცველი ბეტუ სევერუ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ვიხილოთო, თუმც ისიც უნდა ითქვას, რომ პორტუგალიელის შეძენას იტალიური „მილანიც“ ლამობს.

**იტალიურ** „ატალანტას“ ცენტრალური მცველი მასიმო პაგანინი ტრავმის გამო დაახლოებით ორი კვირით იძულებით დაისვენებს. მილანის „ინტერისა“ და „ბოლონიას“ ყოფილი მოთამაშე გუნდში უკვე მეოთხე დაშავებულია. ბერგამოელები — მასიმო დონატი, ჯანპაოლო ბელინი და დამიანო ძენონი უკვე კარგა ხანია, ტრავმირებულნი არიან. პაგანინი სავარაუდოდ თავისი ყოფილი ორი კლუბის — „ბოლონიასა“ და „ინტერის“ წინააღმდეგ შეხვედრებს გამოტოვებს.

**არგენტინელი** თავდამსხმელი ხუან ედუარდო ესნაიდერი სანაკრებო შეკრებაზე ვარჯიშისას დაშავდა და დაახლოებით ერთ თვეს ვერ ითამაშებს. „მარცხენა მუხლი დავიზიანე და შესაძლოა ოპერაციაც გამიკეთონ“ — განაცხადა ტურინის „იუვენტუსის“ ყოფილმა მოთამაშემ, რომელიც ახლა „სარაგოსას“ ღირსებას იცავს. არგენტინელი ესპანურ კლუბში ერთი სეზონია, თამაშობს და დღემდე 11 გოლის გაიტანა.


**ინფორმაცია 24 საათის განმავლობაში**
**ფეხბურთი, NHL, NBA**
☎ 8 22 009 000, 8 22 009 001 (1წთ / 50 თეთრი)



# ორი მასპინძლის სამი თილისმა

**ლი იუნ ტაკი** გახარებულია და სიახლესაც სიამოვნებით ამცნობს კორეა-იაპონიის 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატით დაინტერესებულ ფეხბურთის გულშემატკივრებს. ატო, ნიკი და კაზი იმ ეგზოტიკური ცხოველების სახელებია, რომლებიც ჩემპიონატის თილისმებად აირჩიეს. დიახ, ნუ გაგიკვირდებათ, მათი სახელები დემოკრატმა აზიელებმა საყოველთაო აზრის გათვალისწინებით დაადგინეს. ატოს, ნიკის და კაზის თითქმის მილიონამდე ნათლია ჰყავთ. ბევრმა თავის რჩეულთა სახელები საინტერესო ხაზების საშუალებით მიაწოდა ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტს, ზოგიერთმა კი ამ უწყებას ხმა სასადილოებიდან და სხვა საზოგადოების თავშეყრის ადგილებიდან მიაწვდინა.

საორგანიზაციო კომიტეტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, იგივე ლი იუნ-ტაკი განმარტავს, რომ მაყურებელთა ჩართვა ამ საპასუხისმგებლო საქმეში კორეასა და იაპონიაში ფეხბურთის პოპულარიზაციის მიზანს ემსახურება.

ცისფერი, ყვითელი და მეწამული ფერის თილისმები მსოფლიოს ჩემპიონატის დროს სხვაგვარადაც დასაქმდებიან — ორგანიზატორები მათი გამოსახულებიანი მაისურების, კეპების და ათასი ამგვარი სუვენირისგან გვარიან შემოსავალს ელიან.

# დაიერზე დავა ატყდა
## იუნაიტედი, იუნაიტედი და იუნაიტედი

**რაო,** „მანჩესტერ იუნაიტედი" კირონ დაიერში 20 მილიონს იხდისო? ამ ცნობის გავრცელება იყო და მეორე დღეს „ნიუკასლის" 22 წლის ნახევარმცველის სხვა მოსურნეებმაც წამოყვეს თავი.

მიუხედავად იმისა, რომ დაიერის გადაბირება იტალიურ გიგანტებს, „იუვენტუსსა" და „ინტერსაც" განუზრახავთ, ალექს ფერგიუსონის მთავარ მოცილედ მაინც დევიდ ოლირი ითვლება. ისევე როგორც მანჩესტერული, ლიდსური „იუნაიტედიც" კარგა ხანია აკვირდება ნომინალურად მცველ, ფაქტობრივად ნახევარმცველ, ხშირად კი თავდასხმაში მოთამაშე დაიერს. და არა მარტო აკვირდება — „ნიუკასლ იუნაიტედმა" ერთხელ უკვე იუარა იორკშირელთა წინადადება. ამასობაში დაიერმა თავი ნაკრებშიც ამოჰყო და მისი ფასი 6,5 მილიონიდან (რაც ჯორდებმა გადაუხადეს „იფსვიჩს" ორი წლის წინ) 20 მილიონ გირვანქამდე გაიზარდა.

„ფასი არ გვაღელვებს. გასარკვევი მხოლოდ ისაა, მოვხვდებით თუ არა მომავალ ჩემპიონთა ლიგაში. თუ ჩვენი მიზანი ალსრულდა, ოლირისთვის სასურველ ფეხბურთელებს ნამდვილად შევიძენთ" — ამბობს „ლიდსის" თავმჯდომარე პიტერ რიდსდეილი, რომლის ყველაზე დიდი შენაძენი აქამდე 18 მილიონიანი რიო ფერდინანდი გახლავთ.

ერთი შეხედვით, „ნიუკასლიც", მისი მწვრთნელი ბობი რობსონიც და თავად ფეხბურთელიც უარზე არიან. „მე ნიუკასლში ვრჩები და დამთავრდა" — ამბობს დაიერი. აბა, რიღასი ეიმედებათ ოლირის და ფერგიუსონს? ალბათ იმის, რომ ზაფხულში რობსონი დიდი




მარტ პოომი

ვაჭრობის გაჩაღებას აპირებს. როგორც ყოველთვის ამ ბოლო წლებში, ჩრდილოელებს სასურველი მოთამაშეების უზარმაზარი სია აქვთ: 10 მილიონ დოლარად შეფასებული ჰოლანდიელი თავდამსხმელი ვიქტორ სიკორა „ვიტესიდან", „პანათინაიკოსის" ნახევარმცველი გეორგის კარაგუნისი, „ლიდსის" ფორვარდი მაიკლ ბრიჯისი (აი, ოლირის კოზირი) და რაც მთავარია, ხოსეპ გვარდიოლა, ვინც სეზონის ბოლოს მშობლიურ „ბარსელონას" ტოვებს და ვისაც ბობი რობსონი კვირაში 100 ათას დოლარს ჰპირდება. (მაგრამ თუ გუშინდელ „მირორს" დავუჯერებთ, გვარდიოლა უკვე მოელაპარაკა „ტოტენჰემს" და 1 ივლისს კონტრაქტსაც გააფორმებს).

მოკლედ, დაიერის ამბავი ალბათ ზაფხულში გადაწყდება, მანამდე კი „ლიდსმა" 11 მილიონი გირვანქა გადაუხადა მილანის „ინტერს" და აქამდე ოდენ იჯარით წამოყვანილი ირლანდიელი რობი კინი 5 წლით დაისაკუთრა. და კიდევ: პიტერ რიდსდეილმა ოფიციალურად განაცხადა, რომ თუ მისი კლუბი ჩემპიონთა თასს დაისაკუთრებს, თითოეული ფეხბურთელი 125 ათასი გირვანქით გამდიდრდება.

ამასთან შედარებით მოკრძალებულია ევროთასის კიდევ ერთი მაძიებლის, მერსისაიდული „ლივერპულის" მოთამაშეთა პრემიები — იმ შემთხვევაში, თუ ეს გუნდი უეფასა და ინგლისის თასებს მოიპოვებს, მათ 35-35 ათასი ერგებათ (ათ-ათი ათასი ლიგის თასის აღებისთვის უკვე ჩაიჯიბეს).

ისევ ფერგიუსონს დავუბრუნდეთ. ვან ნისტელროისთან დადებული კონტრაქტის შემდეგ ჩემპიონთა მწვრთნელმა მზერა მეკარეებს მიაპყრო. არცაა გასაკვირი — ფაბიენ ბარტეზს ღირსეული შემცვლელი ესაჭიროება, 38 წლის ჰოლანდიელი რაიმონდ ვან დერ გოუ და სასწრაფოდ ნათხოვარი 37 წლის ენდი გორამი სეზონის ბოლოს კლუბს ალბათ დატოვებენ. სერ ალექსმაც ბარტეზის კბილა, 29 წლის მარტინ პოომის შესყიდვა მოინდომა და თავის დროზე ტალინური „ფლორადან" ნახევარ მილიონად შეძენილ ესტონელ მეკარეში „დერბი ქაუნთის" 4 მილიონ გირვანქას სთავაზობს.

ამ ფონზე საოცარი სულაც არაა სატრანსფერო ბაზარზე ცნობილი ვაჭრის, არაბი მოჰამედ ალ-ფაედის გააქტიურება. ლონდონის „ფულემის" მეორე დივიზიონიდან პრემიერლიგაში გამომყვანი მილიონერი, ვინც ამ ორ წელიწადში 25 მილიონი დახარჯა, უძლიერეს ლიგაში უძლიერესი ფეხბურთელებით შესვლას აპირებს. როგორც იუწყებიან, ფრანგი მწვრთნელის ჟან ტიგანას უპირველესი ფავორიტი მისი თანამემამულე ემანუელ პეტია. ყოფილი არსენალელის სურვილი, დატოვოს მისთვის უიღბლო „კამპ ნოუ", ცნობილი ფაქტია, თუმცა „ფულემის" გარდა 4 მილიონად შეფასებული ფრანგის ყიდვა „ტოტენჰემსაც" სურს და „არსენალსაც". არსენ ვენგერს ვიეირა-პეტის დუეტის აღდგენა გადაუწყვეტია, მაგრამ „ბარსელონა" სამაგიეროდ, ნიგერიელ კანუს ითხოვს (კლუივერტი-კანუს წყვილიც არსებობდა ოდესღაც „აიაქსში"). ჯერჯერობით ნვანკვო უარზეა, ამიტომ პეტის ლონდონში დაბრუნების მეტი შანსი ალ-ფაედს გააჩნია, მით უმეტეს, რომ ევროპის უდიდესი მაღაზიის (და ათასი სხვა რამის) პატრონი ფრანგ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონს კვირაში 50 ათას გირვანქას სთავაზობს.

**გიგა ძოგახიძე**




რობი კინი

# უეფამ გალათასარაი გააწბილა...

**უეფამ** სტამბოლის „ალი სამი იენის" სტადიონს განუსაზღვრელი ვადით დისკვალიფიკაცია მისცა. თუ გავიხსენებთ, რომ აღნიშნულ სტადიონზე „გალათასარაი" თამაშობს და ის ევროტურნირების მუდმივი სტუმარია, ამასთანავე შინ ყოველთვის იგებს, სასჯელი საკმაოდ მკაცრად უნდა მივიჩნიოთ.

უეფას ჩინოსანთა განრისხება ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში „რეალთან" შეხვედრისას თურქთა არაორგანიზებულობას გამოუწვევია. მატჩზე მივლინებული დელეგაციის აზრით, ტრიბუნებზე ტრაგედია ოდენ ბედნიერი შემთხვევითობის წყალობით არ დატრიალდა, თორემ მასპინძელთაგან მიღებული უსაფთხოების ზომები უბედურებას ვერ შეაჩერებდა, თუნდაც იმ მიზეზით, რომ უსაფრთხოების ზომები საერთოდ არ დაცულა.

უეფას ოფიციალურ განცხადებაში წერია, რომ სანამ „გალათასარაი" უეფას არ დაარწმუნებს, რომ თამაშებისას არეულობების საფრთხე მინიმუმამდეა დაყვანილი, გუნდს საერთაშორისო მატჩების ჩატარება სადმე სხვაგან მოუწევს.

„გალათასარაის" გადაწყვეტილების გასაპროტესტებლად 28 აპრილამდე მიეცა ვადა, თუმცა, ვფიქრობთ, თურქებს ის ურჩევნიათ, იურისტებთან ჭიდილს თავი დაანებონ და უსაფრთხოებას მიხედონ, მით უმეტეს, კლუბისთვის ევროსეზონი უკვე დამთავრდა და ახლის დაწყებამდე ბლომად დრო რჩება.

ცხადია, გუნდი ჯარიმასაც ვერ გადარჩა და „რეალის" მასპინძლობა დამატებით 48 600 დოლარი დაუჯდა.

ერთი საინტერესო ამბავიც, ერთი წლის წინ უეფას თასის ფინალში გასვლისას ევროფეხბურთის მამებმა და კოპენჰაგენის „პარკენ სტადიონის" მესვეურებმა თურქი ქომაგებისთვის, როგორც წესი, ბილეთები გააგზავნეს, სულ 12 149 ცალი. ბილეთი ისაა, ზედ ფასიც რომ აწერია, მაგრამ „გალათასარაის" ხელმძღვანელებმა ხელის მოთბობა გადაწყვიტეს და ბილეთები ორმაგ ფასში გაყიდეს. ამ მარტივი, მაგრამ უკანონო ოპერაციით კლუბმა ორი მილიონი დოლარი მიიღო. ეს ამბავი უეფას ყურამდე მივიდა და ფულის კონფისკაცია მოახდინა, თან 350 ათასი შვეიცარული ფრანკიც მიაყოლა ჯარიმის სახით.

სულ რამდენში „გადავარდნენ" თურქები, თავად იანგარიშეთ.

**გიორგი დარჯანია**



ხუან რამონ რიკელმე მალე „კამპ ნოუზე" წამოგორდება

# ბოკა — ბარსა — მარადონა
# ბოკა — ბარსა — რიკელმე

**ევროპის** საფეხბურთო კლუბები სეზონის მიწურულს სამომავლო საქმეებზე ფიქრობენ და უკვე სატრანსფერო ბაზარიც გახურდა. ინგლისს რუუდ ვან ნისტელროის სახით ახალი უძვირესი ფეხბურთელი მოევლინა. გერმანიისთვის სარეკორდო თანხადაა შეფასებული „ჰერტას" ნახევარმცველი სებასტიან დაისლერი. ლაპარაკია ნიუკასლელი კირონ დაიერის „ოლდ ტრეფორდზე" გადაბარგებაზე. ახალგაზრდა ფეხბურთელის ფასმა, შესაძლოა, ნისტელროისა და იუნაიტედის რეკორდიც კი მოხსნას. იგი ჰოლანდიელზე მილიონი გირვანქით ძვირად ფასობს.

დიდი ფული, რომელიც ფეხბურთში ტრიალებს, მომჭირნე, პრაგმატულ ჩრდილოელებში გაკვირვებას იწვევს. სამხრეთი სულ სხვაა. იქ ფეხბურთში მეტი ემოცია და გაცილებით ბევრი თანხაცაა. ამიტომაც არავინ აზმაურებულა, როდესაც კატალონიურმა „ბარსელონამ" თვალი არგენტინული „ბოკა ხუნიორსის" ახალგაზრდა ნახევარმცველ ხუან რამონ რიკელმეს დაადგა და მოლაპარაკების ფინანსური მხარეები გამოამზეურა. რიკელმეს სატრანსფერო ღირებულება 26 მილიონ ამერიკულ დოლარს უტოლდება და მცირედით თუ ჩამოუვარდება ჩრდილოელ ბობოლათა მიერ ვარსკვლავებში გადახდილ თანხას.

„ბარსამ" და მისმა ხელმძღვანელობამ თავისი საქმე ჩვენზე უკეთ იცის. რიკელმე ოცდაორი წლის გახლავთ და „ბოკას" ლიდერიცაა. კატალონიელებმა არგენტინელისადმი ინტერესი ჯერ კიდევ მაშინ გამოავლინა, როცა იგი ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშობდა. ხოლო მას შემდეგ, რაც ტოიოტას თასის ფინალში „ბოკა ხუნიორსმა" კატალონიელთა დაუძინებელი მტერი, მადრიდის „რეალი" დაამარცხა და ამ თამაშის გმირი სწორედ რიკელმე გახლდათ, ბარსელონელებმა ბიჭის დასაკუთრება ამოიჭრეს გულში.

„ლურჯ-წითლები" არგენტინელებს ხუან რამონ რიკელმეში სოლიდურ თანხას კი სთავაზობენ, მაგრამ მოგეხსენებათ სამხრეთამერიკელების ამბავი და ისინიც ფეხს ითრევენ. თუმცა ვგონებ, ცდუნებას დიდხანს ვერ გაუძლებენ და „ბოკას" ათ ნომერს „კამპ ნოუსთვის" შეელევიან. გარიგება თვით ფეხბურთელსაც კარგად ახეირებს. კატალონიელები მას დიდძალ, დღევანდელზე თხუთმეტჯერ მეტ გასამრჯელოს, 2,16 მილიონ დოლარს ჰპირდებიან.

სიტუაცია თითქმის მეორდება. „ბარსელონამ" 1982 წელს, იმ დროსთვის ზღაპრულ ფასად, ექვს მილიონ დოლარად ბუენოსაირესელთა ათი ნომერი შეიძინა. ეს კაცი დიდი დიეგო მარადონა გახლდათ. ცნობილია ლეგენდარული დიეგოს აზრი ახალგაზრდა კოლეგის შესახებაც, გულშემატკივარიც ამბობს, რომ მარადონას შემდეგ გუნდს რიკელმეს დარი ოსტატი არ ჰყოლია. ძნელი საფიქრალია, ვინმემ დიეგოს გზის გავლა შეძლოს. მაგრამ ვნახოთ, თავიდან ყველა რიკელმესავით იწყებს.

**გიორგი გამარდაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა




# საფლავები

## ტრაგიკულ ამბავთა ქართული ქრონიკა

**ერთი** შეხედვით, მწვერვალებზე დატრიალებული ტრაგედიები მთამსვლელთა რაოდენობას უნდა ამცირებდეს, მაგრამ პირიქით ხდება. მეტიც, ხშირად მთაში დაღუპულთა გზას მათი ახლო ნათესავები და მეგობრები ადგებიან. ასე დაემართა ალიოშა ჯაფარიძესაც, რომელიც 1929 წელს თეთნულდზე დაღუპული ძმის კვალს დაადგა. სამწუხაროდ, მასაც ძმის ბედი ეწია უშბაზე.

მსოფლიოს მწვერვალთაგან ყველაზე დაუნდობელის რეპუტაცია თოთხმეტიდან ერთ-ერთ რვაათასიან ნანგა პარბატს აქვს. მასზე იმდენად ბევრი და დიდი ტრაგედია დატრიალებულა, რომ მთამსვლელებმა სიკვდილის მთა შეარქვეს. კავკასიონზე თუ შეიძლება რომელიმე მწვერვალს რაღაც ამდაგვარი ვუწოდოთ, ასეთი, უპირველეს ყოვლისა, სვანეთში აღმართული ორთავა უშბაა.

სამწუხაროდ, უშბაზე დაღუპულთა რაოდენობას ზუსტად ვერ მოგახსენებთ, მაგრამ ის კი ნათელია, რომ ეს მწვერვალი ქართველ მთამსვლელთა უდიდესი სამსხვერპლოა. არსად, არც კავკასიონის, რაც პამირის და არც ტიან შანის მწვერვალებზე არ დაღუპულა იმდენი მთამსვლელი, რამდენიც უშბაზე. ამიტომ, ალბათ, უინტერესო არ უნდა იყოს რამდენიმე სიტყვით მაინც ამ მწვერვალზე ლაშქრობათა ისტორიის გახსენება.

უშბა ძველთაგანვე იზიდავდა როგორც ქართველებს, ისე უცხოელებს. ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამომავალ გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე ქვეყნდებოდა წერილების სერია სათაურით „იალბუზის გარშემო“. ერთ-ერთ ნომერში ვკითხულობთ:

„ყველა მოგზაურნი, რომელნიც კი სვანეთში ყოფილან, ერთის ხმით წერენ და ამბობენ, რომ მთელს კავკასიაში მაგისთანა დიდებული, ლამაზი და თავისებური მთა არ მოიპოვებაო და სხვა რომ არა იყოს რა სვანეთში, მარტო იმისთვის ღირს იქ წასვლა, რომ ამ მთას შეხედოს და ისიამოვნოს ადამიანმაო“.

დუგლას ფრეშფილდმა, ინგლისელმა მთამსვლელმა და გეოგრაფმა, ვინც უცხოელთაგან კავკასიონზე პირველმა გაკვალა „ბილიკები“, უშბას თავისი სირთულისა და სილამაზის გამო კავკასიონის მატერჰორნი უწოდა. შინ დაბრუნებულმა ფრეშფილდმა მაშინ, 1869 წელს, გამოაქვეყნა წიგნი „მოგზაურობა ცენტრალურ კავკასიონზე და ბაქსანში“, რომელშიც უშბის სურათიც გამოაქვეყნა, რითაც უცხოელი მთამსვლელები ააფორიაქა.

უშბაზე პირველამსვლელნიც სწორედ უცხოელები აღმოჩნდნენ. ინგლისელებმა ჯონ კოკინმა და უილიამ ალმერმა უშბის ჩრდილოეთის თავი 1888 წელს მეოთხე ცდაზე დალაშქრეს, სამხრეთის მწვერვალზე კი მთელი თხუთმეტი წლის განმავლობაში მიჰქონდათ იერიშები. მიზანს მხოლოდ მეთექვსმეტე ცდაზე მიაღწიეს. ეს შესძლო გაერთიანებული გერმანია-შვეიცარიის ექსპედიციის ხუთმა წევრმა, რომლებსაც ა. შულცე მეთაურობდა. მოგვიანებით უშბის ორივე თავი გერმანელ ლ. დისტელის მეთაურობით ტრავერსისას დალაშქრეს.

მომდევნო წლებში უშბა კიდევ ორჯერ დალაშქრეს. 1929 წელს მასზე გერმანელი მთამსვლელთა ჯგუფი ვ. მიორკლის (მოგვიანებით ნანგა პარბატზე დატრიალებული ერთ-ერთი უდიდესი ტრაგედიის მსხვერპლი, რომელზეც ჩვენი წერილების ერთ-ერთ სერიაში მოგითხრობთ) მეთაურობით ავიდა, მერე კი, 1934 წელს შვეიცარიელებისა, რომლებსაც ლ. სალადინი და ვ. ეკერტი მეთაურობდა.

იმავე წელს უშბიდან ქართველებმაც გადმოიხედეს. მანამდე, 1933 წლის მიწურულს საქართველოს პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიათა საზოგადოების სამთო-სათხილამურო სექციის თაოსნობით ჩამოყალიბდა „უშბის კომიტეტი“, რომელიც ამ მწვერვალზე ქართველთა ასასვლელად მოსამზადებელ სამუშაოს აწარმოებდა. მისი გარჯა დაფასდა, მწვერვალზე ალიოშა ჯაფარიძის მეთაურობით ავიდნენ მისი და — ალექსანდრა, იაგორ კაზალიკაშვილი და გიო ნიგურიანი. ეს იყო არა მხოლოდ პირველი ქართული, არამედ პირველი საბჭოური ასვლა უშბაზე. ეს ასვლა პამირზე, ლენინის პიკზე ლაშქრობასთან ერთად, მსოფლიოს საუკეთესო მიღწევათა დონეზე აღიარეს. თუმცა ტექნიკური სირთულით უშბა მთელი თავით მაღლა იდგა პამირის იმ შვიდიათასიან პიკზე. ამასთან, უშბაზე პირველად ავიდა ქალი, რაც იმ დროის მსოფლიოს ალპინიზმისთვის უდიდესი მოვლენა იყო.

როგორც იტყვიან, ქართველი მთამსვლელები ამით არ დაკმაყოფილდნენ და 1937 წელს კვლავ უშბის კენწეროზე მოექცნენ. მანამდე ამ მწვერვალზე 30-მდე კაცი ასულიყო, იმ წელიწადს კი უშბაზე ნამდვილი შემოსევა გაჩაღდა და საერთო ჯამში მასზე ამსვლელთა რაოდენობა 57 კაცით გაიზარდა.

და მაინც, სვანთა ასვლას ბადალი არ მოეძებნა. გაბრიელ, ბექნუ და ბესარიონ ხერგიანების, ჭიჭიკო ჩართოლანისა და მაქსიმე გვარლიანის ასვლა უშბის სამხრეთ მწვერვალზე მანამდე უვალი, ურთულესი გზით ახალი სიტყვა იყო არა მხოლოდ ქართული, არამედ საჭოთა ალპინიზმის ისტორიაში. ამ ლაშქრობით საფუძველი ჩაეყარა კედლოვან და საერთოდ ტექნიკურად რთული ასვლების კლასს.


ალიოშა ჯაფარიძე

სვანების მიერ დაძლეული კედელი ბევრად აღემატებოდა ალპებზე აღმართული ეიგერვანდისა და გრანდ ჟორასის მარშუტებს, რომელთა დაძლევა მსოფლიოს ალპინიზმის მიღწევად ითვლებოდა.

მაგრამ უშბამ ქართველებს უდიდეს გამარჯვებებთან და სიხარულთან ერთად ასევე უდიდესი ტრაგედიები და მწუხარებაც მოუტანა. მაშინ, იმ პირველი ტრაგედიისას უშბის ორივე თავი ტრავერსითაც იყო დალაშქრული.. დალაშქრული იყო მის გვერდით გაწოლილი შხელდის ექვსკბილიანი მასივიც. ალიოშა ჯაფარიძეს კი დაებადა იდეა ტრავერსით გაევლო უშბის ორივე და შხელდის მთელი მასივი. ამ მწვერვალებზე ცალცალკე ასვლა დიდ მიღწევად ითვლებოდა, ერთად დალაშქვრა კი წარმოუდგენელი ჩანდა. მიზნის მიღწევის შემთხვევაში ეს მსოფლიოს ალპინიზმის საეტაპო მოვლენად და მწვერვალად ჩაითვლებოდა.

ალიოშა ჯაფარიძეს გამოუჩნდნენ თავზეხელაღებული თანამოაზრენიც: გოჯი ზურებიანი, ნიკოლოზ მუხინი, ქელეშბი ონიანი, გენადი რაიზერი და ტელვან ჯაფარიძე. მათ 1943 წელს განიზრახეს მიზნის მიღწევა, მაგრამ გზას დიდი დაგვიანებით, 31 ოქტომბერს დაადგნენ, როცა მთაში ფაქტობრივად უკვე ზამთარი იწყება. ისინი თავდაპირველად სამხრეთ უშბაზე ავიდნენ, მაგრამ ზედ მწვერვალზე თავს ქარიშხალი დაატყდათ, რამაც ისინი შვიდი დღე-ღამე იქ დაატყვევა. გზის გაგრძელება შეუძლებელი გახდა და იძულებულნი გახდნენ დიდი გაჭირვებით დაშვებულიყვნენ. ტელვან ჯაფარიძეს ეს ცდა მოყინული ტერფების მოკვეთად დაუჯდა, რაიზერს კი აიროვანი განგრენა დაემართა და თბილისში გარდაიცვალა. ქართველთაგან იგი უშბის პირველი მსხვერპლი გახდა.

მიუხედავად ამისა, ალიოშა ჯაფარიძეს, ქელეშბი ონიანსა და ნიკოლოზ მუხინს განზრახვაზე ხელი არ აუღიათ და 1945 წელს კვლავ ბედის საცდელად წავიდნენ, თანაც სამხრეთ უშბას უფრო რთული გზით შეუტიეს.

სამწუხაროდ, მთამსვლელებს კვლავ ავდარი დაატყდათ. მან ჯერ გულის გადმოკიდებულ ყინვარზე შეაფერხა ისინი, მერე უნაგირაზეც მოიმწყვდია, ბოლოს თითქმის ერთი კვირა ჩრდილოეთ უშბაზე დაატყვევა.

სწორედ იმ დროს მწვერვალმა თავს უარესი ქარაშოტი დაიტეხა და არა თუ თავის ფერდობებზე, მის ძირშიც კი კაცი ძაღლსაც არ გააგდებდა გარეთ. 5-დან 25 ოქტომბრამდე უშბაზე ისეთი ქარიშხალი მძვინვარებდა, რომ მთამსვლელთა დახმარებაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა. დამხმარენი კი 40-მდე მოგროვილიყვნენ, მათ შორის რუსეთის მთამსვლელთა სიამაყენი, ევგენი აბალაკოვი და ნიკოლოზ გუსევი. უშბას ქორებივით თავს დასტრიალებდნენ მაშველთა თვითმფრინავებიც, როცა მწვერვალზე ნისლი თუ ღრუბელი ოდნავ იფანტებოდა. იქ შერჩენილი მთამსვლელები მხოლოდ 6 ოქტომბერს ორჯერ დალანდეს, როცა უშბამ რამდენიმე წუთით ნისლი გადაიყარა.

ციკლონის გადავლის მერე დაკარგულთა მოსაძებნად გზას გაუდგნენ ბესარიონ ხერგიანი, გოჯი ზურებიანი, ევგენი აბალაკოვი და ნიკოლოზ გუსევი. მათ უშბის უნაგირას ქვემოთ ნახეს კლდეში დარჭობილი პალო შიგ გაყრილი დამხმარე თოკის მარყუჟით და მეტი ვერაფერი. ნათელი გახდა, რომ ისინი ეშვებოდნენ და ისიც ცხადი იყო, რომ სამივე მთამსვლელი დაღუპულიყო, მაგრამ ზამთრის დადგომის გამო გვამების ძებნა შეუძლებელი შეიქნა. ეს საქმე მომდევნო წელს გაგრძელდა, რაშიც 25-მდე მთამსვლელი, მათ შორის ალიოშა ჯაფარიძის და ალექსანდრაც მონაწილეობდა. ამ გუნდის რამდენიმე წევრი უშბის ჩრდილოეთ მწვერვალზეც ავიდა. იქ მათ ნახეს ალიოშა ჯაფარიძის მიერ დატოვებული ბარათები, რომლის მიხედვით შეიტყვეს, რომ მთამსვლელები ავდარს უნაგირაზე გამოუმწყვდევია. ისინი იძულებულნი გამხდარან სამხრეთ უშბაზე გზის გაგრძელებაზე ხელი აეღოთ, ჩრდილოეთის გზას დადგომოდნენ, იქიდან კი უშბის პლატოზე დამხმარე ჯგუფის წევრებისკენ დაშვებულიყვნენ. 6 ოქტომბერს დაშვებაც უცდიათ, მაგრამ კიდევ ექვსი დღით ისინი მწვერვალს მძევლად დაუტოვებია.

დაღუპულთა მძებნელებმა გულის ყინვარის დიდი მთისძირა ნაპრალის თავზე ნახეს ნაბანაკარიც. ეს იყო ყინულის პალოზე დამაგრებული და მთელ სიგრძეზე ჩამოშვებული თოკი, რომელზეც ღრმად ჩაყინული, გამოგლეჯილი კარავი ეკიდა. კარავში ნახეს ორი წერაყინი, კლდის ჩაქუჩი, ცალი წრიაპი და სამი წყვილი წინდა.

ეს იყო და ეს. თუმცა, ნანახიც საკმარისი აღმოჩნდა საიდუმლოს ფარდის ასახდელად. ნათელი გახდა, რომ სამეულმა დაშვებისას თითქოს უხიფათო ადგილამდე ჩამოაღწია, მაგრამ იქ შემოაღამდათ. იძულებულნი გახდნენ კარავი იქვე დაეცათ, მაგრამ ღამით მათ თავს დაატყდათ ზვავი, რამაც ისინი კარვიდან გამოიტაცა.

სამწუხაროდ, დაღუპულთა გვამებს ველარსაც მიაგნეს.

უშბაზე დაღუპულთა ძებნისას და ტრაგედიის საიდუმლოს ამოხსნის პარალელურად ქართველ მთამსვლელთა სხვა ექსპედიციის წევრები ჯგუფ-ჯგუფად დაყოფილიყვნენ და უშბა-შხელდის რაიონში მწვერვალებს ლაშქრავდნენ. ერთ-ერთ გუნდს სამხრეთ უშბაზე ასვლისას პირველი ღამისთვის ადგილზე დაატყდა უბედურება — საიდანღაც ჩამოვარდნილმა ქვამ კარავი გაგლიჯა და იქ მყოფ ახალგაზრდა მთამსვლელ დ. ბაბაკაშვილს მოხვდა. ამით უშბამ თავის მსხვერპლთა რაოდენობა გაზარდა, იმ სამეულის ცხედრები კი საგულდაგულოდ დამალა.

მათი დაღუპვიდან 12 წლის მერე, უშბიდან მომავალ ბილიკზე რუსი მთამსვლელები გამოჩნდნენ. ამბავი ჩამოიტანეს, გულის ყინვარზე შემთხვევით ადამიანის ნეშტს და ფოტოაპარატს წავაწყდითო. ეს ამბავი პირველად უშბისკენ მიმავალ გზაზე სოფლის ბოლოში ორთავა გოლიათთან ყველაზე ახლოს მცხოვრებ მაკრინე ქურდიანს ამცნეს. სწორედ მაკრინე ქურდიანი იყო ბოლო, ვისი მზერაც აცილებდა უშბისკენ მიმავალთ. ის იყო პირველი, ვინც ეგებებოდა იქიდან ჩამოსულ მთამსვლელებს, მათ სახლს და კარმიდამოსაც უთმობდა და ყველას კარგად იცნობდა.

მაკრინეს რუსების ჩამოტანილ ამბავზე გული შეუქანდა და უმალ მათ გაყვა ყინვარისკენ. მას ეჭვი უფრო გაუძლიერდა, როცა ნაცნობი ფოტოაპარატი „ფედი“ და საიერიშო კოსტიუმი ნახა. საბოლოოდ მაშინ დარწმუნდა, როცა დაღუპულის კარგად შენახულ ფეხის თითებს შეავლო თვალი.

**ავთანდილ გურასაშვილი**

*(გაგრძელება იქნება)*

NBA. პლეი ოფი. პირველი წრე (სამ მოგებამდე)

# მეფეს პასუხი არ ეშლება

**აღმოსავლეთი**

25 აპრილი

| | |
|---|---|
| მილუოკი | 2 |
| ორლანდო | 0 |

**მილუოკი 103:96 ორლანდო**

**მილუოკი: ალენი (27 ქულა, 10 მოხსნა, 7 პასი), კასელი (26), რობინსონი (14), ჯონსი (13)**
**ორლანდო: მაკგრეიდი (35), აუთლოუ (17), მილერი (11)**

ორლანდოელ „ჯადოებს“ ყოველთვის უჭირდათ მილუოკელ „ხარირემთან“. „მილუოკიმ“, გარდა იმისა, რომ შარშან რეგულარულ ჩემპიონატში ოთხივე თამაში მოუგო „ორლანდოს“, საპლეიოფო მარათონშიც უკან ჩამოიტოვა და პლეი ოფს მიღმა დატოვა, თავად კი მის ბოლო საგზურს დაეპატრონა. „ბაქსმა“ არც წლეულს გაახარა „მეჯიქი“, კვლავ ოთხჯერ დასცა რეგულარულში და ერთხელაც ამ რამდენიმე დღის წინ უკვე პლეი ოფში მოუგო. ასე რომ, 25 აპრილს „ორლანდომ“ ფიცარნაგზე იმ გუნდის წინააღმდეგ საბრძოლველად შეაბიჯა, რომელთანაც ბოლო ათი შეხვედრა წააგო... და კვლავ წააგო. აღმოსავლეთში მეორე ნომრად განთესილმა „მილუოკიმ“ ტკბილად შეირგო მოედნის უპირატესობა და სერიაში 2:0 დაწინაურდა, რაც საკმარისია იმის სათქმელად, რომ ცალი ფეხით შემდეგ ეტაპზეა.

და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ ამ ორს შორის შეხვედრები ერთფეროვანი შედეგებით დამთავრდა, „მილუოკის“ „ორლანდოსთან“ იოლად არასდროს გაუსეირნია. სერიის პირველ მატჩშიც დიდი ჯაფა დაადგათ მასპინძლებს და ვერც ამ თამაშის მსვლელობისას იტყოდა ვინმე, „ბაქსი“ უცილობლად მოიგებსო. კვლავ რიგიანად გაისარჯა ფლორიდელთა 21 წლის სუპერჯგელი ტრეისი მაკგრეიდი და 35 ქულაც ჩაუგდო მასპინძლებს. ამდენი მას პლეი ოფებში მანამდე არასდროს მოუხვეჭია. მაკგრეიდის თანაგუნდელებმა პირველ მატჩთან შედარებით ოდნავ უკეთ ითამაშეს, თუმცა ძირითადად მაინც ერთი კაცის იმედად მყოფი „ორლანდო“ კარგად ორგანიზებულ „მილუოკის“ მარცხსლა გამორჩა.

„მილუოკი“ ლიგაში უძლიერესი უკანა ხაზით დაიტრაბახებს და მის ჩაუქ დაბლებს — სემ კასელსა და რეი ალენს არც ამჯერად შეურცხვენიათ თავი. ამ უკანასკნელმა ლონივრად გასწია გუნდის ლიდერის უღელი და 27 ქულის მოხვეჭით კარიერის საპლეიოფო რეკორდიც დაამყარა. გარდა ამისა, 196-სანტიმეტრიანმა, ამპლუით მსროლელმა ალენმა ფარქვეშაც სანაქებოდ იმუშავა, 10 მოხსნა მოინაგრა და თავისიანთა შორის ყველაზე მეტი პასიც გააკეთა. ალენი პირველივე წამებიდან ყოჩაღად დატრიალდა და ისე დააფრთხო სტუმრები, აიძულა, მის წინააღმდეგ ეუხეშათ. თამაში წუთნახევრის დაწყებულიც არ იყო, გარღვევაზე გასულ რეის ორლანდოელთა ცენტრმა ენდრიუ დეკლერკმა უხეშად რომ დაუფარა და წააქცია. ვალში არც ალენი დარჩა, ხურდაც გვარიანი დაუბრუნა სტუმარს, რისთვისაც მსაჯ ბობ დილანისგან ტექნიკურით დაჯილდოვდა. „თავს არავის დავაჩაგვრინებ-მეთქი, მხოლოდ ეგ ვუთხარი მსაჯს, მან კი ტექნიკური მომცა“ — ნამატჩევს აღშფოთებას ვერ მალავდა მილუოკელი. თუმცა იგი მალევე დაწყნარდა, პირველივე მეოთხედში 14 ქულა ჩაუგდო მეტოქეს და ეს თორმეტწუთეული თავისიანებს 33:28 მოაგებინა.

მერე მაკგრეიდის ჯერი დადგა. მან ბევრი იწვალა და „ორლანდო“ ერთი ხანობა ორი ქულითაც დაუახლოვდა მეტოქეს, თუმცა გადამწყვეტ, ბოლო მეოთხედში ვერაფერს გახდა. მეოთხე თორმეტწუთეულში „მილუოკიმ“ ძლიერად მოუჭირა დაცვით მარწუხებს და მაკგრეიდიმ ამ დროს სულ ხუთი ქულა ჩააგდო.

„საწყენია, რომ დავმარცხდით, მაგრამ თავს საბოლოოდ წაგებულად სულაც არ ვგრძნობთ. ყველაფერს ვიღონებთ, რათა ახლა შინ ორი შეხვედრა მოვიგოთ და ამ ქალაქში დავბრუნდით“ — თქვა მატჩის შემდეგ ორლანდოელთა მწვრთნელმა დოკ რივერსმა.

**დასავლეთი**

| | |
|---|---|
| საკრამენტო | 1 |
| ფინიქსი | 1 |

**საკრამენტო 116:90 ფინიქსი**

**საკრამენტო: სტოიაკოვიჩი (22), უილიამსი (18), ჯეკსონი (16), უებერი (16)**
**ფინიქსი: დელკი (14), რობინსონი (11), ელი (11), პერი (11)**

საკრამენტოელმა „მეფეებმა“ საკუთარი გულშემატკივრები გამარჯვებას შეაჩვიეს, წლეულს შინ ყველა სხვაზე ნაკლები მატჩი წააგეს, ამიტომ „ფინიქსთან“ სერიის პირველ შეხვედრაში დამარცხებამ ბევრი გააოცა. სტუმრებთან 83:86 წაგების შემდეგ „მეფეებს“ ერთი სული ჰქონდათ, როდის აიღებდნენ რევანშს და, როცა, როგორც იქნა, მეორე თამაშის დრო დადგა, „სამეფო გუნდი“ საშინელი ძალით დაატყდა თავს სტუმრებს. „ფინიქს სანზის“ ქებული დაცვა ამჯერად უძლური აღმოჩნდა ლიგის უძლიერეს შეტევასთან ჭიდილში და აკი წააგო კიდეც 26 ქულის სხვაობით. „საკრამენტო კინგზს“ პლეი ოფში ასეთი უპირატესობით შორეული 1951 წლიდან არ მოუგია. მაშინ კლუბს „კინგზის“ ნაცვლად „როიალზი“ ერქვა და როჩესტერში ჰქონდა ადგილსამყოფელი.

„ფინიქსის“ მწვრთნელმა, სკოტ სკაილზმა, ცხადია, ჩვენზე კარგად იცოდა, რომ თუ მეტოქეს შეტევის საშუალებას მისცემდა, უცილობლად მარცხი ელოდა და ამის საწინააღმდეგოდ ზომებიც მიიღო, მაგრამ რამდენად გაუმართლა, ეს ანგარიშიდანაც ჩანს. როგორც იქნა, „საკრამენტოს“ ძირითადმა გამთამაშებელმა, ლაზღანდარა და მასხარა ჯეისონ უილიამსმაც გამოიღო ხელი, მას შემცვლელმა ბობი ჯეკსონმაც აუბა მხარი და ამ ორმა ვერცხლისწყალივით მოძრავმა ბიჭმა გამარჯვებას საფუძველი ჩაუყარა. ისინი ძალიან ბევრს მოძრაობდნენ და თანაგუნდელებს თავისუფალ სივრცეებს უქმნიდნენ, სასროლ პოზიციაზე ეულად დარჩენილი მასპინძლები კი იშვიათად აცილებდნენ.

„ფინიქსს“ კი დაცვასთან ერთად თავდასხმაც ჩაუვარდა. უილიამსისა და ჯეკსონისგან თავბრუდახვეული ფინიქსელთა ლიდერი და ლიგის უძლიერესი გამთამაშებელი ჯეისონ კიდი იმ დღეს აშკარად არ იყო ბრძოლის იშტაზე. ხოლო ასეთ სერიოზულ შეხვედრებში, როცა კიდს თამაში არ მისდის, მისი „ფინიქსი“ წასაგებადაა განწირული. კიდი უქმად არ ყოფილა, ცდილობდა, მაგრამ არ გამოსდიოდა. მან თორმეტი სროლიდან ათი ააცილა და თავისიანებს მხოლოდ შვიდი ქულა შეაშველა, ვერც შეტევებს გაუძღვა რიგიანად. ერთი სიტყვით, „სანზს“ მისი უილაჯობა წაგების ფასად დაუჯდა.

„საკრამენტო“ კი თავის უპირატესობას ანგარიშზეც ასახავდა. პირველი მეოთხედი 31:22 მოიგო, მეორე — 32:21, ხოლო მესამე 32:20 და ბოლო მეოთხედის წინ 30-ქულიანი უპირატესობა შეიქმნა. ცხადია, მის გამარჯვებაში ეჭვი არავის შეჰპარვია.

„პირველი შეხვედრის წაგების შემდეგ სწორი დასკვნები გამოვიტანეთ. ყველამ კარგად გავიაზრეთ, რომ უკან დასახევი გზა არ გვქონდა და ამან ძალა შეგვმატა. ჩვენი თამაშიც თავიდანვე ვიპოვეთ და მეტოქე ჩვენთვის სასურველ ტემპში ავიყოლიეთ. თუმცა ეს არამც და არამც არ გვაძლევს მოდუნების უფლებას, კიდევ ორი თამაში გვაქვს მოსაგები“ — ამბობდა მატჩის შემდეგ „საკრამენტოს“ მწვრთნელი რიკ ადელმანი.

არც დამარცხებულთა თავკაცს, სკოტ სკაილზს ჩამოუშვია ცხვირი. „აჯობებდა, მოგვეგო, მაგრამ ჯამში არც უკმაყოფილონი ვართ. რაც მთავარია, მეტოქეს მოედნის უპირატესობა წავართვით. ერთხელ მაინც გავიმარჯვეთ და ახლა მომდევნო ორი თამაში შინ გვიწევს. მეტოქეს კი დღევანდელ გამარჯვებას ვულოცავ. მათ პირწმინდად მოგვიგეს“.

**ირაკლი ფირუშვილი**



მილუოკი — ორლანდო. მილუოკელმა მარკ პოუპმა ჩარლზ აუთლოუს დაუფარა



ევროპის ქალთა ჩემპიონატი (ვარშავა)



ქეთევან არახამია

# არახამია სკეპტიკოსებს ადუმებს

**ვარშავის** სასტუმრო „მარიოტში“ ევროპელ ქალთა მეორე ჩემპიონატი დაიწყო. პირველი ბათუმში ჩატარდა და უკრაინელმა ნატალია ჟუკოვამ მოიგო. უკრაინელი ვარშავაში ტიტულს იცავს, ხოლო სხვა ძლიერი მოჭადრაკეებიდან მას ეცილებიან რუსები — ალისა გალიამოვა და ეკატერინა კოვალევსკაია, ბულგარელი ანტუანეტა სტეფანოვა, რუმინელი კორინა პეპტანი და ქართველები, ქეთევან არახამია-გრანტი და ნინო ხურციძე. არახამია მხოლოდ მე-15 ნომრადაა განთესილი, თუმცა შოტლანდიაში მცხოვრები ქართველი მოჭადრაკე ბევრად უკეთ თამაშობს. მას თითქმის ქულათა მაქსიმუმი აქვს.

არახამია-გრანტი და ხურციძე ორნი არიან 11 ქართველიდან. ვარშავაში გამოდიან აგრეთვე მსოფლიოს ექსჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი, მაია ლომინეიშვილი, თამარ ხმიადაშვილი, ნანა ძაგნიძე, სოფო გვეტაძე, სოფო ხუხაშვილი, ანა მათნაძე, ლელა ჯავახიშვილი და სოფო ტერელაძე. სასტუმრო ხუთვარსკვლავიანია და იტყობინებიან, რომ სათამაშო [illegible] გია, ამიტომ 157 ევროპელი მოჭადრაკე ენერგიულად იბრძვის პირველობისთვის. გათამაშება შვეიცარიული სისტემით, 11 ტურად მიმდინარეობს და 29 საუკეთესო მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის უფლებას მიიღებს.

ახლა მივყვეთ მოვლენებს პირველი ტურიდან, რომელიც ქართველებმა რიგიანად ჩაატარეს. ექვსმა მოიგო, მათ შორის ლომინეიშვილმაც, რომელმაც თვისტომი ხმიადაშვილი დაამარცხა, სამი ჩვენიანი მშვიდობით დაშორდა მეტოქეებს და მხოლოდ გვეტაძე დანებდა სომეხ დანიელიანს. პირველი პარტიები მოიგეს ასევე გალიამოვამ და ჟუკოვამ, თუმცა რაიმე სატურნირო სიტუაციაზე ლაპარაკი ჯერ ცხადია, უაზრობა იყო.

ქართველებს მეორე ტურშიც არა უშავდათ. პირველი ყაიმის შემდეგ მე-6 ნომრად განთესილმა ხურციძემ ესპანელი ერნანდესი შეიწირა, იქით არახამიამაც მოიგო. ცხრილის სათავე მესამე ტურში დაიწმინდა, როცა ქულათა მაქსიმუმით მხოლოდ სამნი დარჩნენ: იტალიის მოქალაქე ელენა სედინა, რენა გრაფ-მამედოვა გერმანიიდან და იუგოსლაველი ალექსანდრა დიმიტრიევიჩი, რომელთაც ნახევარი ქულის სავალზე მდევართა გიგანტური ჯგუფი მიჰყვებოდა. შიგ ქართველებიც ერივნენ, რადგან თითოც მოიგეს ხურციძემ და არახამიამ, აგრეთვე გაფრინდაშვილმა საწყისი ორი ყაიმის შემდეგ.

უკვე მეოთხე ტურის შემდეგ ჩემპიონატს ერთპიროვნული ლიდერი ჰყავს. სედინამ დიმიტრიევიჩს მოუგო, ხოლო გრაფ-მამედოვა ზავით გაშორდა ბულგარელ სტეფანოვას. ამ ტურში ქართველებს შედარებით შავი დღე გაუთენდათ: ექვსმა წააგო, სამმა ყაიმზე ითამაშა და მხოლოდ ხმიადაშვილმა და არახამიამ გაიმარჯვეს. არახამიამ სომეხ ლილიტ მკრტჩიანს მოუგო, რითაც ლიდერის მდევარ ჯგუფში ადგილი შეინარჩუნა. სედინასთან ყველაზე ახლოს 8 მოჭადრაკეა (არახამიას ჩათვლით), მერე მოდის 23 მანდილოსანი 3-3 ქულით და ხურციძე. ჟუკოვა და კოვალევსკაიაც მათ შორის არიან. შეუფერებელ ადგილზეა ბოლო მსოფლიო პირველობის ფინალისტი გალიამოვა, რომელსაც სხვა 20 მოჭადრაკის მსგავსად 2,5 ქულა აქვს, თუმცა ტურნირის მხოლოდ მესამედი გაიარა და ყველაფერი წინ არის.

**დავით გულუა**

დოს ერმანასის ტურნირი

# ქართველის ბალანსი დადებითი გახდა

**დოს ერმანასის** ტურნირზე კონკურსმა იმატა. მე-7 ტურის შემდეგ სამი მოჭადრაკე ლიდერობს, ორი ნახევარი ქულით ჩამორჩება და ორიც ერთით, ანუ მოთამაშეთა 70 პროცენტს ფინიშამდე ორი ტურით ადრე სრულიად რეალურად შეუძლია პირველი ადგილის დაკავება. ამ ერთობ კურიოზული სიტუაციის მიზეზი უპირველესად მიხაილ კრასენკოვია, პოლონეთის ჯერ კიდევ მოწინავე მოჭადრაკე, თუმცა მისი ლიდერის იმიჯს სერიოზული საფრთხე ემუქრება. კრასენკოვს თვისტომი ახალგაზრდები ეწევიან და თვითონაც ბოლო ხანებში აურია. იგივე დოს ერმანასში მან 7-დან 5 პარტიის წაგება მოახერხა და ვერც ერთი მოიგო, რითაც ფრიადი სარგებელი მოაქვს სხვებისთვის.

მე-7 ტურში, მაგალითად, კრასენკოვმა ზურაბ აზმაიფარაშვილთან წააგო. ქართველს პოლონელთან გარკვეული ანგარიშები აქვს, ნოკაუტ-სისტემით გამართულ ფიდეს პირველ ჩემპიონატზე სწორედ მან გამოთიშა ტურნირიდან. რევანში, სრულად შედგა. მიუხედავად იმისა, რომ შავებით თამაშობდა, დაფას აზმაიფარაშვილი მართავდა და კოხტად მოიგო, რითაც ლიდერებში შეაღწია და ახლა მეოთხე-მეხუთე ადგილებს იყოფს, ხოლო მთლად თავში ესპანელი მიგელ ილესკასი, ებრაელი ილია სმირინი და რუსი ალექსანდრ დრეევი არიან. გუშინწინ ამათგან ებრაელი გამოირჩა, მან ვეტერან მიხაილ გურევიჩს სძლია. ილესკასმა შავებით ყაიმი ითამაშა ნორჩ თემურ რაჯაბოვთან, რომელიც უფროსების კომპანიაში ბრწყინვალედ არა, მაგრამ გვარიანად ირჯება, ხოლო დრეევი შავებითვე სხვა ესპანელს, იუნიორ ფრანსისკო ვალეხოს დაუზავდა.

**დავით გულუა**

**ვითარება 7 ტურის შემდეგ**

**1-3. დრეევი, სმირინი, ილესკასი 4,5; 4-5. აზმაიფარაშვილი, ალმაში 4; 6-7. გურევიჩი, ვალეხო 3,5; 8. რაჯაბოვი 3; 9. სოკოლოვი 2,5; 10. კრასენკოვი 1**


**იყიდება**

სამოთახიანი სუფთა ბინა 2 (9), საერთო ფართი 103 კვ. მ.
აბაზანა-ტუალეტი რემონტით, ბ/აირით, ბარნოვის ქ.
№71 II სად. შესასვლელი კეკელიძის ქუჩიდანაც:



**ტელ:**
**22-75-07. 69-52-58**

# დიდებულიძე დიდებულ ქალაქში

## საბურთალოელი დარტანიანის ადგილ-მამულში

*იგი ერთი ალალი, მხიარული, გულღია, ყველასთვის კეთილმოსურნე თბილისელი, საბურთალოელი ბიჭია. 18 წლისამ გადაწყვიტა, რაგბის თამაში დაეწყო და მას აქეთ ოვალური ბურთის ერთგული დარჩა.*

*31 წლის ვიქტორ დიდებულიძემ 13-ჯერ მოირგო ეროვნული ნაკრების მაისურა და ოთხჯერ დაალელოვა მეტოქეები. ისევე როგორც ბორჯღალოსანთა უმეტესობა, ვიქტორ დიდებულიძეც საფრანგეთის ჩემპიონატში თამაშობს და იქაური „ელიტ 2“-ის „ლანმეზან—ტარბის“ ღირსებას იცავს.*

*სამ ათეულ წელიწადს გადაცილებული მორაგბე კარიერის ზენიტში იმყოფება. წლეულს გამართული ევროპის ერთა თასზე ამ მთაკაცმა ხუთივე მატჩი ძირითად შემადგენლობაში ითამაშა და ჰოლანდიელებს ორი ლელოც გაუტანა. ვიქტორს საფრანგეთში შევეხმიანეთ. მიუხედავად იმისა, რომ სამსახურიდან ახალი დაბრუნებული და დაღლილი იყო, ინტერვიუზე ჩვეული თავაზიანობით დაგვთანხმდა.*



### ვიქტორ დიდებულიძე

**— სად მუშაობ?**

— ქალაქ ტარბში, სადაც ვცხოვრობ, არის ასეთი ფირმა „ინდუსტრონი“, რომელიც ნავთობის საძებნი ხელსაწყოებისთვის ელექტრონულ კაბელებს ამზადებს.

**— შენ რას აკეთებ?**

— მე დანადგარზე ვმუშაობ, რომელიც ამ ელექტროკაბელების გამტარიანობას ამოწმებს.

**— ხელფასი რამდენი გაქვს?**

— აქაურ კვალობაზე მინიმალური, საათში 42 ფრანკი.

**— სამუშაო გრაფიკი როგორია?**

— დილით შვიდ საათზე სამსახურში უნდა ვიყო, შუადღის თორმეტი საათიდან ორის ნახევრამდე შესვენებაა, ხუთ საათზე თავისუფალი ვარ. ამის შემდეგ ორ საათს ვისვენებ და საღამოს შვიდ საათზე ვარჯიშზე მივდივარ.

**— ასეთი სამუშაო გრაფიკი ვარჯიშში ხელს ხომ არ გიშლის?**

— არა, ჯერჯერობით პრობლემა არ მქონია, ვუძლებ.

**— მუშაობა რამ გაიძულა, შენს კლუბში „ლანმეზან-ტარბში“ მიღებული ჯამაგირი არ გყოფნის?**

— ნორმალური ხელფასია, მაგრამ ბინის ქირას მე ვიხდი, ეს კი სოლიდური ხარჯია. თანაც თავისუფალი დრო მაქვს და არც ისე რთული სამუშაოა.

**— კლუბი რატომ არ გიხდის ბინის ქირას, ფინანსურად ხომ არ უჭირს?**

— გაჭირვებით არ უჭირს, მაგრამ არც მთლად ულხინს. აქ ასეთი პირობით ჩამოველი, ბინის ხარჯები მე უნდა დავფარო. სამაგიეროდ, მაქანა მაჩუქეს, „ფიატ უნო“. ძალიან კარგია.

**— მოდი, ახლოს გაგვაცანი შენი კლუბი.**

— „ლანმეზან—ტარბი“ უკვე ოთხი წელია, „ელიტ 2“-ში ასპარეზობს. საშუალო დონის გუნდია. ამჟამად მერვე ადგილზე ვიმყოფებით და ლიგაში დარჩენის პრობლემა უკვე გადავჭერით. ჩვენი მდევრები საგრძნობლად ჩამოგვრჩნენ. ნორმალური სავარჯიშო ბაზა და სათამაშო სტადიონი გვაქვს. პირობებს არ ვუჩივით.

**— შენი საქმეები როგორ მიდის კლუბში?**

— თუ ტრავმა არ მაწუხებს, როგორც წესი, ძირითად შემადგენლობაში ვიწყებ თამაშს. ჩემით უკმაყოფილო ნამდვილად არ არიან.

**— კლუბის ხელმძღვანელობას რა გეგმები აქვს, ელიტაში დაწინაურებაზე არ ფიქრობენ?**

— მაგაზე კი ფიქრობენ, მაგრამ ჯერ არ სცალიათ. კლუბში შიდა არეულობაა და პრობლემების მოწესრიგებით არიან დაკავებულნი.

**— რა ხდება?**

— „ლანმეზან—ტარბი“ ორი ქალაქის, ლანმეზანის და ტარბის მიერ დაარსებული კლუბია. ახლა უნდათ, რომ გუნდი ორად გაყონ და ორივე ქალაქს საკუთარი კლუბი ყავდეს. ჰოდა, ხელმძღვანელობას შორის უთანხმოებაა, ვერ გადაუწყვეტიათ, გუნდი როგორ გაიყონ. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მომავალ სეზონში ლანმეზანიც და ტარბიც ცალ-ცალკე იასპარეზებენ, ოღონდ ორივეს „ელიტ 2“-ში არ დაუშვებენ, რომელიმეს „ნაციონალ 1“-ში მოუწევს დაქვეითება. ჩემი აზრით, ეს ლანმეზანის გუნდი იქნება, რადგან ტარბი გასკონიის დედაქალაქია და პრივილეგიებითაც სარგებლობს.

**— ტარბი როგორი ქალაქია?**

— დიდებული. უდიდესი ისტორიისა და კულტურის მქონე ქალაქია, საკმაოდ ლამაზი ქუჩებით. ხალხიც თბილი და სტუმართმოყვარე ცხოვრობს. დიუმას მიხედვით, დარტანიანი ტარბელი იყო.

**— შენ რომელი ქალაქის გუნდში დარჩები, ტარბის თუ ლანმეზანის?**

— ზუსტად ჯერ არაფერი ვიცი. გამორიცხული არ არის, სულაც სხვაგან გადავიდე.

**— მიწვევები გაქვს?**

— კი, როგორ არა, ოღონდ კონკრეტულად რომელ გუნდს სურს თავის შემადგენლობაში ჩემი ხილვა, ჩემთვის უცნობია. ამით კლოდ სორელია დაკავებული, ახლახანს შემომითვალა კიდეც, რამდენიმე ხელსაყრელი ვარიანტი შემომთავაზეს შენს თაობაზე და საუკეთესო ავარჩიოთო. დაველოდები მოვლენების განვითარებას, ყველაფერს ავწონ-დავწონი და სასურველ წინადადებას დავთანხმდები.

**— როგორც სხვა ქართველ ლეგიონერებს, ნაკრებში გამოძახებისას კლუბის ხელმძღვანელობა შენც ხომ არ გიქმნის პრობლემებს?**

— დიახ, მეც მექმნება ხოლმე მსგავსი პრობლემები. კლუბის უფროსობა უხალისოდ მათავისუფლებს ნაკრების თამაშებზე. ზუსტად არ მახსოვს, რომელი მატჩის შემდეგ იყო, ერთი თვის ხელფასი დამიქვითეს.

**— საფრანგეთში მოთამაშე ქართველებს თუ ეხმიანები?**

— მათ გარეშე როგორ გავძლებ. წინა ტურში „მონტობანს“ ვეთამაშეთ, რომელშიც ტარიელ რატიანიძე ირიცხება. ის მატჩი „მონტობანმა“ მოიგო. ტატომ ძალიან კარგად ითამაშა. მატჩის შემდეგ დიდხანს ვისაუბრეთ. საერთოდ, დღესასწაულებზე ერთად ვიკრიბებით. ეგ არის, რომ ბოლო ხანებში თავისუფალი დრო აღარ მაქვს. სხვა ლეგიონერებიც ჩემს დღეში არიან და ამიტომ ისე ხშირად ველარ ვხვდებით ერთმანეთს. ისე, ტელეფონით ყოველთვის ვეხმიანებით ერთმანეთს.

**— სანამ „ლანმეზან-ტარბში“ გადახვიდოდი, მანამდე ასევე ფრანგულ კლუბ „აერ სურლადურში“ თამაშობდი...**

— კარგი გუნდი იყო, მაგრამ პრობლემები შემექმნა და კლუბის გამოცვლა მომიხდა.

**— რა პრობლემებზეა საუბარი?**

— „აერ სურლადურში“ მე და აქვსენტი გიორგაძე მოვეწყვეთ, ჩვენს გარდა იქ კიდევ იყვნენ სხვა ლეგიონერები. კლუბი კი ლეგიონერების საფრანგეთში ყოფნისთვის ვიზის ფულს იხდის. საკმაოდ ძუნწი ხელმძღვანელობა გამოდგა, არ უნდოდათ ზედმეტის გადახდა, არადა, არც ისე დიდი თანხა იყო. ან მე უნდა დავრჩენილიყავი, ან გიორგაძე. მწვრთნელმა აქვსენტი დაიტოვა, რადგან შერკინების პირველ ხაზში სჭირდებოდათ კარგი მორაგბე, მეორე ხაზი ნორმალურად ჰყავდათ დაკომპლექტებული.

**— კლუბების ხშირი ცვლა არც საქართველოში ყოფილა შენთვის უცხო.**

— ბევრგან მითამაშია. ჩემი პირველი გუნდი „ყოჩები“ იყო. ცხონებულმა ლაშა გეგენავამ დამაწყებინა რაგბის თამაში. მერე ჯარში გამიწვიეს და მეც ასკ-ში გადავედი. არმიული კლუბიდან ისევ „ყოჩებში“ დავბრუნდი, ამის შემდეგ იყო „მიმინო“, „მერკური“, „გუმარი“, რომელსაც მერე „ზორდა“ დაერქვა. ამის შემდეგ საფრანგეთს მივაშურე.

**— შარშან ეროვნულ ნაკრებში სათადარიგო მორაგბე იყავი, წელს კი ძირითად შემადგენლობაშიც დაიმკვიდრე ადგილი. რა იყო ამის მიზეზი?**

— არ ვიცი, როგორ გითხრა. არც ტრავმა მაწუხებდა და არც სათამაშო პრაქტიკის უქონლობას ვუჩიოდი. კლოდ სორელი არ მენდობოდა. ალბათ ამიტომ აღმოვჩნდი სათადარიგო სკამზე.

**— წლეულს რა შეიცვალა?**

— სიმართლე გითხრა, ნაკრებში შემთხვევით მოვხვდი. ევროპის ერთა თასის დაწყების წინ ჰოლანდიელების წინააღმდეგ გამოძახებულ 22-კაციან შემადგენლობაშიც არ გამოინახა ჩემთვის ადგილი. ისე დაემთხვა, რომ ზედ მატჩის წინ, შერკინების მეორე ხაზში, სადაც მე ვთამაშობ, ერთდროულად ორი მორაგბე მოვისაკლისეთ. სოსო პარწიკანაშვილს მამა გარდაეცვალა და რაგბისთვის არ ცხელოდა, ამას ზურაბ მჭედლიშვილის ტრავმაც დაემატა. მართალია ზურა თადარიგში მაინც მოხვდა, მაგრამ ტრავმის გამო ძირითადში ვერ დადგებოდა. ჩემთვის მოულოდნელად, კლოდ სორელმა ნაკრებში დამიძახა. მგონი არ უნანია კიდეც. როგორც იცი, ჰოლანდიელებს ორი ლელო გავუტანე. ამის შემდეგ ეტყობა სორელი მენდო, დარწმუნდა ჩემს შესაძლებლობებში და დარჩენილ ოთხ მატჩში ძირითადში მანდო ადგილი.

**— შენ ნაკრების ერთ-ერთი ვეტერანი ხარ, ახალგაზრდებთან შეწყობა ხომ არ გაგიჭირდა?**

— ჰო, დავბერდი... ეს რა თქმა უნდა ხუმრობით. არა, ახალგაზრდებთან არანაირი პრობლემა არ შემქმნია არც მე და არც სხვა „ბებრებს“. ძალიან თბილი და კარგი ურთიერთობა გვაქვს. სხვანაირად არც შეიძლება იყოს. დიდ პატივს ვცემთ ერთმანეთს.

**— ეგ პირადულად, მოედანზე?**

— თავიდან ცოტა გაგვიჭირდა. მაგრამ დრომ თავისი ქნა. ახლა უკვე უსიტყვოდ გვესმის ერთმანეთის. ახალბედებმა გამოცდილებაც შეიძინეს. საერთოდ, მინდა ვთქვა, რომ ძალიან კარგი თაობა მოდის.

**ბაჩო სვანიძე**



2001 წლის 17 თებერვალი. საქართველო — პორტუგალია 36:12.
ვიქტორ დიდებულიძემ პორტუგალიელთა ალყა გაარღვია



ეროვნული ბიბლიოთეკა



ოქროს საწმისის ორდენი

# სამარანჩი ქართველებმა ლოზანაში დააჯილდოვეს



ხუან ანტონიო სამარანჩი

**25 აპრილს** ლოზანაში, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შტაბბინაში, სოკ-ის პრეზიდენტ ხუან ანტონიო სამარანჩს გადაეცა უცხოელთათვის განკუთვნილი საქართველოს უმაღლესი ჯილდო — ოქროს საწმისის ორდენი.

სამარანჩი ოქროს საწმისის ორდენით დაჯილდოვდა. საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 28 აგვისტოს №949 განკარგულებით, საერთაშორისო ოლიმპიური მოძრაობის განვითარებაში, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებაში, საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს ოლიმპიური და სპორტული მოძრაობის მხარდაჭერაში, ქართველი ოლიმპიელებისა და ოლიმპიური მოძრაობის ვეტერანთა დახმარებაში, ოლიმპიური იდეების პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.

ხუან ანტონიო სამარანჩს ორდენი და საქართველოს პრეზიდენტის პირადი წერილი გადასცეს საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის უფროსის მოადგილემ თამაზ ყიფიანმა და საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა შვეიცარიასა და ჟენევაში განთავსებულ საერთაშორისო ორგანიზაციებში და ამირან კავაძემ. სოკ-ის შარშანდელი კონკურსის, „სპორტი და ხელოვნების“ პრიზიორმა ლევან ვარდოსანიძემ სამარანჩს გადასცა საკუთარი სკულპტურა „გოლფის მოთამაშე“. ორდენის გადაცემის ცერემონიალს ესწრებოდა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი.

სამარანჩმა გამოხატა დიდი კმაყოფილება და მადლიერება ოქროს საწმისის ორდენით დაჯილდოვებასთან დაკავშირებით და კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი ღრმა პატივისცემა საქართველოს პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის, აგრეთვე ქართველი სპორტსმენებისა და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მიმართ.

# სარბიელი

## სპორტული ლატარია კროკო

### გერმანია. ბუნდესლიგა. 31-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 27 აპრილი | | | |
| 23.15 | 001 | ვოლფსბურგი-დორტმუნდი | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| | | 28 აპრილი | | | |
| 18.30 | 002 | კაიზერსლაუტ-ლევერკუზენი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 18.30 | 003 | ბაიერნი-ფრაიბურგი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 18.30 | 004 | შტუტგარტი-ვერდერი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 18.30 | 005 | კიოლნი-კოტბუსი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 18.30 | 006 | ჰერტა-აინტრახტი | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 23.15 | 007 | ბოხუმი-შალკე | 3,8 | 3,2 | 1,8 |
| | | 29 აპრილი | | | |
| 20.30 | 008 | უნტერჰახინგი-მიუნხენი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 20.30 | 009 | ჰამბურგი-ჰანზა | 1,75 | 3,1 | 4,2 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. 31-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 27 აპრილი | | | |
| 22.00 | 010 | ჰანოვერი-ალემანია | 1,95 | 3,1 | 3,5 |
| 22.00 | 011 | მიონხენგლადბახი-არმინია | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| | | 28 აპრილი | | | |
| 18.00 | 012 | ქემნიცი-კიკერსი | 3,6 | 3,4 | 1,7 |
| 18.00 | 013 | მაინცი-ზტ.პაული | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| | | 29 აპრილი | | | |
| 18.00 | 014 | ობერჰაუზენი-ნიურნბერგი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.00 | 015 | ზაარბრიუკენი-როიტლინგენი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 18.00 | 016 | ოსნაბრიუკი-ვალდჰოფი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 18.00 | 017 | ულმი-ალენი | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| | | 30 აპრილი | | | |
| 23.15 | 018 | ფიურტი-დუისბურგი | 1,75 | 3,1 | 4,2 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. 36-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 28 აპრილი | | | |
| 16.00 | 019 | ლიდსი-ჩელსი | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| 19.00 | 020 | ქოვენტრი-ლივერპული | 3,4 | 3,4 | 1,85 |
| 19.00 | 021 | დერბი-არსენალი | 3,5 | 3,2 | 1,9 |
| 19.00 | 022 | ევერტონი-ბრედფორდი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 023 | სიტი-ვესტ ჰემი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 19.00 | 024 | მიდლსბრო-მანჩესტერი | 3,4 | 3,2 | 1,95 |
| 19.00 | 025 | ნიუკასლი-ლესტერი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 19.00 | 026 | საუთჰემპტონი-სანდერლენდი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 19.00 | 027 | ტოტენჰემი-ასტონ ვილა | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| | | 29 აპრილი | | | |
| 19.00 | 028 | ჩარლტონი-იფსვიჩი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

### ინგლისი. I დივიზიონი. 45-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 28 აპრილი | | | |
| 19.00 | 029 | ბირმინგემი-გრიმსბი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| 19.00 | 030 | ქრიუ-პრესტონი | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| 19.00 | 031 | კრისტალ პალასი-ვულვერჰემპტონი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 19.00 | 032 | ფულემი-უიმბლდონი | 1,7 | 3,4 | 4,0 |
| 19.00 | 033 | ნორვიჩი-უენსდი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 19.00 | 034 | ნოტინგემი-ჯილინგემი | 1,6 | 3,1 | 6,0 |
| 19.00 | 035 | ქუინზ პარკი-სტოკპორტი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 036 | შეფილდი-ბარნლი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 19.00 | 037 | უოტფორდი-ტრანმერი | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 19.00 | 038 | ვესტ ბრომვიჩი-ჰადერსფილდი | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 22.00 | 039 | ბარნსლი-ბოლტონი | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| | | 29 აპრილი | | | |
| 20.00 | 040 | ბლექბერნი-პორტსმუთი | 1,4 | 3,8 | 7,0 |

### ინგლისი. II დივიზიონი. 45-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 28 აპრილი | | | |
| 19.00 | 041 | ბორნმუთი-ნორთჰემპტონი | 1,45 | 3,8 | 6,0 |
| 19.00 | 042 | ბრისტოლი-ლუტონი | 1,45 | 3,8 | 6,0 |
| 19.00 | 043 | ბერი-უიკომბი | 1,95 | 3,3 | 3,3 |
| 19.00 | 044 | კემბრიჯი-უიგანი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 19.00 | 045 | კოლჩესტერი-რედინგი | 3,3 | 3,3 | 1,95 |
| 19.00 | 046 | ოლდემი-სტოკი | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| 19.00 | 047 | ოქსფორდი-სუონსი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 19.00 | 048 | პორტ ვეილი-ნოტსი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 19.00 | 049 | როტერჰემი-ბრენტფორდი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 19.00 | 050 | სუინდონი-პიტერბრო | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 19.00 | 051 | უოლსოლი-როვერსი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 19.00 | 052 | რექსემი-მილუოლი | 3,3 | 3,2 | 2,0 |

### ინგლისი. III დივიზიონი. 45-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 28 აპრილი | | | |
| 19.00 | 053 | ბლეკპული-ბარნეტი | 1,55 | 3,5 | 5,3 |
| 19.00 | 054 | ბრაიტონი-მაკლსფილდი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 19.00 | 055 | კარდიფი-შრიუსბერი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| 19.00 | 056 | ჰალიფაქსი-დარლინგტონი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 19.00 | 057 | ჰალი-ჩესტერფილდი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 19.00 | 058 | კიდერმინსტერი-ჰარტლპული | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 059 | ლეიტონი-ჩელტენემი | 1,8 | 3,3 | 3,6 |
| 19.00 | 060 | ლინკოლნი-პლიმუთი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 19.00 | 061 | როჩდეილი-მენსფილდი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 19.00 | 062 | სკანთორპი-ექსეტერი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| 19.00 | 063 | საუთენდი-კარლაილი | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| 19.00 | 064 | ტორკი-იორკი | 1,95 | 3,2 | 3,4 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. 32-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 28 აპრილი | | | |
| 20.15 | 065 | მეცი-მარსელი | 2,2 | 2,5 | 3,6 |
| 23.00 | 066 | სედანი-ტულუზი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 23.00 | 067 | პსჟ-მონაკო | 1,95 | 3,0 | 3,6 |
| 23.00 | 068 | ლილი-ლიონი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 23.00 | 069 | სენტ ეტიენი-ლანსი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 23.00 | 070 | ბასტია-გენგამი | 1,95 | 3,0 | 3,6 |
| 23.00 | 071 | რენი-ბორდო | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.00 | 072 | სტრასბური-ოსერი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | 29 აპრილი | | | |
| 21.00 | 073 | ტრუა-ნანტი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი. 36-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 27 აპრილი | | | |
| 23.00 | 074 | მონპელიე-კრეტეი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| | | 28 აპრილი | | | |
| 23.00 | 075 | ლორიანი-ვასკელი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 23.00 | 076 | მარტიგი-ნიორი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 23.00 | 077 | ანჟე-ნიმი | 2,5 | 2,8 | 2,7 |
| 23.00 | 078 | სოშო-ნიცა | 1,45 | 3,5 | 7,0 |
| 23.00 | 079 | გენიონი-ნანსი | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| 23.00 | 080 | ლე ავრი-ლავალი | 2,0 | 2,8 | 3,8 |
| 23.00 | 081 | ლე მანი-კაენი | 2,1 | 2,8 | 3,5 |
| 23.00 | 082 | კანი-ბოვე | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 23.00 | 083 | შატორუ-აიაჩო | 1,65 | 3,1 | 5,3 |

### იტალია. სერია A. 28-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 28 აპრილი | | | |
| 18.00 | 084 | ვიჩენცა-პარმა | 2,8 | 2,9 | 2,4 |
| 23.30 | 085 | რეჯინა-ნაპოლი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| | | 29 აპრილი | | | |
| 18.00 | 086 | ატალანტა-ბოლონია | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 18.00 | 087 | ბარი-პერუჯა | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.00 | 088 | ბრეშა-ინტერი | 2,9 | 2,8 | 2,4 |
| 18.00 | 089 | ფიორენტინა-უდინეზე | 1,65 | 3,1 | 5,3 |
| 18.00 | 090 | იუვენტუსი-ლეჩე | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| | 091 | იუვენტუსი-ლეჩე 0:1 | 1,6 | 3,1 | 3,5 |
| 18.00 | 092 | მილანი-ვერონა | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| | 093 | მილანი-ვერონა 0:1 | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 23.30 | 094 | რომა-ლაციო | 2,4 | 3,0 | 2,7 |

### იტალია. სერია B. 33-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 27 აპრილი | | | |
| 23.45 | 095 | კალიარი-ემპოლი | 1,75 | 2,6 | 5,6 |
| | | 29 აპრილი | | | |
| 18.00 | 096 | კოვმო-კოზენცა | 1,7 | 2,7 | 5,6 |
| 18.00 | 097 | კროტონე-ჩიტადელა | 1,8 | 2,8 | 4,7 |
| 18.00 | 098 | ჯენოა-პისტოიეზე | 1,75 | 2,6 | 5,6 |
| 18.00 | 099 | პიაჩენცა-ვენეცია | 2,1 | 2,4 | 4,4 |
| 18.00 | 100 | რავენა-ტორინო | 4,0 | 2,7 | 1,9 |
| 18.00 | 101 | სალერნიტანა-პესკარა | 1,5 | 3,3 | 7,0 |
| 18.00 | 102 | ტერნანა-ანკონა | 1,6 | 3,0 | 6,5 |
| 18.00 | 103 | ტრევიზო-მონცა | 1,75 | 2,8 | 5,0 |
| | | 30 აპრილი | | | |
| 23.45 | 104 | სიენა-სამპდორია | 3,0 | 2,5 | 2,5 |

### იტალია. სერია C1/a. 32-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 29 აპრილი | | | |
| 19.00 | 105 | არეცო-ლეკო | 1,55 | 3,1 | 7,0 |
| 19.00 | 106 | კარარეზე-პიზა | 2,1 | 2,5 | 4,0 |
| 19.00 | 107 | კომო-ალბინოლეფე | 1,45 | 3,2 | 9,0 |
| 19.00 | 108 | ლივორნო-ჩეზენა | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 19.00 | 109 | ლუკეზე-სპეცია | 2,6 | 2,6 | 2,8 |
| 19.00 | 110 | მოდენა-ალესანდრია | 1,3 | 3,8 | 9,0 |
| 19.00 | 111 | რეჯანა-ალცანო | 2,0 | 2,6 | 4,2 |
| 19.00 | 112 | სპალ-ბრეშელო | 1,75 | 2,8 | 5,0 |
| 19.00 | 113 | ვარეზე-ლუმეცანე | 2,4 | 2,5 | 3,2 |

### იტალია. სერია C1/b. 32-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 29 აპრილი | | | |
| 19.00 | 114 | აველინო-ჯულიანოვა | 1,55 | 3,0 | 7,5 |
| 19.00 | 115 | ბენევენტო-ვიტერბეზე | 1,85 | 2,7 | 4,4 |
| 19.00 | 116 | კატანია-ნოჩერინა | 1,55 | 2,8 | 6,0 |
| 19.00 | 117 | ფერმანა-დი სანგრო | 2,1 | 2,6 | 3,8 |
| 19.00 | 118 | ლოდიჯანი-ატლეტიკო | 1,75 | 2,9 | 4,4 |
| 19.00 | 119 | აკილა-მესინა | 2,6 | 2,7 | 2,7 |
| 19.00 | 120 | პალერმო-ფანდრია | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 19.00 | 121 | ტორესი-პეზარო | 1,55 | 3,1 | 7,0 |
| 19.00 | 122 | სავოია-ასკოლი | 2,1 | 2,5 | 4,0 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. 32-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 28 აპრილი | | | |
| 24.00 | 123 | ვალენსია-ვალიადოლიდი | 1,4 | 3,6 | 7,5 |
| 24.00 | 124 | რეალი-ოსასუნა | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | | 29 აპრილი | | | |
| 21.00 | 125 | მალაგა-ოვიედო | 1,55 | 3,3 | 6,0 |
| 21.00 | 126 | ბილბაო-ალავესი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 21.00 | 127 | რასინგი-რაიო ვალეკანო | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 21.00 | 128 | დეპორტივო-ესპანიოლი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 21.00 | 129 | მალიორკა-სარაგოსა | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 21.00 | 130 | ნუმანსია-ვილიარეალი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 21.00 | 131 | ლას პალმასი-სოსიედადი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 23.00 | 132 | ბარსელონა-სელტა | 1,5 | 3,5 | 6,0 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. 35-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 28 აპრილი | | | |
| 21.00 | 133 | ატლეტიკო-მურსია | 1,4 | 3,6 | 7,5 |
| 21.00 | 134 | ბეტისი-ლეიდა | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| 21.00 | 135 | კომპოსტელა-ლეგანესი | 2,0 | 2,7 | 3,6 |
| 22.00 | 136 | ბადახოსი-სალამანკა | 2,0 | 2,7 | 4,0 |
| | | 29 აპრილი | | | |
| 15.00 | 137 | უელვა-სპორტინგი | 1,8 | 2,8 | 4,7 |
| 16.00 | 138 | უნივერსიდადი-ესტრემადურა | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 21.00 | 139 | ელჩე-ტენერიფე | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 21.00 | 140 | კორდობა-ეიბარი | 1,85 | 2,8 | 4,4 |
| 21.00 | 141 | ფეროლი-სევილია | 3,2 | 2,9 | 2,2 |
| 21.00 | 142 | ხაენი-ალბასეტე | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| 21.00 | 143 | ლევანტე-ხეტაფე | 1,7 | 3,0 | 5,0 |

### პორტუგალია. I ლიგა. 30-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 28 აპრილი | | | |
| 01.30 | 144 | გიმარაეში-ბელენენსეში | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 01.30 | 145 | ალვერკა-ბოავიშტა | 4,0 | 3,1 | 1,8 |
| | | 29 აპრილი | | | |
| 20.00 | 146 | მარიტიმუ-კამპომაიორენსე | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 20.00 | 147 | ფარენსე-ფერეირა | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 20.00 | 148 | ჟილ ვისენტე-ამადორა | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 20.00 | 149 | სალგეირუში-ლეირია | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 20.00 | 150 | ავეში-ბეირა მარი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 23.00 | 151 | პორტუ-ბრაგა | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 01.30 | 152 | სპორტინგი-ბენფიკა | 2,0 | 3,0 | 3,5 |

### პორტუგალია. II ლიგა. 30-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 29 აპრილი | | | |
| 20.00 | 153 | ოვარენსე-ფელგეირაში | 1,6 | 3,5 | 4,7 |
| 20.00 | 154 | ლეცა-ნასიონალი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 20.00 | 155 | იმორტალი-სანტა კლარა | 3,8 | 3,2 | 1,8 |
| 20.00 | 156 | ვარზიმი-რიუ ავე | 1,85 | 3,0 | 4,0 |
| 20.00 | 157 | ფრეამუნდე-შავეში | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 20.00 | 158 | აკადემიკა-მაია | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 20.00 | 159 | ლამაში-ნავალი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 20.00 | 160 | მარკუ-ესპინიუ | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 20.00 | 161 | პენაფიელი-სეტუბალი | 1,9 | 3,1 | 3,6 |

### ჰოლანდია. I დივიზიონი. 30-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 27 აპრილი | | | |
| 23.45 | 162 | აიაქსი-ბრედა | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 163 | აიაქსი-ბრედა 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 |
| | | 28 აპრილი | | | |
| 22.30 | 164 | ტვენტე-ალკმაარი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 22.30 | 165 | ტილბურგი-პსვ | 3,8 | 3,2 | 1,9 |
| 22.30 | 166 | სიტარდი-გრონინგენი | 1,95 | 3,2 | 3,4 |
| 23.00 | 167 | ვიტესი-გრააფსხაპი | 1,45 | 3,6 | 6,0 |
| 23.00 | 168 | სპარტა-ჰერენვენი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | 29 აპრილი | | | |
| 17.30 | 169 | ნაიმეგენი-ვალვაიკი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 17.30 | 170 | როზენდალი-უტრეხტი | 3,6 | 3,4 | 1,75 |
| 20.15 | 171 | როდა-ფეიენოორდი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

### ჰოლანდია. II დივიზიონი. 30-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 28 აპრილი | | | |
| 19.00 | 172 | ეინდჰოვენი-დენ ბოსხი | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| 22.00 | 173 | ვეენდამი-მაასტრიხტი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 22.00 | 174 | ჰაარლემი-ემენი | 2,3 | 3,2 | 2,7 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 175 | დორდრეხტი-იგლსი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 22.00 | 176 | ჰელმონდი-ვოლენდამი | 2,2 | 3,2 | 2,9 |
| 22.00 | 177 | ჰერაკლესი-ექსელსიორი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 22.00 | 178 | ოსი-კამბური | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 22.00 | 179 | ვენლო-ტელსტარი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | **29 აპრილი** | | | |
| 17.30 | 180 | ზვოლე-დენ ჰააგი | 1,45 | 3,5 | 6,0 |

**ბელგია. I დივიზიონი. 31-ე ტური**
**28 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 181 | გენკი-სტანდარდი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.00 | 182 | ლიერსი-ლუვიე | 1,6 | 3,6 | 4,4 |
| 23.00 | 183 | ანდერლეხტი-ბევერსხოტი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 184 | ანდერლეხტი-ბევერსხოტი 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 |
| 23.00 | 185 | შარლერუა-მეხელენი | 1,65 | 3,2 | 4,2 |
| 23.00 | 186 | ბევერენი-აალსტი | 1,85 | 3,4 | 3,4 |
| 23.00 | 187 | ვესტერლო-სენტ ტრუიდენი | 1,6 | 3,5 | 4,7 |
| 23.00 | 188 | გენტი-ლოკერენი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| | | **29 აპრილი** | | | |
| 18.00 | 189 | ანტვერპენი-ბრიუგე | 4,2 | 3,3 | 1,7 |
| 18.00 | 190 | ჰარელბეკე-მუსკრონი | 2,3 | 3,3 | 2,6 |

**ბელგია. II დივიზიონი. 33-ე ტური**
**29 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 191 | ოსტენდე-ტიენენი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.00 | 192 | გეელი-ჰეკელგემი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 18.00 | 193 | სტრომბეკი-დეხელი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 18.00 | 194 | ინგელმუნსტერი-ტურნჰაუტი | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 18.00 | 195 | სერკლი-მოლენბეკი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.00 | 196 | რუზელარე-მაასლანდი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 18.00 | 197 | ბერგენი-დაინცე | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 18.00 | 198 | ლიეჟი-ლომელი | 3,2 | 3,3 | 2,0 |
| 18.00 | 199 | დენდერლეუ-ჰეუსდენი | 1,85 | 3,1 | 3,8 |

**საბერძნეთი. 27-ე ტური**
**28 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 200 | არისი-კალამატა | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | | **29 აპრილი** | | | |
| 19.30 | 201 | პანიონიოსი-იანინა | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 19.30 | 202 | ეთნიკოსი-პაოკ | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.30 | 203 | ოფი-პანაჰაიკი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 19.30 | 204 | იონიკოსი-პანათინაიკოსი | 3,5 | 3,2 | 1,9 |
| 19.30 | 205 | პანილიაკოსი-აეკ | 3,3 | 3,2 | 2,0 |
| 21.00 | 206 | ათინაიკოსი-ქსანთი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| | | **30 აპრილი** | | | |
| 19.30 | 207 | ოლიმპიაკოსი-ირაკლისი | 1,35 | 3,6 | 7,5 |

**ჩეხეთი. 26-ე ტური**
**27 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 208 | სინოტი-პრჟიბრამი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| | | **28 აპრილი** | | | |
| 19.30 | 209 | სლავია-ჟიჟკოვი | 1,4 | 3,8 | 6,5 |
| | | **29 აპრილი** | | | |
| 19.30 | 210 | ბლშანი-ბანიკი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 19.30 | 211 | ლიბერეცი-სპარტა | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 19.30 | 212 | პლზენი-სიგმა | 5,6 | 3,6 | 1,5 |
| 19.30 | 213 | დრნოვიცე-ბრნო | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 19.30 | 214 | ბუდეიოვიცე-იაბლონეცი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| | | **30 აპრილი** | | | |
| 22.00 | 215 | ბოჰემიანსი-ტეპლიცე | 2,4 | 2,9 | 2,8 |

**პოლონეთი. 22-ე ტური**
**27 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 216 | კატოვიცე-რუხი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| | | **28 აპრილი** | | | |
| 19.00 | 217 | სტომილი-პლოცკი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 19.00 | 218 | ოდრა-ლეგია | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 20.00 | 219 | ამიკა-შლიონსკი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 20.00 | 220 | პოგონი-ზაგლებე | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 20.00 | 221 | ვიძევი-გროცლინი | 1,65 | 3,1 | 5,3 |
| 20.15 | 222 | გურნიკი-რაძიონკოვი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| | | **29 აპრილი** | | | |
| 17.30 | 223 | პოლონია-ვისლა | 2,5 | 2,9 | 2,6 |

**თურქეთი. 30-ე ტური**
**27 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 224 | გაზიანთეფი-ანკარაგიუჯიუ | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | | **28 აპრილი** | | | |
| 18.30 | 225 | ქოჯაელი-ბეშიქთაში | 3,6 | 3,1 | 1,9 |
| 18.30 | 226 | ერზურუმი-რიზე | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.30 | 227 | ისთანბული-იეოფა | 1,5 | 3,8 | 4,7 |
| 21.00 | 228 | გალათასარაი-ალანა | 1,1 | 7,0 | 14,0 |
| | | **29 აპრილი** | | | |
| 18.30 | 229 | ბურსა-ანთალია | 1,85 | 3,0 | 4,0 |
| 18.30 | 230 | სამსუნი-ოიზგათი | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 18.30 | 231 | გენჩლერბირლიგი-დენიზლი | 1,95 | 3,1 | 3,4 |
| 21.00 | 232 | ტრაბზონი-ფენერბაჩე | 2,7 | 3,0 | 2,4 |

**შოტლანდია. 35-ე ტური**
**27 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 233 | კილმარნოკი-ჰართსი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| | | **28 აპრილი** | | | |
| 19.00 | 234 | დანფერმლაინი-სენტ მირენი | 1,65 | 3,4 | 4,4 |
| 19.00 | 235 | დანდი იუნ.-მოზერუელი | 1,95 | 3,3 | 3,3 |
| 19.00 | 236 | სენტ ჯონსტონი-აბერდინი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| | | **29 აპრილი** | | | |
| 17.00 | 237 | რეინჯერსი-სელტიკი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 19.00 | 238 | დანდი-ჰიბერნიანი | 2,6 | 3,1 | 2,4 |

**ავსტრია. 31-ე ტური**
**28 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 239 | გრაცერი-ბრეგენცი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 18.30 | 240 | რაპიდი-ლინცერი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 18.30 | 241 | ზალცბურგი-აუსტრია | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 22.00 | 242 | რიდი-ტიროლი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| | | **29 აპრილი** | | | |
| 19.30 | 243 | ადმირა-შტურმი | 3,1 | 3,2 | 2,1 |

**შვეიცარია. A ჯგუფი. მე-9 ტური**
**28 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 244 | სიონი-ბაზელი | 1,95 | 3,0 | 3,5 |
| 22.30 | 245 | ლუგანო-სერვეტი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 22.30 | 246 | ლოზანა-გრასჰოპერი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | **29 აპრილი** | | | |
| 19.15 | 247 | ციურიხი-სენტ გალენი | 2,3 | 3,1 | 2,8 |

**შვეიცარია. A/B ჯგუფი. მე-9 ტური**
**28 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 248 | ვილი-არაუ | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 20.30 | 249 | ვინტერთური-ქსამაქსი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 22.30 | 250 | იანგ ბოისი-ბელინცონა | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 22.30 | 251 | ლუცერნი-ივერდონი | 1,6 | 3,3 | 5,3 |

**შვეიცარია. B ჯგუფი. მე-9 ტური**
**28 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 252 | თუნი-კრინსი | 1,65 | 3,4 | 4,4 |
| 20.30 | 253 | კარუჟი-ვანგენი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 20.30 | 254 | ლოკარნო-დელემონი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| | | **29 აპრილი** | | | |
| 17.30 | 255 | ბადენი-სოლოთურნი | 1,5 | 3,6 | 5,6 |

**დანია. 26-ე ტური**
**29 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 256 | აკადემისკი-ოდენსე | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 18.00 | 257 | ჰადერსლევი-ოლბორგი | 4,4 | 3,6 | 1,55 |
| 18.00 | 258 | ჰერფიოლგე-ორჰუსი | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 18.00 | 259 | ვიბორგი-ლიუნგბიუ | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 20.05 | 260 | ბრიონდბიუ-მიდტიულანდი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| | | **30 აპრილი** | | | |
| 22.00 | 261 | სილკებორგი-კოპენჰაგენი | 2,0 | 3,3 | 3,2 |

**რუსეთი. მე-7 ტური**
**28 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 262 | როსტსელმაში-ცსკა | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| 16.00 | 263 | სატურნი-სპარტაკი | 4,7 | 3,1 | 1,7 |
| 16.00 | 264 | ფაკელი-ჩერნომორეცი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 16.00 | 265 | დინამო-სოკოლი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 16.00 | 266 | კრილია-ზენიტი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 16.00 | 267 | ტორპედო-ლოკომოტივი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 16.00 | 268 | ალანია-ანჟი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | | **29 აპრილი** | | | |
| 16.00 | 269 | ზილ-როტორი | 2,1 | 2,9 | 3,4 |

**შვედეთი. მე-4 ტური**
**29 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 270 | აიკ-ტრელებორგი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| 18.00 | 271 | სუნდსვალი-ჰალმსტადი | 3,3 | 3,2 | 2,0 |
| 18.00 | 272 | იორებრო-იურგარდენი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| | | **30 აპრილი** | | | |
| 18.00 | 273 | ელფსბორგი-ჰეკენი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 18.00 | 274 | იორგრიტე-ჰელსინგბორგი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

**ნორვეგია. მე-3 ტური**
**29 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 275 | ბრანი-ბრინი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 21.00 | 276 | ლილესტრიომი-სოგნდალი | 1,55 | 3,5 | 5,3 |
| 21.00 | 277 | ლინი-ოდ გრენლანდი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 21.00 | 278 | მოლდე-მოსი | 1,4 | 4,0 | 6,5 |
| 21.00 | 279 | სტაბეკი-სტრიომგოდსეტი | 1,4 | 4,0 | 6,5 |
| 21.00 | 280 | ვიკინგი-ტრომსიო | 1,8 | 3,3 | 3,6 |
| 23.05 | 281 | ბოდიო გლიმტი-რუსენბორგი | 4,4 | 3,4 | 1,65 |

**ფინეთი. მე-2 ტური**
**28 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 282 | ატლანტისი-კუოპიო | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| | | **29 აპრილი** | | | |
| 20.30 | 283 | ჰაკა-ვაასა | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 20.30 | 284 | ჰიკ-ლაჰტი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 20.30 | 285 | ინტერი-იოკერიტი | 2,1 | 3,2 | 2,9 |
| 20.30 | 286 | ჯაზი-მიუპა | 3,3 | 3,2 | 2,0 |

**შვედეთი. თასის 1/4 ფინალი**
**27 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 287 | გიოტებორგი-მალმიო | 1,8 | 3,3 | 3,6 |

**მსოფლიო ჩემპიონის შესარჩევი მატჩი**
**27 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 501 | კონგო-მადაგასკარი | 2,2 | 3,1 | 3,0 |

**კალათბურთი. 1/8 ფინალი**
**27 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 05.00 | 801 | შარლოტი-მაიამი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| | | **28 აპრილი** | | | |
| 21.30 | 802 | ინდიანა-ფილადელფია | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 24.00 | 803 | დალასი-იუტა | 1,55 | 12,0 | 1,9 |
| 02.30 | 804 | მინესოტა-სან ანტონიო | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 05.30 | 805 | ორლანდო-მილუოკი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| | | **29 აპრილი** | | | |
| 21.30 | 806 | ტორონტო-ნიუ იორკი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 24.00 | 807 | ფინიქსი-საკრამენტო | 1,55 | 12,0 | 1,9 |
| 02.30 | 808 | პორტლენდი-ლეიკერსი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| | | **30 აპრილი** | | | |
| 04.00 | 809 | შარლოტი-მაიამი | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 04.00 | 810 | მინესოტა-სან ანტონიო | 1,0 | 1,0 | 1,0 |

**ჰოკეი. 1/4 ფინალი**
**27 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 901 | დალასი-სენტ ლუისი | 1,85 | 4,0 | 2,4 |
| | | **28 აპრილი** | | | |
| 24.00 | 902 | ნიუ ჯერსი-ტორონტო | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 24.00 | 903 | ბუფალო-პიტსბურგი | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 24.00 | 904 | კოლორადო-ლოს ანჯელესი | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| | | **29 აპრილი** | | | |
| 24.00 | 905 | დალასი-სენტ ლუისი | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| | | **30 აპრილი** | | | |
| 04.00 | 906 | პიტსბურგი-ბუფალო | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 04.00 | 907 | ლოს ანჯელესი-კოლორადო | 1,0 | 1,0 | 1,0 |

**ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი (გერმანიაში)**
**28 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.15 | 908 | შვეიცარია-გერმანია | 2,2 | 4,0 | 2,0 |
| 19.00 | 909 | ნორვეგია-კანადა | 9,0 | 9,0 | 1,1 |
| 19.00 | 910 | ბელარუსი-ჩეხეთი | 7,0 | 7,0 | 1,15 |
| 23.00 | 911 | რუსეთი-იტალია | 1,1 | 9,0 | 9,0 |
| 23.00 | 912 | აშ-უკრაინა | 1,2 | 6,0 | 6,0 |
| 23.00 | 913 | ავსტრია-ფინეთი | 9,0 | 9,0 | 1,1 |
| | | **29 აპრილი** | | | |
| 19.00 | 914 | ლატვია-შვედეთი | 6,0 | 6,0 | 1,2 |
| 19.00 | 915 | სლოვაკეთი-იაპონია | 1,05 | 12,0 | 12,0 |
| 23.00 | 916 | რუსეთი-ნორვეგია | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 23.00 | 917 | ჩეხეთი-გერმანია | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| | | **30 აპრილი** | | | |
| 19.00 | 918 | კანადა-იტალია | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 19.00 | 919 | შვეიცარია-ბელარუსი | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 19.00 | 920 | სლოვაკეთი-ავსტრია | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 23.00 | 921 | აშშ-ლატვია | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 23.00 | 922 | ფინეთი-იაპონია | 1,0 | 1,0 | 1,0 |

**ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი**
**28 აპრილი**
**18.15**

| | | |
|---|---|---|
| 951 | ფინეთი | -3,0 |
| 952 | ჩეხეთი | -3,0 |
| 953 | შვედეთი | -3,0 |
| 954 | კანადა | -3,5 |
| 955 | რუსეთი | -5,0 |
| 956 | აშშ | -10,0 |
| 957 | სლოვაკეთი | -15,0 |
| 958 | ლატვია | -30,0 |
| 959 | შვეიცარია | -50,0 |
| 960 | გერმანია | -50,0 |
| 961 | ბელარუსი | -100,0 |
| 962 | ავსტრია | -200,0 |
| 963 | უკრაინა | -200,0 |
| 964 | ნორვეგია | -300,0 |
| 965 | იტალია | -500,0 |
| 966 | იაპონია | -1000,0 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# ლაბაძე აგასის ასცდა



ანდრე აგასის მწვანე თიხნარი არ შეერგო

ატლანტა (აშშ)
VERIZON TENNIS CHALLANGE
მწვანე თიხნარი
საპრიზო 400 ათასი $

ჩვენებურ ირაკლი ლაბაძეს საქართველოს ამერიკული სეხნიის — ჯორჯიის დედაქალაქში შესანიშნავი შანსი ჰქონდა, თითქმის ორწლიანი შესვენების შემდეგ ATP-ის ტურნირის ძირითად ბადეში მოხვედრილიყო. 19 წლის თბილისელმა საკვალიფიკაციო პირველობის პირველ-მეორე წრეებში შესაბამისად ნორვეგიელი კრისტიან რუუდი (7) და ფრანგი სირილ სოლნიე დაამარცხა (გადამწყვეტი ხელის ტაი-ბრეიკზე), მაგრამ ბოლო ბარიერი ვეღარ გადალახა. შესარჩევი ტურნირის საფინალო ეტაპზე მან ნიკოლა ტომანთან წააგო 1:6, 6:2, 3:6.

და რა მოხდებოდა, ლაბაძეს 28 წლის ფრანგიც რომ გაემწარებინა? რა და ქართველი პლანეტის უძლიერეს ჩოგბურთელ ანდრე აგასის შეხვდებოდა პირველივე წრეში და ვინძლო... არა, ოცნება უსასრულობამდე შეიძლება, მაგრამ ირაკლის თავხოტორა ლასვეგასელის დამარცხების და ამომავალი ვარსკვლავის იარლიყის მიკვრის არცთუ ურიგო შანსი, ალბათ, მართლა გაუჩნდებოდა. საქმე ის არის, რომ ტომანმა გუშინ საუკეთესო ფორმიდან შორს მყოფ აგასის ბდღვირი ადინა.

წესით და რიგით, პირველი წრის შეხვედრა ფრანგსა და ჩემპიონთა რბოლა 2001-ის ლიდერს შორის ოთხშაბათ საღამოს უნდა გამართულიყო, მაგრამ წვიმის გამო ერთი დღით გადაიდო. უამინდობის შედეგად ატლანტის „ათლეტიკ კლაბის" კორტზე თამაში ერთიორად გართულდა.

„მწვანე თიხნარი ჩვეულებრივთან შედარებით უფრო სრიალაა, მასზე ასპარეზობისგან სიამოვნების მიღება — გაცილებით ძნელი. ამ კორტზე ცურვა, ალბათ, უფრო უპრიანი იქნებოდა. მთელი მატჩის მანძილზე მიჭირდა მოძრაობა და წონასწორობის შენარჩუნება" — დაიჩივლა მოგვიანებით აგასიმ.

ამერიკელმა შეხვედრა სამი ორმაგი შეცდომით დაიწყო, საკუთარი მოწოდება მაშინვე დაკარგა და პირველ ხელში ღირებული არაფერი გაუკეთებია. მეორე სეტიდან ანდრე მეტისმეტად აღარ ფრთხილობდა, წაქცევის და რაიმეს ტკენის შიში ცოტა ხნით დაივიწყა და უპირატესობა ხელთ იგდო.

5:4-ზე აგასის ორი სეტ-პოინტიც ჰქონდა, მაგრამ ტომანმა მძიმე სიტუაციას ბრწყინვალედ დააღწია თავი: ჯერ 200 კმ/სთ-იანი ეისი მოაწოდა, მერე კი აუღებელი შემოკლებული დაარტყა. ხელიდან გაშვებულმა შესაძლებლობებმა ანდრეს, ეტყობა, თამაშის სურვილი გაუქრო. დარჩენილ ორ გეიმში ის საოცრად ინდიფერენტულად გამოიყურებოდა და მეტოქეს კარიერის ყველაზე სამახსოვრო მოგება ლანგარზე მიართვა — 4:6, 5:7.

„მნიშვნელოვან მომენტებში ის კარგად ირჯებოდა და ხელი არ აჰკანკალებია, ამას ნამდვილად ვერ დაუკარგავ. მე კი ხვალიდანვე სერიოზული ვარჯიში უნდა განვაახლო და რომის და ჰამბურგის ტურნირებისთვის უკეთ მოვემზადო. ასე დიდი სლემის მოგებაზე საუბარი სისულელეა" — აღნიშნა აგასიმ, რომლისთვისაც ეს სეზონის ოდენ მესამე მარცხი იყო.

ლამის ვეტერანის ასაკს მიღწეული ტომანი საუკეთესოთა ასეულელი არასოდეს ყოფილა, წლეულს ATP-ის ტურნირზე პირველად ასპარეზობდა და გასულ ოთხ თვეში ჩელენჯერებზეც კი ერთადერთი მატჩი მოეგო. ბუნებრივია, ფრანგი სიხარულით მეცხრე ცაზე იყო: „ვერც კი დამიჯერებია, რომ მოვიგე. ჩემთვის ასეთ დიდ ჩოგბურთელთან თამაშიც კი სიზმარს ჰგავდა. ისე, კორტზე წინასწარ განწირულის შეგრძნებით მაინც არ გავსულვარ, ამ სპორტში, როგორც თავად იხილეთ, ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ანდრეს, რა თქმა უნდა, უკეთ შეუძლია თამაში, ის დღეს ძალიან ბევრს სცოდავდა."

და რა მოხდებოდა კვირას ლაბაძეს 28 წლის ფრანგი რომ გაემწარებინა? სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ამ კითხვაზე პასუხს ვერასოდეს გავიგებთ.

**პირველი წრე: ტოდ მარტინი (2, აშშ) — ირჟი ვანეკი (ჩეხეთი) 6:2, 3:6, 7:6 (7:5); მაიკლ ჩანგი (3, აშშ) — დავიდ სანჩესი (ესპანეთი) 7:5, 6:3; რაინერ შუტლერი (4, გერმანია) — მარტინ როდრიგესი (არგენტინა) 6:3, 3:6, 6:3; ენდრიუ ილი (5, ავსტრალია) — ბობ ბრაიანი (აშშ) 6:2, 4:6, 6:3; ჟერომ გოლმარი (6, საფრანგეთი) — პოლ გოლდსტაინი (აშშ) 6:0, 6:1; ენდი როდიკი (აშშ) — რაემონ სლუიტერი (ჰოლანდია) 6:2, 4:6, 6:4; ქსავიე მალისი (ბელგია) — ანდრე სა (ბრაზილია) 6:4, 4:6, 6:2**

ბარსელონა (ესპანეთი)
OPEN SEAT GODO
თიხნარი. საპრიზო 1 მილიონი $

ბოლო ხანებში ძალიან გახშირდა შემთხვევები, როდესაც ჩოგბურთის ვარსკვლავები ბოლო წამს აწბილებენ ტურნირის ორგანიზატორებს ასპარეზობაზე უარის თქმით, თუმცა იმას, რაც ბარსელონელებს დაემართათ, ვერც ახირებულობას დააბრალებ და ვერც უბრალო უიღბლობას.

ჯერ იყო და, შაბათს ტურნირის შარშანდელმა ჩემპიონმა და მსოფლიოს მეორე ჩოგანმა მარატ საფინმა შინიდან შემოთვალა, ჩემი თავი შემოგევლოთ, მაგრამ ექიმებმა თამაში ამიკრძალეს და მანდ ჩამომსვლელი არა ვარო. სამშაბათს არანაკლებ სახელოვანი გუსტავო კუერტენის ჯერი დადგა. ბარსელონაში მყოფმა „გუგამ" პრესკონფერენცია მოიწვია და ყველას აუწყა, ფეხის კუნთი მაქვს დაჭიმული და დასვენება მჭირდებაო.

„წინა კვირაში მონტე კარლოშიც ტრავმირებული ვიყავი და ექიმები დამტრიალებდნენ თავს. იქ როგორღაც გავძელი, მაგრამ მეტად რისკზე წასვლა აღარ მინდა. მომდევნო თვენახევარი ჩემთვის სეზონის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია, ამიტომ მირჩევნია, მხოლოდ მაშინ ვითამაშო, როცა ამისთვის 100 პროცენტით ვიქნები მზად" — განაცხადა მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა.



REUTERS ფოტო

მაგნუს ნორმანი მუცლის გვრემამ შეაწუხა

საფინ-კუერტენის არყოფნაში ტურნირს ყველაზე დიდ ვარსკვლავად შვედი მაგნუს ნორმანი შემორჩა. ზემოხსენებულ ბობოლათაგან განსხვავებით, მან ბარსელონაში კორტამდე კი მიაღწია, მაგრამ... სულ ორი გეიმის თამაში მოახერხა.

საქმე ის არის, რომ კატალონიაში ნორმანი ყელმტკივანი ჩავიდა, დროულად გამოსაჯანმრთელებლად ბლომად ანტიბიოტიკები და C ვიტამინი ყლაპა, მაგრამ მორჩენის ნაცვლად კიდევ უფრო უარესად შეიქნა.

„მან მითხრა, რომ დილის 7 საათზე მუცლის ტკივილმა გააღვიძა და მოგვიანებით გულიც აერია. მერე ცოტა უკეთ იგრძნო თავი და ივარჯიშა, თუმცა შეძლებდა თუ არა ასპარეზობას, ბოლო წუთამდე არ ვიყავით დარწმუნებული. კორტზე გასვლა და თამაშის ცდა თავად მაგნუსმა გადაწყვიტა" — ეს ტურნირის ექიმის ანხელ რუის კოტოროს სიტყვებია, ბოლო წინადადებით კი მან ორგანიზატორები დაიცვა, რომლებიც შვედზე ზეწოლაში დაადანაშაულეს.

ესპანელი ალბერტ პორტასის წინააღმდეგ ნორმანმა ორი გეიმი კი ჩაასრულა, მაგრამ 1:1-ზე ისევ ცუდად იგრძნო თავი და თამაშზე უარი განაცხადა. შვედს ჟურნალისტებთან საუბრის თავიც კი არ ჰქონდა და მხოლოდ ის თქვა, იმედგაცრუებული ვარო.

ამრიგად ნორმანის ავადმყოფობის შემდეგ ტურნირს ერთადერთი საუკეთესოთა ათეულელი — მასპინძელი ხუან კარლოს ფერერო (3) შემორჩა და მეორე წრეში კინაღამ მანაც იგივე ბედი გაიზიარა. რუმინელ ადრიან ვოინეასთან მატჩში ფერერო, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ბეწვზე გადაურჩა მარცხს — მატჩ-პოინტზე მისი დარტყმული ბადეს მოხვდა და კარგა ხნის ფიქრის შემდეგღა გადაგორდა მეტოქის მხარეს. ესპანელმა ამის შემდეგ კიდევ ერთი მატჩ-პოინტი გადაარჩინა და საბოლოოდ 7:6 (8:6), 6:7 (5:7), 7:5 იმარჯვა.

**მეორე წრე: ალექს კორეჩა (4, ესპანეთი) — ოლივერ გროსი (გერმანია) 6:3, 6:7 (7:9), 3:1 — ტრავმა; არნო კლემანი (5, საფრანგეთი) — ხუან ბალსელსი (ესპანეთი) 7:6 (7:5), 7:6 (10:8); სერხი ბრუგერა (ესპანეთი) — დომინიკ ჰრბატი (6, სლოვაკეთი) 6:0, 6:2; ტომას ენკვისტი (7, შვედეთი) — დავიდე სანგვინეტი (იტალია) 6:3, 6:0; ტომი რობრედო (ესპანეთი) — სებასტიან გროჟანი (8, საფრანგეთი) 6:2, 6:2; კარლოს მოია (11, ესპანეთი) — კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) 7:5, 6:0; ალექს კალატრავა (ესპანეთი) — ნიკოლა ესკუდე (14, საფრანგეთი) 6:3, 7:6 (7:4); ალბერტ კოსტა (16, ესპანეთი) — ალბერტ მონტანესი (ესპანეთი) 6:4, 4:6, 7:6 (7:5).**

**ავთანდილ სვანიძე**



# მიქელე აღესრულა



მიქელე ალბორეტო 1996 წელს

**გერმანიაში,** ლაუზიცის ჯერ გაუხსნელ ავტოდრომზე, სადაც 15 სექტემბერს ამერიკული „კარტის" ჩემპიონატის ეტაპი უნდა გაიმართოს, ახალი „აუდის" გამოცდისას დაიღუპა ფორმულა 1-ის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პილოტი, 44 წლის მიქელე ალბორეტო.

იტალიელი მრბოლი თავის ბედაურს ლე მანის ტრადიციული, 24-საათიანი მარათონისთვის ამზადებდა. ასეა, ამ შფოთიანი ხელობის ხალხი პენსიაზე გასვლის შემდეგაც ვერ ელევა საჭეს და შედარებით დაბალსიმძლავრიანი მანქანების შეჯიბრებებში ახარებს ჭიას.

ალბორეტომ ფორმულაში 14 წელი გაატარა, აქედან ხუთი — ენცო ფერარის გუნდში. მონაწილეობა მიიღო 194 რბოლაში, რაც ფორმულა 1-ის არსებობის მანძილზე მეექვსე მაჩვენებელია. მოიგო ხუთი დიდი პრიზი (ბელგიის, გერმანიის, კანადისა და ორიც აშშ-ის), ხოლო საუკეთესო შედეგს მიაღწია 1985 წელს, როცა საერთო ჩათვლაში ალენ პროსტის შემდეგ მეორე ადგილი დაიკავა.



REUTERS ფოტო

მიქელე ალბორეტო ამ ავარიის შედეგად გარდაიცვალა

# პრივალოსანი



REUTERS ბალტიმორიდან

ჰასიმ რაჰმანი შვილებთან ერთად ავარიის შემდეგ

**მძიმეწონოსანი** ჩემპიონი, ლენოქს ლუისის მცემელი და ამით სენსაციის შემქმნელი, 28 წლის ჰასიმ რაჰმანი, მშობლიურ ბალტიმორში ავტოკატასტროფაში მოყვა. საბედნიეროდ, მოკრივე მსუბუქი ჭრილობებისა და დაზიანებებს მეტს არაფერს შეუწუხებია. გადარჩა მისი ოჯახიც.

ავარია კი ასე მოხდა: რაჰმანს მანქანაში ცოლ-შვილი ეჯდა. ისინი ტელეკომპანია ESPN-ის ოფისისკენ მიემართებოდნენ, სადაც ჩემპიონი ინტერვიუზე იყო დაბარებული. ამ დროს გადამკვეთი ქუჩიდან მომავალი მანქანა წითელ შუქზე არ გაჩერდა და რაჰმანისას დაეჯახა.

აღსანიშნავია, რომ სამხრეთ აფრიკიდან შინ დაბრუნებულ ჩემპიონს, წინა დღით, ქალაქის ცენტრში 2 500-მა ადამიანმა ამაღელვებელი შეხვედრა მოუწყო.

ამასობაში კი საკრივო-საინტერნეტო ვებ-გვერდებმა გამოკითხვა მოაწყვეს. დედამიწის ნებისმიერ მცხოვრებს შეეძლო ახალ ტიტულოსანზე თავისი აზრი გამოეთქვა. გამოკითხვამ საინტერესო რამ აჩვენა: მთელს მსოფლიოში კრივის გულშემატკივრებს რაჰმანისა არ სწამთ. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ ბალტიმორელი დროებითი ჩემპიონია.

* * *

**ცნობილი** მძიმეწონოსნის, ევანდერ ჰოლიფილდის მრჩეველი, ჯიმ თომასი დარწმუნებულია, რომ ჰასიმ რაჰმანის მიერ ლენოქს ლუისის ცემამ და უპირობო ჩემპიონის ტიტულის ჩამორთმევამ საკრივო ცხოვრება გამოაცოცხლა და ახალი აზრი შესძინა. ყოველ შემთხვევაში ამით ჰოლიფილდს აშკარად შეუძლია სარგებლობა.

აქამდე ჰოლიფილდი მალიმალ იმეორებდა, რომ უპირობო ჩემპიონის სახელის დაბრუნება მისი ხვედრია, მაგრამ ამას წინათ ჯონი რუისთან დამარცხებამ ამ ხვედრს გვერდით დიდი კითხვის ნიშანი მიუსვა. WBA-ს ტიტულის დაკარგვის შემდეგ იგი თითქოს კრივიდან უნდა წასულიყო კიდეც, მაგრამ ახლა სხვა საქმეა.

ახლა, ჰოლიფილდი რუისს 2 აგვისტოს, ჩინეთში შეხვდება — ეს საქმე დონ კინგს გაუკვაჭავს. თუ ჰოლიფილდმა გაიმარჯვა და ამასობაში მაიკ ტაისონმა ჰასიმ რაჰმანი გამოიწვია და სცემა, მაშინ წინ, არც მეტი, არც ნაკლები, ჰოლიფილდ-ტაისონის მესამე ბრძოლა გველის. ეს კი უკვე ცხოვრების გამოცოცხლებას ნიშნავს, თორემ ისე, მთელი საკრივო სამყარო ლუის-ტაისონის დაპირისპირებასღა ელოდა და სხვა ქვეყნად არაფერი აინტერესებდა, რაც ჰოლიფილდისთვის ადგილს აღარ ტოვებდა.

* * *

**ლენოქს ლუისის** ბანაკმა კი ჰასიმ რაჰმანთან რემატჩის თარიღად 18 აგვისტო მოიწადინა. მოგეხსენებათ, რომლესაც ეს ორი მოკრივე კარნავალ სიტიში 21 აპრილის ბრძოლაზე უთანხმდებოდა ერთმანეთს, კონტრაქტში რემატჩის სავალდებულო პირობაც ჩაწერეს.

მაგრამ, 18 აგვისტო ჯერჯერობით მხოლოდ ლუისის ლონდონური ოფისის სურვილია, რასაც რაჰმანის ხალხი ან დათანხმდება ან არა. საქმე ის გახლავთ, რომ მან შესაძლოა უპირველეს ყოვლისა მაიკ ტაისონთან ბრძოლა ამჯობინოს.

ახლა, იმის თაობაზე, რომ ტაისონს 2 ივნისს ნიგერიელ დევიდ აიზონთან აქვს ჩხუბი დანიშული. როგორც კი რაჰმანმა ლუისი დაამარცხა, ტაისონის მრჩეველმა, შელი ფინკელმა განაცხადა, „რკინის მაიკი“ მზად არის აიზონთან ბრძოლაზე უარი განაცხადოს და რაჰმანს შეხვდესო.

* * *

**ჰასიმ რაჰმანი** მსოფლიოს ჩემპიონი გახდა თუ არა, სამოელ დავიდ ტუას გაახსენდა, რომ იგი, თავის დროზე, დანოკაუტებული ჰყავს. გამოდის, რომ დღეს ტუა თვით ლუისზე უკეთეს მდგომარეობაშია. არადა, ლუისმა, როგორც გახსოვთ, გასული წლის ნოემბერში სამოელს რინგზე გამარჯვების მინიმალური შანსიც არ დაუტოვა.

მარტში ტუამ დენილ ნიკოლსონი დაამარცხა და IBF-ის ვერსიით ქამრის მთავარი პრეტენდენტია. გარდა ამისა, რაჰმანის ბანაკი ამტკიცებს, რომ ტუამ იგი მსაჯთა მიკერძოების გამო დაამარცხა და, ბუნებრივია, აქ რემატჩზეც შეიძლება ლაპარაკი.

* * *

**ქვე-საშუალო** წონაში IBF-ის ვერსიით ყოფილი ჩემპიონი ფერნანდო ვარგასი 5 მაისს საქმეს უბრუნდება — ელ პასოში ვილფრედო რივერას უნდა შეხვდეს.

ვარგასი ამბობს: „მე ის აღარ ვარ, ფელიქს ტრინიდადმა ნოკაუტში რომ ჩააგდო. დღეს გაცილებით უკეთესი მოკრივე ვარ, უფრო ღონიერი და სხარტი. ტრინიდადთან იმიტომ დავმარცხდი, რომ სულელურად ვიჩხუბე, დამავიწყდა, რა თვისებებმა მომიტანა ჩემპიონობა. ახლა ვილფრედო რივერას შევხვდები და ეს იქნება ჩემი პირველი ნაბიჯი მწვერვალზე დაბრუნებისკენ“.

ამასობაში კი ვარგასის სპარინგ პარტნიორი, სკოტ პემბერტონი, რომელიც თომას ტეიტს რომელიღაც მეორეხარისხოვანი ტიტულისთვის უნდა შეხვედროდა, დარბაზიდან გამოსული დააპატიმრეს. საპატიმროდან მხოლოდ გუშინ გათავისუფლებულმა პემბერტონმა განაცხადა:

„გული გამიტყდა. ბევრს ვმუშაობდი და საუკეთესო ფორმაშიც გახლდით. ახლა, გამოვიდა, რომ ყველას ვუღალატე. საკუთარ თავს, ოჯახს, მეგობრებს, კოლეგებს. ბრალად ძველისძველ რაღაცას მდებდნენ, ლაპარაკიც არ ღირს. მგონი, ეს საქმე კარგა ხნის დახურული იყო“.



ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს ჩემპიონატი

# იქნება ჩეხური ჰეთ თრიკი?

**28 აპრილს** გერმანიაში ათასწლეულის პირველი მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყება. შეჯიბრებაში 16 გუნდი მიიღებს მონაწილეობას, რომლებიც სამსაფეხურიანი სისტემით იბრძოლებენ მსოფლიოს საუკეთესო გუნდის ტიტულისთვის. ჩემპიონატი 13 მაისამდე გასტანს და ფინალური მატჩი ჰანოვერში გაიმართება.

ბოლო წლების პირველობებმა ცხადყო, რომ მსოფლიოს ჰოკეიში ძალები გათანაბრდა და აშკარა ფავორიტები, როგორებიც იყვნენ სსრკ-სა და ჩეხეთის გუნდები 70-80-იანი წლებში, აღარ ჩანან.

შვეიცარიელები ორჯერ მოხვდნენ ოთხეულში, შარშან კი სლოვაკეთის ნაკრებმა ვერცხლი მოიპოვა. ამიტომაც უფრო ტრადიციების მიხედვით ფავორიტებად ისევ 5-6 გუნდს ასახელებენ: კანადა, შვედეთი, ჩეხეთი, ფინეთი, რუსეთი და აშშ. ტრადიციის მიხედვითო, რომ ვთქვით, ეს ყველაზე მეტად რუსეთს ეხება, რადგან 1993 წლის ოქროს შემდეგ მათ არაფერი მოუგიათ, მედალიც კი არ მოუპოვებიათ, შარშან კი საკუთარ ყინულზე შეირცხვინეს თავი და მე-11 ადგილი დაიკავეს. ეს მაშინ, როცა მათ შემადგენლობაში უამრავი ვარსკვლავი იყო, მათ შორის პაველ ბურე და ალექსეი იაშინი. ნაკრების თავკაც ბორის მიხაილოვს წლეულსაც ძალიან სურდა ამ ორი მოთამაშის მიწვევა, მაგრამ პაველმა მსოფლიოს ჩემპიონატზე ოფლის ღვრას მოსკოვში ჰამბურგერების გაყიდვა ამჯობინა. აი, იაშინი კი, აგერ უკვე მერამდენედ, ისე ირჯებოდა პლეი ოფში, თითქოს ერთი სული ჰქონდა, როდის გავარდებოდა მისი ოტავა და პირველობაში მონაწილეობის საშუალება მიეცემოდა. რა თქმა უნდა, ეს ხუმრობაა. იაშინისთვის წლევანდელი მსოფლიოს ჩემპიონატი რიგით მეშვიდეა. ცხადია, ალექსეი რუსთა მთავარი იმედია. მის გარდა ნაკრებში სადღეისოდ კიდევ 4 ნჰლ-ელია, რომელთაგან ყველაზე ცნობილი ანაჰაიმის მცველი ოლეგ ტვერდოვსკი გახლავთ. ისე, რუსებს სტენლის თასის პირველი წრის დასრულების შემდეგ კიდევ რამდენიმე ცნობილი მოთამაშის მიწვევა შეეძლოთ, მაგრამ მიხაილოვმა მოულოდნელად განაცხადა, რომ ჩემპიონატის ორგანიზატორი გერმანია ქვეყნის აეროპორტებში ვიზას არ გასცემს, ხოლო თავად მოსკოვში საჭირო საბუთების გაფორმებას კვირანახევარი სჭირდება, ასე რომ მათ ამოქმედებას მაინც ვერ შევძლებთ, თორემ სერგეი ფიოდოროვის მიწვევაზე უარს როგორ ვიტყოდიო. ცხადია, ეს რუსების პრობლემაა, მაგრამ გასაკვირია, რატომ უნდა შეექმნათ ამგვარი წინააღმდეგობა, იგივე კანადელები ხომ ბოლო მომენტამდე ყოველთვის ტოვებენ ერთ-ორ ვაკანსიას და ახალი ჰოკეისტების განაცხადში შეყვანა არასდროს გასჭირვებიათ.

რაკი სიტყვა კანადელებზე ჩამოვარდა, აქვე ვიტყვით, რომ მათი წინასწარი შემადგენლობაც კი შარშანდელზე მრისხანედ გამოიყურება. მართალია, მათ უმაღლესი კლასის ვარსკვლავები არ ჰყავთ, მაგრამ მოთამაშეთა უმრავლესობა თავიანთი კლუბების ლიდერები არიან. რაც მთავარია, გუნდში ბევრი ახალგაზრდა და პატივმოყვარე მოთამაშეა, რომელთაც კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებენ და გერმანიის ტურნირი თავის გამოჩენის ჩინებული საშუალებაა.

მარტო 1999 და 2000 წლების დრაფტის პირველი ნომრების — ჯო ტორნტონისა (ბოსტონი) და ვენსან ლეკავალიეს (ტამპა) მონაწილეობა რად ღირს. ძირითადი მეკარის პოზიციას, ალბათ, კალგარის შავკანიანი გოლკიპერი ფრედ ბრეტუეიტი დაიკავებს, რომელიც საერთაშორისო ასპარეზობებზე სიამოვნებით დადის და თავიც არაერთხელ გამოუჩენია. დაცვის ხაზში ლიდერები ოტაველი უეიდ რედენი და ედმონტონელი ერიკ ბრიუერი არიან, შეტევაში კი გარდა ორი ზემოხსენებულისა, ანაჰაიმელ ჯეფ ფრიზენს და ბუფალოს მეამბოხე მაიკ პეკას გამოვყოფთ.

ჩეხები სულაც არ იქნებიან წინააღმდეგნი, ერთგვარი ჰეთ თრიქი შეასრულონ, ზედიზედ მესამედ მოიგონ პირველობა, რაც 1981-83 წლების მერე (სსრკ) არავის მოუხერხებია. თუ ეს მოხდა, ჩეხები საბოლოოდ დაიმკვიდრებენ უძლიერესი ნაკრების სახელს. ამჯერად მათ 9 ნჰლ-ელი მიიწვიეს (შარშან 5), მათ შორის მეკარე მილან ჰნილიჩკა (ატლანტა), მცველი პაველ კუბინა (ტამპა), ფორვარდები — რადეკ დვორჟაკი (რეინჯერსი) და მარტინ რუჩინსკი (მონრეალი). დიდი ვარსკვლავები არც მათ ჰყავთ, მაგრამ ჩეხებმა არაერთხელ დაამტკიცეს, რომ ნაკრებების შეჯიბრებაში მთავარი გუნდური სულისკვეთება, შეთამაშება და მწვრთნელთა დავალების ზედმიწევნით შესრულებაა. მით, უმეტეს, რომ შინაურებს შორისაც არიან ცნობილი მოთამაშეები — რობერტ რაიხელი და ირჟი დოპიტა.



ალექსეი იაშინი რუსებს გაუძღვება

ტრადიციულად ძლიერია ფინეთის ნაკრები, რომელსაც ბოლო წლებში სულ ერთი-ორი ნაბიჯი აკლდება „ოქრომდე“. სუომის ნაკრებსაც საკმაოდ ბევრი, 10 პროფესიონალი მოუგროვდა, ამათგან სან ხოსეს მეკარე მიკა კიპრუსოფს გამოვყოფდით (ნაკრებში მისი ძმა, მცველი მარკოც იქნება), რომელმაც პლეი ოფში გამოიჩინა თავი და ნეშვილის წამყვან მცველ კიმო ტიმონენს. ჯერჯერობით არაოფიციალური ინფორმაციით, გუნდს კაროლინას ფორვარდი სამი კაპანენიც დაეხმარება, თუმცა შინაურებიც ტოლს არ დაუდებენ ნებისმიერ მეტოქეს. წლეულს სუომის გუნდმა ტრადიციულ ევროტურში (ოთხი ქვეყნის — ფინეთის, რუსეთის, ჩეხეთის და შვედეთის შეჯიბრება) დიდი უპირატესობით იმარჯვა. ზოგიერთ ევროპაში მოასპარეზეს ნჰლ-ის სკოლაც გაუვლია, მათ შორის საიმო ჰელმინენსაც, რომლის დებიუტიც ნაკრებში 1984 წელს შედგა.

აი, შვედებმა კი ერთობ სუსტად ჩაატარეს ევროტური და საკმაოდ მოულოდნელიცაა, რომ მათ ჯერჯერობით მხოლოდ სამი ნჰლ-ელი შეიმატეს, მაგრამ მათ არაერთხელ მოუგიათ შეჯიბრება სწორედ მაშინ, როდესაც ამას ნაკლებად ელოდნენ, ხოლო თუ ნაკრებში ედმონტონის სასწაული მეკარე ტომი სალოც ჩავა, „ტრე კრუნურის“ გუნდი იოლი წამოსაქცევი არ იქნება.

ყოველთვის საიდუმლოებითაა მოცული აშშ-ს გუნდი, რომელიც ხშირად აზერხებს მედლებისთვის ბრძოლას მიუხედავად იმისა, რომ მეტწილად ნაკლებად ცნობილი მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული. ამჯერადაც ასე მოხდა, თუმც გუნდში გამოძახება გამოცდილმა მცველებმა — ფილ ჰაუსლიმ (კალგარი) და ერიკ უეინრიჩმა (მონრეალი) კვლავ სიამოვნებით მიიღეს.

სლოვაკები დაეყრდნობიან ელიან თავიანთ საუკეთესო ფორვარდს, პეტერ ბონდრას, მაგრამ მასთან ერთად თუ უიმისოდ, შარშანდელი წარმატების გამეორება, ვფიქრობ, გაუჭირდებათ.

სიურპრიზები შვეიცარიის ნაკრებისგანაცაა მოსალოდნელი და, ალბათ, მასპინძლებიც განსაკუთრებით მოინდომებენ საკუთარ კედლებში.

**სამველ ლარიბიანი**

**ჩემპიონატის ფორმულა**

**პირველ ეტაპზე 16 გუნდი 4 ჯგუფად გაიყო.**

**A:** ჩეხეთი, შვეიცარია, ბელარუსი, გერმანია

**B:** ფინეთი, სლოვაკეთი, ავსტრია, იაპონია

**C:** შვედეთი, აშშ, ლატვია, უკრაინა

**D:** კანადა, რუსეთი, ნორვეგია, იტალია

*საკვალიფიკაციო ეტაპზე ჯგუფიდან სამ-სამი საუკეთესო გავა, სადაც ისინი 2 ჯგუფად დანაწილდებიან (თითოში 6 გუნდი). აქედან საფინალო ეტაპის მონაწილე 8 გუნდი შეირჩევა, რომლებიც საპლეიოფო სისტემით (მეოთხედფინალი, ნახევარფინალი, ფინალი) ჩემპიონატის ტიტულს გაითამაშებენ.*

*პირველ ეტაპზე ჯგუფებში ბოლო ადგილებზე გასულები შეხვდებიან ერთმანეთს და იმ ორ გუნდს გამოავლენენ, რომლებიც უძლიერესთა კლასს დატოვებენ. მათ ადგილს კი მომავალ ჩემპიონატში პოლონეთი და სლოვენია დაიკავებენ.*

ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი
◆ სუ ჯოკ აკუპუნქტურა
◆ სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
◆ კვებისადა ფიზიკური რეჟიმის კორექცია
(აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)
მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის
განსაზღვრა უფასო კონსულტაციით
თბილისი, ვაჟა-ფშაველას 83/11. სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი.
ტელეფონი: 31-55-35; 38-67-56; 8 99 107 109

ეროვნული ბიბლიოთეკა






REUTERS ბალტიმორიდან

# ჩამწარებული ზეიმი

დიდი ხიფათი შემთხვევია მსოფლიოს ახალი საკრივო ჩემპიონის, ჰასიმ რაჰმანის ოჯახს. მშობლიურ ბალტიმორში, ჩემპიონის სადიდებლად გამართული საღამოდან გამოსულ რაჰმანთა ოჯახს მანქანა დაჯახებია. ფოტოზე სწორედ ის მომენტია აღბეჭდილი, როცა შემთხვევის მთავარ მსხვერპლს, ჰასიმის ცოლ კრისტალს მოკრივის მწვრთნელი სტენ ჰოფმანი და გამვლელები დასტრიალებენ თავს, თავად ჩემპიონს კი შვილი შარიფი ჩაუკრავს გულში და ტროტუარზე ზის გაოგნებული. სააგენტოს ცნობით, კრისტალი ახლომდებარე ჰოსპიტალში გაუქანებიათ.



AP საკრამენტოდან

# სიცოცხლე გრძელდება

„საკრამენტო კინგზის" ცანცარა კაცი, ჯეისონ ვილიამსი, ცისკენ აღმართული ცერით ანიშნებს საკრამენტოს „პარკ არენაზე" შეკრებილ ხალხს, რომ სიცოცხლე გრძელდება. „საკრამენტომ" 116:90 მოუგო „ფინიქს სანზს" და სერიაში ანგარიში გაათანაბრა, 1:1. ცანცარა ჯეისონის ცერს კი მისი თანაგუნდელი პრედრაგ სტოიაკოვიჩი შეჰხარის.

# ბუში კვლავ სტადიონზეა

ამერიკის პრეზიდენტი ჯორჯ ბუშ უმცროსი ოთხდღიან მოგზაურობაშია თავისი ქვეყნის სამ შტატში, ლუიზიანაში, ტეხასსა და არკანზაში. ამერიკელთა სიყვარული რა არის და ბეისბოლი, ჰოდა პრეზიდენტიც მისულა ლუიზიანას ქალაქ მეტარის „ზეფირ ფილდის" სტადიონზე, სადაც მცირე ლიგის არცთუ განთქმული გუნდი თამაშობს. განთქმული, თუ არა — ტრიბუნები მაინც სავსე იყო.




REUTERS მეტერიდან



REUTERS ფაროდან

# ძროება

რბოლა კარსაა მომდგარი, მეფორმულე რუბენს ბარიკელო კი მეგოლფეთა ტურნირზე ცუღლუტობს რაღაცეებს. პორტუგალიაში, კინტა დუ ლაგუს პროფესიონალთა ტურნირის საპრიზო ფონდი ერთი მილიონი ევროა და ეგებ რუბენსმა ყვანჯის ცემა ამჯობინოს მოტორის ბღუილს. ხუმრობით, რა თქმა უნდა.

# ვერა

ვერა, ვერ შეძლო: უნგრელმა ძალოსანმა ქალმა ესტერ კლუტცერმა მესამე ცდაზეც ვერ ასწია 111,5 კილოგრამი. სლოვაკეთის ქალაქ ტრენჩინში მიმდინარე ქალ ძალოსანთა ევროპის 14-ე ჩემპიონატზე ამ უნგრელმა გოგომ მეოთხე ადგილი დაიკავა 63 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში.




REUTERS ტრენჩინიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ბიკაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ავთანდილ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge